

სს ნიკორა ტრეიდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის

და მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13
1. ზოგადი ინფორმაცია	13
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	17
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	18
5. ინფორმაცია სემენტების შესახებ	22
6. ამონაგები	23
7. გაყიდვების თვითღირებულება	23
8. სხვა შემოსავალი.....	23
9. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	23
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
11. გუდვილი	24
12. ძირითადი საშუალებები	26
13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	27
14. არამატერიალური აქტივები	28
15. მარაგები.....	28
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	28
17. სადეპოზიტო სერთიფიკატები	29
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	29
19. ობლიგაციები და სესხები	29
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	31
22. პირობითი ვალდებულებები	32
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	32
24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	32
მმართველობის ანგარიშგება	42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ნიკორა ტრეიდის აქციონერებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ნიკორა ტრეიდის“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „ნიკორა ტრეიდი“ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულება გუდვილის საწყის აღიარებასა, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში გუდვილის გაუფასურების ტესტში გამოყენებულ გაანგარიშებებისა და დაშვებების შესახებ და მათი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით (გუდვილის საწყისი და საბოლოო ნაშთია 38,560 ათასი ლარი). ამ საკითხთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრით და ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმულია პირობითი მოსაზრება 2025 წლის 15 მაისს გაცემულ აუდიტის დასკვნაში. ჩვენ ვერ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გუდვილის საბალანსო ღირებულებასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში მასთან დაკავშირებულ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი და მიმდინარე გუდვილის ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, დავადგინეთ, რომ პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხის გარდა, ქვემოთ განხილული საკითხი აუდიტის ძირითადი საკითხია, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
<p>ამონაგების აღიარება და შეფასება</p> <p>ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ჯგუფის მიერ შემოსავლის (ამონაგების) აღიარებისა და შეფასების შემოწმებას, დაბალი ღირებულების მქონე გარიგებების დიდი მოცულობის გამო, რაც მოიცავდა 674 -ზე მეტ მაღაზიაში და არა მარტო მომხმარებელთან ვაჭრობას, ასევე დაბრუნებების, ლოიალობის პროგრამის დაანგარიშების შეფასების პროცესის სირთულისა და განსჯადი ხასიათის გამო.</p> <p>შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგებების მე-6 და 24.2 შენიშვნებში, შესაბამისად.</p>	<p>ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შევავსეთ კომპანიის მიერ დანერგილი შემოსავლის აღიარებისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების შესაბამისობა ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - მოთხოვნებთან. • შევავსეთ კომპანიის მიერ დანერგილი შემოსავლის აღიარებისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული კონტროლების ადეკვატურობა. • განვახორციელეთ ფულადი ნაკადების, შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე არსებული ოფიციალური ჩანაწერებისა და სხვა მხარდამჭერი დოკუმენტების ანალიზი და შევადარეთ ისინი სააღრიცხვო სისტემებში აღიარებულ თანხებთან. • ცალკეული ტრანზაქციების დონეზე და მათ შორის ლოიალობის პროგრამის გათვალისწინებით შემოსავლების აღიარების საფუძველზე ჩავატარეთ სახელშეკრულებო პირობების ანალიზი, ფასს (IFRS) 15-ში განხილული შემოსავლის აღიარების მოთხოვნებთან მიმართებაში. • ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები ამონაგებზე, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და ამონაგებთან კორელაციაში მყოფ სხვა ხარჯებზე;

აუდიტის ძირითადი საკითხები	აუდიტის ძირითად საკითხთან მიმართებით ჩატარებული აუდიტორული პროცედურები
	<ul style="list-style-type: none"> • შევამოთ უჩვეულო საჭურნალო გატარებები, მათ შორის სასაჩუქრე ბარათების და ლოიალობის პროგრამის ფარგლებში აღიარებული შემოსავლები. • ვიმსჯელოთ გარიგების ფასის განსაზღვრაში სათანადოდ იყო თუ არა გათვალისწინებული წარსული გამოცდილება და საქმიანობის პრაქტიკა. • შევამოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა და შესაბამისობა ფასს მოთხოვნებთან.
<p>იჯარების აღრიცხვა ფასს 16 - იჯარა შესაბამისად</p> <p>ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ იჯარების აღრიცხვას, საიჯარო ხელშეკრულებების სახით გარიგებების დიდი მოცულობის გამო და ამ ხელშეკრულებათა აღრიცხვაში, როგორც მოიჯარის, ასახვის მიზნით გამოყენებული შეფასების პროცესის სირთულისა და განსჯადი ხასიათის გამო.</p> <p>იჯარების ასახვასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მე-13 და 24.9 შენიშვნებში, შესაბამისად.</p>	<p>ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩვენ შევისწავლეთ და შევამოთ ფასს 16-ის შესაბამისად ჯგუფის როგორც მოიჯარეს მიერ დანერგილი შიდა კონტროლისა და აღრიცხვის პოლიტიკა. ამ პროცესში გამოვიკვლიეთ მოკლევადიან, ფიქსირებულ ფასიან და ცვალებად ფასიან იჯარის ოპერაციების იდენტიფიცირებასთან და აღიარებასთან დაკავშირებული მსჯელობების ადეკვატურობა. • შევამოწმეთ ფასს 16-ის შესაბამისად აღიარებული: აქტივების გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების შეფასებისათვის გამოყენებულ მოდულში განივთული პოლიტიკა და გაანგარიშების ლოგიკა; • ამორჩევის გზით ცალკეული ოპერაციების პირველადი დოკუმენტალური მონაცემები შევადარეთ მოდულში ასახულ მონაცემებს და ჩავატარეთ ალტერნატიული გაანგარიშებები; • ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები და ზოგადი რეკონსილაციის პროცედურები; • შევამოთ ფინანსურ ანგარიშგებაში იჯარასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა და შესაბამისობა ფასს-ებთან.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ ახსნა განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილ კომპანიებს შპს „ნუგეშს“ და შპს „ლაზი ჰოლდინგს“ 2025 და 2024 წლების განმავლობაში არ განუხორციელებიათ არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდნენ არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს განცალკევებულად ან აგრეგირებულად. ჯგუფის 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „ნიკორა ტრეიდის“ 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს დედა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2026 წლის 14 მაისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 41-ე გვერდის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და გარდა ქვემოთ მოცემულ – „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ მოცემულ – „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გაცვენით ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს ავლწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2026 წლის 14 მაისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 41-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

14 მაისი, 2026 წელი

თბილისი, საქართველო

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაეცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს ავლწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2026 წლის 14 მაისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 41-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
14 მაისი, 2026 წელი
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	6	1,433,874	1,304,266
გაყიდვების თვითღირებულება	7	(1,098,178)	(973,635)
საერთო მოგება		335,696	330,631
სხვა შემოსავალი	8	1,741	1,330
მიწოდების ხარჯები	9	(297,324)	(275,181)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(27,472)	(23,380)
სხვა მოგება ნეტო		1,011	789
ფინანსური შემოსავალი		904	2,531
ფინანსური ხარჯები		(21,470)	(19,323)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან ნეტო		6,744	(6,004)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(170)	11,393
მოგების გადასახადის ხარჯი		(33)	(53)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		(203)	11,340
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება, რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების აფასება/(ჩამოფასება)		(715)	2,447
სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(715)	2,447
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(918)	13,787
მიმდინარე წლის შემოსავალი/(ზარალი) მიკუთვნებული			
<i>სათაო კომპანიის მფლობელებს</i>			
		(203)	11,340
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი) მიკუთვნებული		(918)	13,787
<i>სათაო კომპანიის მფლობელებს</i>			

კომპანიის 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 14 მაისს შემდეგი პირების მიერ:

თემურ ალექსანდრია
 აღმასრულებელი დირექტორი


გიორგი ვერძაძე
 ფინანსური დირექტორი


სს "ნიკორა ტრეიდი ჯგუფი" კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	6	1,433,874	1,304,266
გაყიდვების თვითღირებულება	7	(1,098,178)	(973,635)
საერთო მოგება		335,696	330,631
სხვა შემოსავალი	8	1,741	1,330
მიწოდების ხარჯები	9	(297,324)	(275,181)
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(27,472)	(23,380)
სხვა მოგება ნეტო		1,011	789
ფინანსური შემოსავალი		904	2,531
ფინანსური ხარჯები		(21,470)	(19,323)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან ნეტო		6,744	(6,004)
მოგება/(ზარალი) დახეგრამდე		(170)	11,393
მოგების გადასახადის ხარჯი		(33)	(53)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		(203)	11,340
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება, რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების აფასება/(ზამოფასება)		(715)	2,447
სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(715)	2,447
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(918)	13,787
მიმდინარე წლის შემოსავალი/(ზარალი) მიკუთვნებული			
<i>სათაო კომპანიის მფლობელებს</i>		(203)	11,340
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი) მიკუთვნებული		(918)	13,787
<i>სათაო კომპანიის მფლობელებს</i>		(918)	13,787

კომპანიის 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 14 მაისს შემდეგი პირების მიერ:


 თემურ ალექსანდრია
 აღმასრულებელი დირექტორი


 გიორგი ვერვაძე
 ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი	11	38,560	38,560
ძირითადი საშუალებები	12	143,175	135,907
აქტივების გამოყენების უფლება	13	192,740	163,250
არამატერიალური აქტივები	14	11,867	9,457
გრძელვადიანი აქტივების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		1,579	3,177
სულ გრძელვადიანი აქტივები		387,921	350,351
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	198,584	177,953
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	7,489	8,276
გაცემული სესხები (სს ნიკორა ჯგუფის კომპანიებზე გაცემული სესხები)		-	114
სადეპოზიტო სერთიფიკატები	17	5,208	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	80,324	17,424
სულ მოკლევადიანი აქტივები		291,605	203,767
სულ აქტივები		679,526	554,118
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1	21,800	21,800
საემისიო კაპიტალი	1	18,910	18,910
გადაფასების რეზერვი		8,023	8,738
აკუმულირებული მოგება		44,678	53,092
სულ საკუთარი კაპიტალი		93,411	102,540
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ობლიგაციები და სესხები	19	147,221	60,000
საიჯარო ვალდებულებები	13	155,082	132,066
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		302,303	192,066
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	239,799	219,706
ობლიგაციები და სესხები	19	8,647	4,864
საიჯარო ვალდებულებები	13	35,366	34,942
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		283,812	259,512
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		679,526	554,118

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	სულ
ნაშთი 2024					
წლის 1 იანვრის მდგომარეობით	21,800	18,910	6,291	50,699	97,700
წლის მოგება	-	-	-	11,340	11,340
სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,447	-	2,447
დივიდენდი	-	-	-	(8,947)	(8,947)
ნაშთი 2024					
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,800	18,910	8,738	53,092	102,540
წლის ზარალი	-	-	-	(203)	(203)
სხვა სრული ზარალი	-	-	(715)	-	(715)
დივიდენდი	-	-	-	(8,211)	(8,211)
ნაშთი 2025					
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,800	18,910	8,023	44,678	93,411

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაზეგვრამდე		(170)	11,393
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9, 10	66,294	59,924
მარაგების დანაკარგები	7	42,926	25,835
საპროცენტო ხარჯი		21,470	19,323
საპროცენტო შემოსავალი (მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(904)	(2,531)
		(6,744)	6,004
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების (ზრდა)		(63,557)	(71,886)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		2,143	(2,466)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		20,093	23,759
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები			
გადახდილი პროცენტები	13, 19	(25,496)	(18,478)
გადახდილი მოგების გადასახადი		(33)	(53)
მიღებული პროცენტები		1,982	2,533
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		58,197	53,220
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(37,989)	(57,298)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(2,178)	(3,031)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები		592	422
სესხის გაცემა		(22,000)	(5,800)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფული		22,006	28,800
სადეპოზიტო სერთიფიკატის ანგარიშზე თანხების გადატანა	17	(5,000)	-
წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		(44,569)	(36,907)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული თანხები	19	94,008	-
ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	19	59,910	59,755
სესხების დაფარვა	19	(64,010)	-
ობლიგაციების დაფარვა	19	-	(35,000)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	13	(32,519)	(32,351)
გადახდილი დივიდენდები		(8,118)	(8,930)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსავალი/(გასავალი) ფინანსური საქმიანობიდან		49,271	(16,526)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18	17,424	17,633
კურსთაშორის სხვაობის გავლენა		1	4
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	18	80,324	17,424

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „ნიკორა ტრეიდი“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების შპს „ლაზი ჰოლდინგს“ და შპს „ნუგეშს“ ფინანსურ ინფორმაციას (ერთობლივად „ჯგუფი“). სს „ნიკორა ტრეიდი“ არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ც. დადიანის #7, ქარვასლა ბიზნეს ცენტრი.

სს „ნიკორა ტრეიდი“ ფლობს 67%-იან წილს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაზი ჰოლდინგში“ და აგრეთვე 100%-იან წილს შპს „ნუგეშში“. შვილობილ კომპანიებს ოპერაციები არ გააჩნიათ. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ლაზი ჰოლდინგი“ არ ფლობს აქტივებს და ვალდებულებებს და შესაბამისად არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება არის ნული. გამომდინარე აქედან, 2025 და 2024 წელს ჯგუფის საქმიანობიდან მიღებული შედეგები სრულად მიეკუთვნება სათაო კომპანიის მფლობელებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ნიკორა ტრეიდის 96.60 % იანი წილის მფლობელი არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ (კომპანიას 2026 წლის 02 თებერვალს შეეცვალა სახელი და დაერქვა სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ მანამდე მას ერქვა სს „ნიკორა“), ხოლო აქციების 3.40% ეკუთვნის სხვა აქციონერებს (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ნიკორა - 96.60 %, სხვა აქციონერები - 3.40 %).

კომპანიას აქვს გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული 10 მილიონი აქცია ნომინალური ღირებულებით 2.18 ლარი. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

ჯგუფი ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიათა ქსელს საქართველოში და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 674 მაღაზიის სახით (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 634).

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება და წარადგინოს მარეგულირებელ ორგანოში. ჯგუფის შვილობილ კომპანიებს შპს „ნუგეშს“ და შპს „ლაზი ჰოლდინგს“ 2025 და 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებიათ არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდნენ არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს განცალკევებულად ან აგრეგირებულად. ჯგუფის 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება სს „ნიკორა ტრეიდი“ 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის მიწისა და შენობებისა. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვეველობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2.4.1 ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა ჯგუფისთვის 2025 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

2025 წელს გამოიცა ინტერპრეტაციების კომიტეტის დღის წესრიგის შემდეგი გადაწყვეტილებები (agenda decisions), რომლებიც შესაძლოა აქტუალური იყოს იმ წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, რომლებიც იწყება 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. „გამოცემის თარიღი“ მიუთითებს ბასს-ის (IASB) ვებგვერდზე მითითებულ დამტკიცების თარიღს:

გამოცემის თარიღი	შინაარსი
2025 თებერვალი	ბასს 7: ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია „ბაზარზე უზრუნველყოფილი“ (Collateralised-to-Market) კონტრაქტების ცვალებადი მარჟის მოთხოვნებთან (Variation Margin Calls) დაკავშირებით გადაწყვეტილებამ განმარტა ცვალებადი მარჟის მოთხოვნებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია საოპერაციო ან ფინანსურ საქმიანობად.
2025 აპრილი	ფასს 15: სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლის აღიარება. გადაწყვეტილება იძლევა მითითებებს სწავლის საფასურიდან შემოსავლის აღიარებაზე, განსაკუთრებით შესასრულებელი ვალდებულებებისა და აღიარების ვადების შესახებ.
2025 აპრილი	ბასს 38: კლიმატთან დაკავშირებული ხარჯებიდან წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების აღიარება. გადაწყვეტილებამ დააზუსტა, თუ როდის უნდა მოხდეს კლიმატის ინიციატივების ხარჯების (მაგ. კვლევა-განვითარება) კაპიტალიზაცია არამატერიალურ აქტივებად და როდის უნდა მოხდეს მათი ასახვა ხარჯებში.
2025 აპრილი	სხვა სუბიექტების ვალდებულებებზე გაცემული გარანტიები. გადაწყვეტილება შეეხო სხვა სუბიექტების ვალდებულებებზე გაცემული გარანტიების აღრიცხვას, მათი სათანადო აღიარებისა და შეფასების უზრუნველსაყოფად.
2025 ივლისი	ბასს 29: ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ინდიკატორების შეფასება. გადაწყვეტილება იძლევა მითითებებს ბასს (IAS) 29-ის ინდიკატორების გამოყენებაზე იმის შესაფასებლად, გახდა თუ არა ეკონომიკა ჰიპერინფლაციური.

2.4.2 ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

ჯგუფმა ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

2024 წლის მაისში IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამოანაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად განკუთვნილია ფინანსურ ინსტიტუტებისათვის, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს (IFRS) აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან) ბასს-მა (IASB) 2024 წლის სექტემბერში განახორციელა შემდეგი გაუმჯობესებები:

- ფასს 1, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“: ფასს 1-სა და ფასს 9-ს შორის შესაბამისობის გაზრდა ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებთან დაკავშირებით და ფასს 1-ის გასაგებობის გაუმჯობესება.
- ფასს 7, „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“: ფასს 7-ში გამოყენებული ტერმინოლოგიის შესაბამისობაში მოყვანა ფასს 13-ის („სამართლიანი ღირებულების შეფასება“) ენასთან.
- ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები“: იმის დაზუსტება, თუ როგორ აღრიცხავს მოიჯარე საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტას მისი დაფარვისას;
- ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრა ტერმინთან „ტრანზაქციის ფასი“ დაკავშირებით.
- ფასს 10, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“: სუბიექტის „დე ფაქტო აგენტების“ განსაზღვრასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაზუსტება.
- ბასს 7, „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ტერმინ „თვითღირებულების მეთოდის“ (cost method) ჩანაცვლება ტერმინით „თვითღირებულებით“ (at cost), რადგან ძველი ტერმინი აღარ არის განსაზღვრული ფასს სტანდარტებში.

ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულ ელექტროენერჯისთან დაკავშირებული კონტრაქტები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან)

2024 წლის დეკემბერში IASB -მა გამოსცა მიზნობრივი ცვლილებები IFRS 7-სა და IFRS 9-ში, რათა სუბიექტებს მიეცეთ საშუალება უკეთ ასახონ ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებული ელექტროენერჯის კონტრაქტები ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღნიშნული ცვლილებები:

- (ა) განმარტავს „საკუთარი მოხმარების“ (own-use) კრიტერიუმების გამოყენებას ამ ტიპის კონტრაქტების მიმართ;

(ბ) უშვებს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებას, თუ ეს კონტრაქტები გამოიყენება როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები;

(გ) ამტკებს განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს, რათა მომხმარებლებმა უკეთ გაიგონ ამ კონტრაქტების გავლენა სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

IFRS 9-ისა და IFRS 7-ის ცვლილებები ძალაში შედის წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2.5 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 მიწისა და შენობების რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფი მიწისა და შენობებისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი რეალური ღირებულების შეფასებისთვის. რეალური ღირებულების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაშვებებთან.

3.5 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

**სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელის შეფასებისთვის ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას რომელიც მიუთითებს, რომ თავისი არსით გარდაუვალი გადახდებია. აქედან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და ობლიგაციებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, სადეპოზიტო სერთიფიკატები, საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტები. ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2025	31.12.2024
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,250	526
მომწოდებლებზე რიცხული მოთხოვნები (რომლებზედაც კომპანიას ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს)	4,883	7,750
სადეპოზიტო სერთიფიკატები	5,208	-
საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტები	1,356	-
გაცემული სესხები	-	114
ფული და ფულის ეკვივალენტები	80,324	17,424
სულ ფინანსური აქტივები	93,021	25,814
	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	232,424	211,058
საიჯარო ვალდებულებები	190,448	167,008
სესხები და ობლიგაციები	155,868	64,864
სულ ფინანსური ვალდებულებები	578,740	442,930

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებდ დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების განგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს

ასახავდეს და ამიტომ არ წარმოდგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას და განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, მიღებული სესხების და ობლიგაციების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენდა 11%-13%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების და ობლიგაციების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7 %-დან 14 %-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებიდან არსებითად არ განსხვავდება.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. ჯგუფი ექვემდებარება აღებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 19.

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას 2025 წლის და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2025			
	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	რუსული რუბლი
ფული და ფულის ეკვივალენტები	40	2	1	-
სულ ფინანსური აქტივები	40	2	1	-
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,434	1,078	12	18
საიჯარო ვალდებულებები	176,082	1,720	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	178,516	2,798	12	18
წმინდა სავალუტო პოზიცია	(178,476)	(2,796)	(11)	(18)

	31.12.2024	
	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	43	1
სულ ფინანსური აქტივები	43	1
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	329	758
საიჯარო ვალდებულებები	148,634	1,838
სულ ფინანსური ვალდებულებები	148,963	2,596
წმინდა სავალუტო პოზიცია	(148,920)	(2,595)

**სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძობელობას.

	მოგება/(ზარალი) 2025	მოგება/(ზარალი) 2024
აშშ დოლარი/ ლარი + 20%	(35,695)	(29,784)
აშშ დოლარი/ ლარი - 20%	35,695	29,784
ევრო/ლარი + 20%	(559)	(519)
ევრო/ლარი - 20%	559	519
ჩინური იუანი	(2)	-
ჩინური იუანი	2	-
რუსული რუბლი	(4)	-
რუსული რუბლი	4	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2025		2024	
	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით
მოგება/(ზარალი)	(1,522)	1,522	(612)	612

მგრძობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

**სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	1,250	526
მომწოდებლებზე რიცხული მოთხოვნები (რომლებზედაც კომპანიას ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს)	4,883	7,750
სადეპოზიტო სერთიფიკატები	5,208	-
საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტები	1,356	-
გაცემული სესხები	-	114
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	78,637	15,738
სულ	91,334	24,128

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები განგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	232,424	-	-	-	232,424
საიჯარო ვალდებულებები	27,745	22,498	45,573	66,797	162,613
სესხები და ობლიგაციები	11,964	11,957	200,294	-	224,215
სულ 31.12.2025	272,133	34,455	245,867	66,797	619,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	211,058	-	-	-	211,058
საიჯარო ვალდებულებები	26,411	25,092	134,858	33,947	220,308
სესხები და ობლიგაციები	3,746	7,219	87,908	-	98,873
სულ 31.12.2024	241,215	32,311	222,766	33,947	530,239

5. ინფორმაცია სემენტების შესახებ

ჯგუფი ოპერირებს ერთი საოპერაციო სემენტის ფორმატში და ერთ გეოგრაფიულ რეგიონში საქართველოში. ინფორმაცია პროდუქციისა და მომსახურების შესახებ მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 6. კომპანიას არ ყავს მომხმარებლები, რომელთანაც აგენერირებს სრული ამონაგების 10 პროცენტზე მეტი ოდენობით.

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ამონაგები

	2025	2024
საკვები	830,274	743,431
არასაკვები	603,600	560,835
სულ	1,433,874	1,304,266

ჯგუფის ამონაგები ფორმირდება მაღაზიებიდან პროდუქციის რეალიზების შედეგად. ამონაგები აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

7. გაყიდვების თვითღირებულება

	2025	2024
გაყიდული პროდუქტი	(1,055,252)	(947,800)
დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტი	(42,926)	(25,835)
სულ	(1,098,178)	(973,635)

8. სხვა შემოსავალი

	2025	2024
საიჯარო შემოსავალი	1,741	1,330
სულ	1,741	1,330

9. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	2025	2024
ხელფასის ხარჯი	(145,717)	(138,904)
ცვეთა და ამორტიზაცია	(61,758)	(55,715)
კომუნალური ხარჯი	(31,150)	(30,304)
ცვლად საიჯარო გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯი	(15,705)	(12,465)
საბანკო ხარჯი	(12,654)	(10,861)
დისტრიბუციის ხარჯი	(11,216)	(10,390)
მარკეტინგის ხარჯი	(3,783)	(3,688)
რემონტის ხარჯი	(2,619)	(2,606)
სხვა ხარჯები	(12,722)	(10,248)
სულ	(297,324)	(275,181)

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2025	2024
ხელფასის ხარჯი	(11,536)	(10,624)
საგადასახადო ხარჯი	(8,129)	(4,733)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,536)	(4,209)
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯი	(490)	(453)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	(472)	(1,136)
საოფისე ხარჯი	(170)	(312)
უიმედო ვალეების და საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(176)	(29)
სხვა ხარჯები	(1,963)	(1,884)
სულ	(27,472)	(23,380)

ჯგუფის 2025 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 45 ათას ლარს.

11. გუდვილი

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილი ერთეულებისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 47,430 ლარს (2024 - 45,590). 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის მომავალი ფულადი ნაკადები და შესაბამისი დაშვებები განსაზღვრა აშშ დოლარში. აქტივთა ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და მგრძობელობის ანალიზი

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური საოპერაციო მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე სამომავლო პერიოდის პროგნოზებზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომა პროგნოზების გასაკეთებლად. აქტივთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები უკავშირდება: ა) საოპერაციო მარჟას, ბ) დისკონტის განაკვეთს და გ) ზრდის ტემპს. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დაშვებების მცირედი ცვლილება არსებით გავლენას ახდენს ანაზღაურებადი ღირებულებაზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ ძირითად დაშვებებს, დაშვებების მიმართ სენსიტიურობის ანალიზს და მათ ისეთ ცვლილებას, რომელიც განაპირობებს ანაზღაურებადი ღირებულების ტოლობას საბალანსო ღირებულებასთან:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ძირითადი დაშვებები		ა) +0.4%	ა) -0.4%	საბალანსო ღირებულება უტოლდება ანაზღაურებად ღირებულებას თუ
		ბ) გ) +1%	ბ) გ) -1%	
ა) საოპერაციო მარჟა	3.7	21,900	(14,740)	მცირდება 3.7%-დან 3.54%-მდე
ბ) დისკონტის განაკვეთი	14%	(9,506)	7,200	იზრდება 14 %-დან 14.9%-მდე
გ) ზრდის ტემპი	3.00%	7,230	(4,500)	მცირდება 3 %-დან 1.8%-მდე

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ძირითადი დაშვებები		ა) +0.4%	ა) -0.4%	საბალანსო ღირებულება უტოლდება ანაზღაურებად ღირებულებას თუ
		ბ) გ) +1%	ბ) გ) -1%	
ა) საოპერაციო მარჟა	3.5 %	21,863	(13,994)	მცირდება 3.5%-დან 3.4%-მდე
ბ) დისკონტის განაკვეთი	13.01 %	(8,796)	6,556	იზრდება 13.01%-დან 13.5%-მდე
გ) ზრდის ტემპი	3.00 %	7,023	4,418	მცირდება 3 %-დან 2.6%-მდე

ა) საოპერაციო მარჟა - ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების მარჟას, რომელიც გათვალისწინებულია ფორმალურ ბიუჯეტში. ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელია ეფექტურობის გაუმჯობესება და დაგეგმილი საოპერაციო მარჟა განსხვავდება ჯგუფის 2025 და 2024 წლების ფაქტიური მარჟიდან 1.1 % და 1.09 %-ით.

ბ) ზრდის განაკვეთი - ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდის განაკვეთს პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დაკორექტირებულ მაჩვენებელს.

გ) დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC), რომელიც ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკების შესაბამის კორექტირებებს.

**სს “ნიკორა ტრეიდი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან გარკვეულ კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება ან გადაფასებული ღირებულება	მიწა	შენობები	სპეციალური აღჭურვილობა და მოწყობილობები	ავეჯი, საოფისე და სხვა აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	ტრასპორტი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
1.1.2024	8,405	11,685	84,628	45,774	38,981	9,838	-	199,311
რეკლასიფიკაცია	-	-	1,040	-	(1,040)	-	-	-
შემოსვლა	-	3,389	16,503	8,805	10,180	5,368	14,365	58,610
გასვლა	-	-	(3,821)	(99)	(191)	(1,417)	-	(5,528)
გადაფასება	606	588	-	-	-	-	902	2,096
31.12.2024	9,011	15,662	98,350	54,480	47,930	13,789	15,267	254,489
შემოსვლა	-	952	14,293	7,477	9,545	5,027	4,178	41,472
გასვლა	-	-	(1,874)	(681)	(1,048)	(2,616)	-	(6,219)
გადაფასება	(224)	(847)	-	-	-	-	(35)	(1,106)
31.12.2025	8,787	15,767	110,769	61,276	56,427	16,200	19,410	288,636
დაგროვილი ცვეთა								
1.1.2024	-	-	(47,815)	(25,852)	(16,944)	(4,564)	-	(95,175)
რეკლასიფიკაცია	-	-	(998)	-	998	-	-	-
წლის ცვეთა	-	(351)	(13,029)	(6,994)	(5,984)	(1,961)	-	(28,319)
გასვლა	-	-	3,309	60	23	1,169	-	4,561
გადაფასება	-	351	-	-	-	-	-	351
31.12.2024	-	-	(58,533)	(32,786)	(21,907)	(5,356)	-	(118,582)
წლის ცვეთა	-	(387)	(14,748)	(7,912)	(6,583)	(2,762)	-	(32,392)
გასვლა	-	-	1,776	670	583	2,097	-	5,126
გადაფასება	-	387	-	-	-	-	-	387
31.12.2025	-	-	(71,505)	(40,028)	(27,907)	(6,021)	-	(145,461)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
1.1.2024	8,405	11,685	36,813	19,922	22,037	5,274	-	104,136
31.12.2024	9,011	15,662	39,817	21,694	26,023	8,433	15,267	135,907
31.12.2025	8,787	15,767	39,264	21,248	28,520	10,179	19,410	143,175

ძირითად საშუალებების დამატებაში გათვალისწინებულია დაკაპიტალიზირებული პროცენტი იმ სესხებზე რომელიც მიზნობრივად აღებული იყო ძირითადი საშუალებების მშენებლობის დაფინანსების მიზნით. მიზნობრივი სესხების ჯამური პროცენტი იყო 5,121 ათასი ლარი, ამასთანავე მიზნობრივი სესხების თანხების დროებით განთავსებით მიღებული საპროცენტო შემოსავალი იყო 3,303 ათასი ლარი, შედეგად 1,818 წარმოადგენს დაუმთავრებელ მშენებლობაში დაკაპიტალიზებულ პროცენტს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობები 9,837 ათასი ლარი, მიწა 4,420 ათასი ლარი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობები 9,936 ათასი ლარი, მიწა 4,575 ათასი ლარი იყო ჩადებული კომპანიის სესხების უზრუნველყოფაში.

რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ჯგუფი მიწები და შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შენობებს და მიწებს ჯგუფი იყენებს საწყობის დანიშნულებით.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისათვის შენობებისა და მიწების მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო არ არის სპეციფიკური და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არსებობს აქტიური ბაზარი, შესაბამისად რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. მიწების შეფასების შემთხვევაში გამოყენებული იყო საბაზრო ოპერაციები. რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 2 დონე.

რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან.

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი მაღაზიების ფართების იჯარას. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 2-15 წლამდე პერიოდს. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იმ ფართების შემთხვევაში, რომელიც ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია და მოქმედებს წარსული გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფი იჯარის ვადას გადახედავს ყოველი პერიოდის ბოლოს და მსჯელობის საფუძველზე აფასებს იჯარის დარჩენილ ვადას. იჯარის გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

კომპანიას არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 11 % - 14.00 % ლარში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხოლო დოლარის და ევროს ხელშეკრულებების შემთხვევაში 7.00 % - 9.00%.

ჯგუფის იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ და ცვლად საიჯარო გადასახდელებს. ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება საიჯარო ფართში განთავსებული მაღაზიის ამონაგებიდან ყოველთვიურად. ჯგუფი ამგვარი ცვლადი საიჯარო გადასახდელებიდან გამოყოფს არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს. ჯგუფი არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს ანგარიშობს იჯარის ობიექტში განთავსებული მაღაზიიდან მოსალოდნელი მინიმალური ამონაგების საფუძველზე.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	2025	2024
1 იანვარი	163,250	151,162
შემოსვლა	52,218	34,297
ცვეთა	(33,454)	(31,121)
იჯარის გადასახდელების და საიჯარო ვადის მოდიფიკაციის ეფექტი	12,198	10,018
შეწყვეტა	(1,472)	(1,106)
31 დეკემბერი	192,740	163,250

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2025	2024
1 იანვარი	167,008	150,316
შემოსვლა	52,218	34,297
საპროცენტო ხარჯი	15,933	13,578
გადახდა	(48,452)	(45,929)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(6,745)	5,871
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	12,198	10,018
შეწყვეტა	(1,712)	(1,143)
31 დეკემბერი	190,448	167,008

არსებითად ფიქსირებულად აღიარებული ცვლადი განაკვეთიანი საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 102 ათას ლარს (2024 წელი - 2,800 ათასი ლარი).

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ექსპლუატაციაში შესული პროგრამები	ექსპლუატაციაში შეუსვლეელი პროგრამები	სხვა	სულ
1.1.2024	3,137	5,616	103	8,856
შემოსვლა	548	3,229	190	3,967
31.12.2024	3,685	8,845	293	12,823
შემოსვლა	965	1,710	183	2,858
რეკლასიფიკაცია	10,555	(10,555)	-	-
31.12.2025	15,205	-	476	15,681
დაგროვილი ამორტიზაცია				
1.1.2024	(2,819)	-	(63)	(2,882)
ამორტიზაცია	(450)	-	(34)	(484)
31.12.2024	(3,269)	-	(97)	(3,366)
ამორტიზაცია	(402)	-	(46)	(448)
31.12.2025	(3,671)	-	(143)	(3,814)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
01.01.2024	318	5,616	40	5,974
31.12.2024	416	8,845	196	9,457
31.12.2025	11,534	-	333	11,867

15. მარაგები

	31.12.2025	31.12.2024
საქონელი	186,581	171,184
სხვა	12,003	6,769
სულ	198,584	177,953

2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები 40 მლნ ფარგლებში წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	1,347	530
გაუფასურების ზარალი	(97)	(4)
საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტები	1,356	-
წმინდა ფინანსური აქტივები	2,606	526
ავანსები და სხვა მოთხოვნები	4,963	7,776
გაუფასურების რეზერვი ავანსებზე და სხვა მოთხოვნებზე	(80)	(26)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,489	8,276

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს. ჯგუფმა 2025 წელს აღიარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური აქტივებიდან წარმოქმნილი გაუფასურების ხარჯი 177 (2024 წელს - 30) ათასი ლარი.

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. სადეპოზიტო სერტიფიკატები

2025 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაშთი წარმოადგენს 2025 წლის აგვისტოში კომპანიის მიერ საქართველოში არსებული ბანკიდან შექმნილ 6-თვიან სადეპოზიტო სერტიფიკატს. სერტიფიკატის შექმნაში გადახდილია 5 მილიონი ლარი. სერტიფიკატს ერიცხება პროცენტი. მისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 11.3 %. დარიცხული პროცენტის ნაშთი შეადგენს 208 ათას ლარს. ბანკის მაღალი საკრედიტო რეიტინგისა, ინსტრუმენტის მოკლევადიანობის და მაღალლიკვიდურობის გათვალისწინებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა ნოლის ტოლად. სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს სტანდარტულ დეპოზიტს და დეპოზიტის გამცემ ბანკებს არ აქვს ვალდებულება გამოისყიდოს დეპოზიტი მისი მოქმედების პერიოდში.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2025	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	78,596	15,684
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	41	54
ნაღდი ფული	1,687	1,686
სულ	80,324	17,424

19. ობლიგაციები და სესხები

	31.12.2025	31.12.2024
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	23,886	-
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	3,600	-
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	119,735	60,000
სულ გრძელვადიანი ნაწილი	147,221	60,000
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	6,129	-
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	85	3,688
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	2,433	1,176
სულ მოკლევადიანი ნაწილი	8,647	4,864
სულ ობლიგაციები და სესხები	155,868	64,864

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების და ობლიგაციების მოძრაობას 2025 და 2024 წლების განმავლობაში:

	2025	2024
1 იანვარი	64,864	39,264
სესხების აღება	94,008	-
ობლიგაციების გამოშვება	59,910	59,755
სესხების დაფარვა	(64,010)	-
ობლიგაციების გადახდა	-	(35,000)
საპროცენტო ხარჯი	5,537	5,745
კაპიტალიზაციის მიზნებისათვის საპროცენტო შემოსავალთან განეჭებული საპროცენტო ხარჯი	3,304	-
ობლიგაციის პროცენტის კაპიტალიზაცია	1,818	-
პროცენტის დაფარვა	(9,563)	(4,900)
31 დეკემბერი	155,868	64,864

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს მხოლოდ მისი დედა კომპანიისგან მიღებული ფიქსირებული სესხი ლარში, რომელსაც პროცენტი ერიცხება წლიური 12 % ოდენობით. საბანკო სესხები არის 1- დან 4 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხები, რომელთაც გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2025 და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 8 %) დამატებული 5 პროცენტის დანამატი. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, მარაგებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

**სს “ნიკორა ტრეიდი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

2024 წლის 17 ოქტომბერს, ჯგუფმა გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2029 წლის 17 ოქტომბერი. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთს (2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.3087 პროცენტი) დამატებული 3.25%. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2025 წლის ივლისში, ჯგუფში გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2030 წლის ივლისში. სს ნიკორა ტრეიდს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთს (2025 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.0786 პროცენტი) დამატებული 3.5 %. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფინანსურ ისტიტუტთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხაზი ხელშეკრულება 4 მილიონი ლარის ოდენობით, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის არ იყო ათვისებული..

სს ნიკორა ტრეიდის მიერ 2025 წელს გამოშვებული ობლიგაცია ითვალისწინებს გარკვეულ შემზღვეველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღვევებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელებს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე. ჯგუფი შესაბამისობაშია ამ ვალდებულებებთან.

ბანკის სესხის ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფს ნაკისრი აქვს ვალდებულება დაიცვას გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები, რომელიც გაიანგარიშება სპეციფიკური პრინციპით (ფასს-იდან განსხვავებული პრინციპით დაანგარიშებული მონაცემები) დაგენერირებული მონაცემებით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბანკის გაანგარიშებით გადახვევა არ დაფიქსირებულა.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	232,424	211,058
სულ ფინანსური ვალდებულებები	232,424	211,058
გადასახდელი ხელფასები	2,381	3,957
საგადასახადო ვალდებულებები	1,162	1,886
გადასახდელი დივიდენდები დამფუძნებლებისათვის	96	4
სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,736	2,801
სულ არაფინანსური ვალდებულებები	7,375	8,648
სულ	239,799	219,706

ჯგუფის ცალკეული მომწოდებლებზე რიცხული ვალდებულებების ნაწილი უზრუნველყოფილია 5,437 ათასი ლარის საბანკო გარანტიით.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს სახელშეკრულებო ვალდებულებების მოძრაობას 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2025	2024
1 იანვარი	2,801	2,843
მიღებული ავანსი, რომლისთვისაც არ აღიარებულა შემოსავალში	3,826	2,088
მიმდინარე პერიოდში		
შემოსავალი მიმდინარე პერიოდში	(2,450)	(1,805)
დამატებითი ღირებულების გადასახდის ეფექტი	(441)	(325)
31 დეკემბერი	3,736	2,801

სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ არის განმარტებული.

	დედა კომპანია	სხვა აქციონერები	დედა კომპანიის შვილობილები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
ოპერაციები 2025:					
ამონაგები	8	-	23,168	-	23,176
სხვა შემოსავალი	-	-	932	84	1,016
მარაგების შესყიდვა	-	-	259,659	-	259,659
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	149	-	149
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-	37	-	37
სერვისების შესყიდვა	1,152	-	4,918	2,558	8,628
საპროცენტო ხარჯი	883	-	242	1,961	3,086
საპროცენტო შემოსავალი	-	-	1,360	-	1,360
დივიდენდი	7,931	280	-	-	8,211
ნაშთები 31.12.2025:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	192	23	215
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123	-	42,224	357	42,704
ობლიგაციები და სესხები	3,685	-	-	-	3,685
საიჯარო ვალდებულებები	1,501	-	4,895	24,490	30,886
ოპერაციები 2024:					
ამონაგები	162	-	-	-	162
სხვა შემოსავალი	-	-	-	71	71
მარაგების შესყიდვა	-	-	217,372	-	217,372
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	13,692	-	-	-	13,692
სერვისების შესყიდვა	327	-	406	1,855	2,588
საპროცენტო ხარჯი	1,229	-	188	638	2,055
საპროცენტო შემოსავალი	53	-	1,214	-	1,267
დივიდენდი	8,643	304	-	-	8,947
ნაშთები 31.12.2024:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	326	8	334
გაცემული სესხები	-	-	114	-	114
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	155	-	36,447	521	37,123
ობლიგაციები და სესხები	3,688	-	-	-	3,688
საიჯარო ვალდებულებები	9,904	-	2,121	10,059	22,084

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა შესაბამისად 1,102 ათას (მათ შორის წინა წლების ბონუსი 294 ათასი ლარი) და 1,461 ათას ლარს შესაბამისად. 2025 წლის ბოლოს კომპანიის მენეჯმენტისთვის საბონუსე ფონდი არ დარიცხულა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას წინა წლების გაუცემელი ბონუსი სახით ერიცხება 170 ათასი ლარის ოდენობით.

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფი ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ობლიგაციებით ნაკისრი ვალდებულებები - დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 19.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 14 მაისს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ქონდა ქვემოთ ჩამოთვლილ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- კომპანიამ დამფუძნებლებზე გამოაცხადა დივიდენდები 9,876 ათასი ლარის ოდენობით.
- ჯგუფმა დამატებით აიღო თავის დედა კომპანიისგან სესხი, გაზრდილმა ჯამურმა თანხა შეადგინა 11,950 ათასი ლარი.
- კომპანიამ სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ ჯგუფის წევრ კომპანიაზე გასცა სესხი 11,000 ათასი ლარის ოდენობით.
- კომპანიამ ვადაზე ადრე დაფარა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული საბანკო სესხი სრული ოდენობით.
- კომპანიის საკრედიტო ხაზი გაგრძელდა 2027 აპრილამდე და გაიზარდა 6 მილიონ ლარამდე.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

24.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე.

**სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	რუსული რუბლი
2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951	3.1737	0.38556	0.03425
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306	0.38452	0.025405

24.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგები მოიცავს საცალო მაღაზიებში მარაგების გაყიდვას. მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ საცალო მაღაზიებში პროდუქციის გაყიდვიდან და შესაბამისად ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ჯგუფი თავის შეთანხმებებში არის მარწმუნებელი. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს არ აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად ხელმძღვანელობა არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ე.წ “ბონუს ბარათებს”, რომელზეც თანხის დარიცხვა ხდება მომხმარებლის მიერ პროდუქციის შესყიდვის პროპორციულად. ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები ჯგუფისთვის წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ტრანზაქციის ფასს წარმოადგენს მომხმარებლისგან მიღებული ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელიც ნაწილდება შესყიდვის მომენტში შესასრულებელ და ბონუს ქულების საფუძველზე შესასრულებელ ვალდებულებებს შორის.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფი გარიგების ფასს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე ანაწილებს განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე. ჯგუფი ხელშეკრულების დაწყებისას განსაზღვრავს თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურების განცალკევებით გასაყიდი ფასს, რომელიც საფუძველად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და შემდეგ გარიგების ფასი ამ განცალკევებით გასაყიდი ფასების პროპორციულად ნაწილდება.

მომხმარებელთა წახალისების პროგრამის ფარგლებში მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულები აღირიცხება იმ ამონაგებისგან განცალკევებით, რომლის ფარგლებშიც გაიცა ბონუს ქულა. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება რეალიზაციის საწყის ეტაპზე ნაწილდება ბონუს ქულებსა და რეალიზაციის სხვა კომპონენტებს შორის. მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულების სახელშეკრულებო ღირებულება მათ განაღდებადმდე აღიარდება, როგორც საკონტრაქტო ვალდებულება ვალდებულებების მუხლში, რომელიც ამონაგებში აღიარდება პროდუქციის მიწოდების პროპორციულად.

24.3 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

24.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

24.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

24.6 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც ხელმძღვანელობა ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება. გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების სანახავად იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 11.

24.7 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხმარებელი მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

	მომსახურების წელი
შენობები	42
მანქანა-დანადგარები	2-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-19
ოფისის აღჭურვილობა	2-13
ტრანსპორტი	4-7

24.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 2-15 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

24.9 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

**სს “ნიკორა ტრედი ჯგუფი” კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით
- გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 2-15 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდებელი მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადად შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვანად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

24.10 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება (გარდა გუდვილისა)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრის დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

24.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნაღები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნაღები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების

საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

24.12 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე უფსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასატუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

24.13 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალაია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

24.14 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

24.15 მოკლევადიანი ინვესტიციები სადეპოზიტო სერტიფიკატებში

განცალკევებულ ფინანსურ ელემენტად წარდგენილი სადეპოზიტო სერტიფიკატები წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა აღემატება 3 თვეს, მაგრამ ნაკლებია 12 თვეზე. კომპანია მოკლევადიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს აკლასიფიცირებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებად, ვინაიდან: კომპანიის ბიზნეს მოდელის მიზანია აღნიშნული აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს. თავდაპირველი აღიარებისას სადეპოზიტო სერტიფიკატები ფასდება რეალური ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ასეთის არსებობის შემთხვევაში გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალის უწყისში.

24.16 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრისის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწმებს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს და ბანკში არსებულ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

24.17 სააქციო და საემისიო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის მფლობელების მიერ. აქციების გაყიდვით მიღებული ანაზღაურება ფასდება რეალური ღირებულებით. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

24.18 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

სააქციო საზოგადოება ნიკორა ტრეიდი



მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2025 წელი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნებისა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის საფუძველზე და წარმოადგენს ჯგუფის – სს „ნიკორა ტრეიდი“ და მისი შვილობილი კომპანიების – კონსოლიდირებულ ანგარიშგებას.

სს „ნიკორა ტრეიდი“ წლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

თემურ ალექსანდრია

ვასილ სუხიაშვილი

ადმასრულებელი დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „ნიკორა ტრეიდი“

სს „ნიკორა ტრეიდი“

გიორგი ვერძაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა ტრეიდი“

14 მაისი 2026 წელი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნებისა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის საფუძველზე და წარმომადგენს ჯგუფის – სს „ნიკორა ტრეიდი“ და მისი შვილობილი კომპანიების – კონსოლიდირებულ ანგარიშგებას.

სს „ნიკორა ტრეიდი“ წლიური ანგარიში: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმომადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

თემურ ალექსანდრია

ვასილ სუხიაშვილი


აღმასრულებელი დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „ნიკორა ტრეიდი“

სს „ნიკორა ტრეიდი“

გიორგი ვერძაძე



ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა ტრეიდი“

ვკესაძე

შინაარსი

1	კომპანიის მიმოხილვა	4
1.1.1	სს ნიკორა ტრეიდის მოკლე მიმოხილვა	4
1.1.2	მომავალზე ორიენტირებული განცხადებები	6
1.1.3	ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის მიმოხილვა	9
1.1.4	ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები	15
1.1.5	ძირითადი ბაზრები	16
1.1.6	საკვები პროდუქტებით საცალო ვაჭრობა	18
1.1.7	ნიკორა ტრეიდის ქსელის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლების მიმოხილვა	21
1.1.8	კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	25
1.1.9	კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	26
1.1.10	კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	27
1.1.11	ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	28
1.1.12	არაუდირებული ფინანსური უწყისები IFRS 16 გავლენის გარეშე	29
1.1.13	საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა	32
1.1.14	კაპიტალი	38
1.1.15	მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა	39
1.1.16	ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა	44
1.1.17	ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები	46
1.1.18	ფინანსური რისკების მართვა	48
1.1.19	კომპანიის ბიზნესთან დაკავშირებული რისკები	53
1.1.20	მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა	81
1.1.21	ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში	90
1.1.22	კომპანიის არსებითი ხელშეკრულებები	94
1.1.23	ტრანზაქციები დაკავშირებულ პირებთან კომპანიის დონეზე	95
2	კორპორაციული მართვის ანგარიშგება	96
2.1.1	კომპანიის სტრუქტურა და მენეჯმენტი	115
2.1.2	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	120
3	არაფინანსური ანგარიშგება	133
3.1.1	ადამიანური რესურსების მართვა	133
3.1.2	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	145
3.1.3	საზოგადოებასთან ურთიერთობა	148

1 კომპანიის მიმოხილვა

1.1.1 სს ნიკორა ტრეიდის მოკლე მიმოხილვა

სს ნიკორა ტრეიდი ბაზარზე მოქმედებს ნიკორა სუპერმარკეტის და ლიბრეს ბრენდებით. ნიკორას ქსელი ბაზარზე 2000 წელს გამოჩნდა, წლების მანძილზე აქტიურად ვითარდებოდა და დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქსელია საქართველოს მასშტაბით. ზრდა მოხდა როგორც ორგანული განვითარების მეშვეობით, ასევე სხვა ქსელების სხვადასხვა ფორმით შესყიდვის გზით. განვითარების პროცესში „ნიკორა ტრეიდი“ შეიძინა „სანდის“ ქსელი დასავლეთ საქართველოში, „ველესის“ ქსელი, ჰიპერმარკეტი „ლიბრე“ და „ნუგეშის“ სუპერმარკეტების ქსელები.

თავდაპირველად ნიკორას სუპერმარკეტების ქსელი წარმოადგენდა „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფში“ შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ობიექტებს, შემდეგ დაიწყო ასორტიმენტის გაფართოება და კლასიკურ სუპერმარკეტების ქსელად ჩამოყალიბდა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია 674 მაღაზიას ფლობდა მთელი საქართველოს მასშტაბით. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სუპერმარკეტების ქსელს ქვეყანაში მაღაზიების რაოდენობის მიხედვით.

ამჟამად კომპანია თავის სავაჭრო ობიექტებში მომხმარებელს დაახლოებით 10,000 სახეობის პროდუქციას სთავაზობს, მათ შორის 600-მდე დასახელების პროდუქტი ნიკორას ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერაა წარმოებული. „კომპანიაში“ გარდა ადგილობრივისა მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს შეიძინოს უცხოური წარმოების კვების პროდუქტები, ჰიგიენის საშუალებები და ყოველდღიური მოხმარების საოჯახო ნივთები.

წინამდებარე დოკუმენტის შედგენის მომენტისთვის სს ნიკორა ტრეიდი ფლობს წილს 2 შვილობილ კომპანიაში: შპს ნუგეში – 100% და შპს ლაზი ჰოლდინგში – 67%. შესაბამისად ანგარიშგებები კონსოლიდირებულია. წინამდებარე ტექსტში სს ნიკორა ტრეიდი შეიძლება ასევე მოხსენიებულ იქნას როგორც „კომპანია“.

სს „ნიკორა ტრეიდი“ არის პირველი კომპანია ვაჭრობის სფეროში, რომელმაც 2016 წლის 17 მარტს, მოახდინა 5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციების წარმატებით განთავსება და ლისტინგი საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 2 წელი იყო, საპროცენტო განაკვეთი 11%, ხოლო კუპონის გადახდის სიხშირე - წელიწადში ორჯერ. „კომპანიაში“ წარმატებით მოახდინა მათი სრულად დაფარვა ვადის გასვლასთან ერთად 2018 წლის 19 მარტს.

2018 წლის 6 აგვისტოს კომპანიამ გამოუშვა 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები და წარმატებით დალისტა ისინი საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 3 წელი იყო, საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთს დამატებული 400 საბაზო პუნქტი, ხოლო, კუპონის გადახდის სიხშირე - წელიწადში ოთხჯერადი.

2021 წლის 12 ნოემბერს კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები და წარმატებით დალისტა ისინი საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 3 წელი იყო, საპროცენტო განაკვეთი 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 325 საბაზო პუნქტი, ხოლო, კუპონის გადახდის სიხშირე - წელიწადში ოთხჯერადი.

2024 წლის 17 ოქტომბერს კომპანიამ გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები და წარმატებით დალისტა ისინი საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 5 წელი არის, საპროცენტო განაკვეთი 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 325 საბაზო პუნქტი, ხოლო, კუპონის გადახდის სიხშირე - წელიწადში ოთხჯერადი.

2025 წლის 30 ივლისს კომპანიამ გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები და წარმატებით დალისტა ისინი საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 5 წელი არის, საპროცენტო განაკვეთი 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 350 საბაზო პუნქტი, ხოლო, კუპონის გადახდის სიხშირე - წელიწადში ოთხჯერადი.

2017 წლის ივლისში განხორციელდა „კომპანიის“ რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის გზით.

სს ნიკორა ტრეიდს გაცხადებული/ნებადართული აქვს 10 000 000 (ათი მილიონი) ცალი ჩვეულებრივი კლასის აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 2.18 ლარი 1 აქცია 1 ხმის უფლებით.

აქციის ფორმა განისაზღვრა როგორც არამატერიალიზირებული, აქციის რეგისტრირებულ მესაკუთრეებად მიიჩნევიან, რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში და ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში (სუბრეესტრებში) რეგისტრირებული აქციების მესაკუთრეები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენას ადგილი არ ჰქონია.

2018 წლის 30 მარტს კომპანიამ პირველად მიიღო “B+/Stable“, საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან. ბოლო რეიტინგის განახლება მოხდა 2024 წლის აგვისტოში და “BB-/Stable“ შეფასება არ შეცვლილა

1.1.2 მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

დღეისთვის „კომპანია“ წარმოადგენს დარგის ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობის და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას“ მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია“ მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას“ თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს.

2025 წელს კომპანიამ 57 ახალი მაღაზია გახსნა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

გარდა ამისა კომპანია გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

1. ახალი ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა – ახალი ლოგისტიკური ცენტრის ამოქმედებით კომპანია გადავა ცენტრალიზებული შესყიდვების მოდელზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პროდუქციის 80%-მდე მომარაგება თავად განახორციელებს მაღაზიებში. ეს პირველ რიგში უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის სრულ კონტროლს და კომერციული პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მომწოდებლებთან მოლაპარაკებებში. დამატებითი სტრატეგიული ეფექტი მიიღწევა მაღაზიების ღირებულების რეჟიმზე მომარაგებით, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს დღის საათებში არსებული საგზაო საცობები და უზრუნველყოს მიწოდების სტაბილური და პროგნოზირებადი გრაფიკი. შედეგად, შემცირდება საწვავის მოხმარება, სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა და, შესაბამისად, საერთო ლოგისტიკური ხარჯები. გარდა ფინანსური ეფექტისა, აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კომპანიის მდგრადობის მიზნების მიღწევაში – ღირებულების მომარაგების რეჟიმი და ოპტიმიზებული მარშრუტები შეამცირებს გამონახოლქვის მოცულობას, რაც პირდაპირ თანხვედრაშია კომპანიის მდგრადი განვითარების და ESG სტრატეგიასთან.
2. დისკაუნტერი (discounter store) – ბრენდი „ლიბრე“ ბაზარზე პოზიციონირებულია, როგორც discounter ფორმატის ქსელი. ბოლო წლების განმავლობაში კომპანიამ განახორციელა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ოპერაციული ცვლილებები – ასორტიმენტის ოპტიმიზაცია, ხილ-ბოსტნის მიმართულების განვითარება, იმპორტის გაძლიერება და კონკრეტული კატეგორიების კონკურენტული ფასწარმოქმნა – რამაც საფუძველი ჩაუყარა შემდეგი ეტაპის სტრატეგიულ განვითარებას.

მომდევნო პერიოდის ძირითადი მიმართულებებია:

- სამომხმარებლო კალათის გაძლიერება – სოციალურად მნიშვნელოვანი პროდუქტების მუდმივი ხელმისაწვდომობა ქსელში და მათი ფასების კონკურენტულ დონეზე შენარჩუნება;
- ოპერაციული ეფექტურობის ზრდა – პლანოგრამების გამარტივება და ხელახალი ოპტიმიზაცია, ასევე პროდუქციის განთავსების უფრო ეფექტური მოდელის დანერგვა (მათ შორის, ყუთებით წარმოდგენა), რაც შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს. მიღებული ეფექტი გადამისამართდება საბოლოო ფასების გაუმჯობესებაზე;
- ლოიალობის პროგრამის ამოქმედება – მომხმარებლისთვის დამატებითი სარგებლის შეთავაზება, რაც გააძლიერებს ბრენდის ფასის აღქმასა და მომხმარებლის ლოიალობას. ზემოაღნიშნული ინიციატივები მიმართულია ბაზარზე „ლიბრეს“ – როგორც დაბალფასიანი, ხელმისაწვდომი და სტაბილური არჩევანის – პოზიციის სისტემურ გაძლიერებაზე.

3. საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (private label) საკუთარი სავაჭრო ნიშნების მიმართულება წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს, რომლის მიზანია მომხმარებლისთვის კონკურენტული და დიფერენცირებული შეთავაზების შექმნა, პარალელურად კი – კომპანიის მომგებიანობისა და ბაზარზე პოზიციონირების გაძლიერება. დღეის მდგომარეობით, კომპანიის პორტფელში წარმოდგენილია რამდენიმე Private Label ბრენდი – Tomato, Ambri, №1 და Bonna – რომლებიც ოპერირებენ სხვადასხვა საფასო სეგმენტში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება Bonna ბრენდის განვითარებაზე, რომელიც ხარისხის მკაცრ კონტროლსა და თანამედროვე შეფუთვის სტანდარტებზე დაყრდნობით პოზიციონირებულია საშუალო და მაღალ საფასო კატეგორიაში. PL-ის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში კომპანია გეგმავს:
- Bonna ბრენდის ქვეშ დამატებით უნიკალური პროდუქტის ჩაშვებას;
 - ლიბრეს ქსელისთვის ახალი Private Label ბრენდის შექმნას;
 - ექსკლუზიური ასორტიმენტის განვითარებას და მომხმარებლის ლოიალურობის გაძლიერებას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია აძლიერებს თანამშრომლობას არსებულ მომწოდებლებთან და მუშაობს ახალი საწარმოო პარტნიორების მოძიებაზე, რაც უზრუნველყოფს Private Label პორტფელის მდგრად და მასშტაბურ განვითარებას.

4. ხილბოსტნის მიმართულების განვითარება – ხილ-ბოსტნის მიმართულება წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს და მოიცავს როგორც ასორტიმენტის გაფართოებას, ისე ოპერაციული ეფექტურობის სისტემურ ზრდას.

ძირითადი მიმართულებებია:

- ასორტიმენტის განვითარება – შეფუთული პროდუქციის წილის მნიშვნელოვანი ზრდა, მათ შორის დაჭრილი და მზა მოხმარებისთვის განკუთვნილი სალათების (fresh-cut) კატეგორიის განვითარება, რაც პასუხობს მომხმარებლის მზარდ მოთხოვნას მოხერხებულ პროდუქტებზე და ზრდის კატეგორიის კონკურენტუნარიანობას;
- მომარაგების სტაბილურობა – ძირითადი მაღაზიებისთვის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა, რაც გააუმჯობესებს პროდუქციის ხელმისაწვდომობას და მინიმუმამდე დაიყვანს თაროებზე პროდუქციის არყოფნის რისკს;
- ოპერაციული ეფექტურობის ზრდა – ავტოპარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება ელექტრომობილებით, პროცესების ავტომატიზაცია და დანაკარგების კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ხარჯების ოპტიმიზაციას და მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას;
- ინფრასტრუქტურის გაფართოება – სასაწყობო ინფრასტრუქტურის გაფართოება, რომელიც პასუხობს გაზრდილ ოპერაციულ მოცულობებს და უზრუნველყოფს მასშტაბირების შესაძლებლობას.

აღნიშნული ინიციატივები მიმართულია შეფუთული პროდუქციის წილის ზრდაზე, დანაკარგების შემცირებასა და პროდუქციის ვარგისიანობის პერიოდის გაუმჯობესებაზე, რაც გააძლიერებს კომპანიის კონკურენტულ პოზიციას ხილ-ბოსტნეულის კატეგორიაში.

5. კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია – კომპანიას დანერგილი აქვს SAP – მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესების მდგრადობას, მონაცემთა მთლიანობასა და ოპერაციული მართვის სტაბილურობას. ამ პლატფორმის ბაზაზე კომპანია გააგრძელებს ტრანსფორმაციას შემდეგი მიმართულებებით:
- ავტო-შეკვეთების სისტემა: მაღაზიების მომარაგების ავტომატიზებული მართვა მარაგების ოპტიმიზაციისა და პროდუქციის მაღალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

- ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია: მონაცემთა ანალიტიკის გამოყენება მოთხოვნის პროგნოზირების, ფასწარმოქმნის, ასორტიმენტის მართვისა და დანაკარგების კონტროლისთვის.
 - მონაცემებზე დაფუძნებული მართვა: ახალი ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაცემთა წილის გასაზრდელად.
 - სერვისის ავტომატიზაცია: მსხვილფორმატიან მაღაზიებში თვითმომსახურების ტერმინალების აქტიური გავრცელება საკასო პროცესების ეფექტურობისა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით.
6. განახლებადი ენერჯის გამოყენება კომპანია აქტიურად ნერგავს განახლებადი ენერჯის გადაწყვეტებს და სისტემატურად ზრდის მზის ენერჯის წილს საკუთარ მოხმარებაში. დღეის მდგომარეობით დამონტაჟებულია 580 კვტ-ზე მეტი სიმძლავრის მზის პანელები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სავაჭრო ობიექტებსა და საწყობებში. დამატებით, მიმდინარეობს 240 კვტ სიმძლავრის მზის პანელების სამონტაჟო სამუშაოები, რომელთა ექსპლუატაციაში ჩაშვება უახლოეს მომავალში იგეგმება. კომპანია სამომავლოდაც გააგრძელებს ინვესტირებას განახლებად ენერჯიაში – როგორც სავაჭრო ობიექტებში, ისე სასაწყობე ინფრასტრუქტურაში – რაც ხელს უწყობს ენერგობარჯების ოპტიმიზაციას, ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას და წარმოადგენს კომპანიის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს.

სს „ნიკორა ტრეიდი“ არის ნიკორა ჰოლდინგის („ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“) წევრი.

1.1.3 სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის მიმოხილვა

ჯგუფის სტრუქტურა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



ზემოთ მოცემულ სტრუქტურაში მოცემულია მხოლოდ მოქმედი კომპანიები.

სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- ა) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათების და ღვინის წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, კორიდა, მზარეული I, ჩვენი ფერმერი, კულინარი, ვაკიჯვრის კალმახი, ოკეანე და ნაფარეულის ძველი მარანი;
- ბ) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება ნიკორა ტრეიდის მეშვეობით;
- გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ პარტნიორი და კორიდა (ნაწილობრივ);

დ) სასამეღობის, სხვადასხვა საკვები პროდუქციის და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც ინტრეიდი და მულტიტრეიდი ახორციელებენ.

შპს „ნიკორა“ – კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანიის ასორტიმენტი მოიცავს 120-მდე სახეობის ხორცპროდუქტს და ნახევარფაბრიკატს.

შპს „კორიდა“ – შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს დასავლეთ საქართველოში.

შპს „პარტნიორი“ – ახდენს ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული და ასევე იმპორტირებული პროდუქციის დისტრიბუციას შიდა და გარე ქსელში.

შპს „ინტრეიდი“ – კომპანია ევროპის ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების, ასევე მაღალხარისხიანი საკვები პროდუქტების იმპორტს აწარმოებს.

შპს „ოკვანე“ – აწარმოებს ზღვის პროდუქტებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს.

შპს „მულტი ტრეიდი“ – კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე გასაყიდად, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „კორიდასთვის“.

შპს „მზარეული 1“ – პურ-ფუნთუშეულის, გაყინული გამომცხვარი პროდუქციის წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.

შპს „ჩვენი ფერმერი“ – კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე „დღის პროდუქტის“ სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი „პალომა“-ს სახელით.

შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.

შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი „აგია“) ფლობს საკალმახე მეურნეობას და აწარმოებს კალმახს და ხიზილალას.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - კომპანია ფლობს ვენახებს ნაფარეულის ზონაში.


შპს „ნიკორა ბაკურიანი“ – ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების მენეჯმენტი.

შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა აქსესუარების და საყოფაცხოვრებო ქიმიის იმპორტი ნიკორა ტრეიდის სუპერმარკეტების ქსელისთვის

შპს „რეფ ელი“ – უძრავი ქონების მართვა

შპს „რეფ ბი“ – უძრავი ქონების მართვა

გაყიდვები ჯგუფის შიგნით




„კომპანის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

საქართველოს გააჩნია დივერსიფიცირებული მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც სტაბილურ პერიოდში ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. 2024 წელს მშპ-ს ზრდამ 9.4% შეადგინა, ხოლო 2025 წელს 7.5%-ით გაიზარდა. Galt & Taggart-ის პროგნოზით 2026 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.0%-ით გაიზრდება. რასაც ხელს შეუწყობს სოლიდური სავალუტო შემოდინებების გაგრძელება (განსაკუთრებით ტურიზმიდან, რომლის შემოსავალიც 4.9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს, Galt & Taggart-ის შეფასებით), ლარის სტაბილურობა და ინფლაციის ტემპის შენელება, რაც სამომხმარებლო და საინვესტიციო განწყობებზე პოზიტიურად აისახება. დამატებით, ეკონომიკურ აქტივობაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს მთავრობის კაპიტალური ხარჯების 9.4%-იანი წლიური ზრდა და მონეტარული პოლიტიკის მოსალოდნელი შერბილება. Galt & Taggart-ის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა 5.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით, 2024 წელს მთავრობის საგარეო ვალის შეფარდებამ ნომინალურ მშპ-სთან 24.9% შეადგინა, ხოლო 2025 წელს ნიშნული 23.2% იყო.


ფასების სტაბილურობის მისაღწევად სებ-ი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს მისდევს და ინფლაციის სამიზნე ნიშნული 3%-ს შეადგენს. 2024 წელს ფასების დონის ზრდამ 1.1%- შეადგინა, ხოლო 2025 წელს 3,9% იყო

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან), %



წყარო: საქსტატი

ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2025 წელს საქონლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 11.2%-ით გაიზარდა. ამასთან ევროკავშირში ექსპორტი გაზრდილია 52.8%-ით, დსთ-ს ქვეყნებში გაზრდილია 11.5%-ით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში შემცირებულია 6.3%-ით. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი წინასწარი მონაცემებით 10.0%-ით გაიზარდა.

ტურიზმის სფერო ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამაზე მეტყველებს ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა წლების განმავლობაში. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2024 წელს 7.3%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, 2025 წელს - 6.0%-ით. მაჩვენებელი 2024 წელს 135.4%-ით აღდგა, 2025 წელს - 143.5%-ით. გაზრდილია საერთაშორისო ტურისტების რაოდენობაც. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2025 წელს წინა წელთან შედარებით 400 ათასით გაიზარდა და 6.86 მილიონი შეადგინა. ამასთან ევროპიდან ვიზიტების რაოდენობა მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 81.4%-ის ტოლი იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად 2025 წლის მეოთხე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 229.8 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 484.5 მლნ აშშ დოლარი (1.3 მლრდ ლარი) შეადგინა (მთლიანი შიდა პროდუქტის 4.6%). ჯამურად, 2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, წინა წელთან შედარებით, 803.9 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 1 008.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2025 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 2.6 პროცენტი იყო, რაც საქართველოსათვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2025 წლის მეოთხე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დიდი კომპონენტი, კვლავ საქონლით ვაჭრობა იყო, რომლის უარყოფითი სალდო წლიურად 6.3 პროცენტით გაიზარდა და 1.9 მლრდ აშშ დოლარი (5.0 მლრდ ლარი) შეადგინა. საქონლის ექსპორტი წლიურად 20.9 პროცენტით, ხოლო იმპორტი 14.7 პროცენტით გაიზარდა.

IMF-ის პროგნოზის მიხედვით საქართველოს ეკონომიკა 2026 წელს 5.3%-ით გაიზრდება.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-ს შეადგენს. განაკვეთი არ შეცვლილა 2024 წლის 22 მაისის შემდეგ.

1.1.4 ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობამ 3.9 მლნ ადამიანი შეადგინა.

თბილისში 1.34 მლნ ადამიანი ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის 34%-ს შეადგენს. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის 62.2% ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში.

(ათასებში)	2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
თბილისი	1,336	34.0%
იმერეთი	509	12.9%
ქვემო ქართლი	441	11.2%
აჭარა	404	10.3%
კახეთი	303	7.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	305	7.8%
შიდა ქართლი	251	6.4%
სამცხე-ჯავახეთი	155	4.0%
გურია	102	2.6%
მცხეთა-მთიანეთი	94	2.4%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30	0.8%
სულ	3,930	100.00%

წყარო: სტატისტიკა

1.15 ძირითადი ბაზრები

სს “ნიკორა ტრეიდი” ჩართულია ორგანიზებული საცალო ვაჭრობის საქმიანობაში.

თიბისი კაპიტალის კვლევის თანახმად, 2024 წელს სურსათის თანამედროვე FMCG ბაზრის წილი მთლიან ინდუსტრიაში 37%-ია. 2025 წლის წინასწარი მონაცემებით ეს მაჩვენებელი 38%-ს უტოლდება. სს ნიკორა ტრეიდი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკავებს ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას.

2024 წელს ტოპ მოთამაშეების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები/კოეფიციენტები შემდეგი იყო:

	ნიკორა ტრეიდი	ორი ნაბიჯი	SPAR	კარფური
გაყიდვები	1 304 266	1 355 580	542 613	789 080
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-973 635	-1 112 099	-418 447	-620 498
საერთო მოგება	330 631	243 481	124 166	168 582
საერთო მოგების მარჟა	25,35%	17,96%	22,88%	21,36%
EBITDA	93 324	118 145	16 050	14 654
EBITDA მარჟა	7,16%	8,72%	2,96%	1,86%
EBIT	33 400	75 347	-15 812	-11 922
EBIT მარჟა	2,56%	5,56%	-2,91%	-1,51%
წმინდა მოგება	11 340	52 976	-8 236	-34 641
წმინდა მოგების მარჟა	0,87%	3,91%	-1,52%	-4,39%
მიმდინარე აქტივები	203 767	132 714	186 312	147 063
გრძელვადიანი აქტივები	350 351	189 179	159 206	76 644
მიმდინარე ვალდებულებები	259 512	239 068	148 161	190 475
გრძელვადიანი ვალდებულებები	192 066	81 963	466 655	244 804
კაპიტალი	102 540	862	-269 298	-211 572
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები	53 220	94 183	19 681	51 259
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები	-36 907	-27 256	-71 708	-11 295
წმინდა ფინანსური ფულადი ნაკადები	-16 526	-79 897	-25 001	-46 119
სესხები/EBITDA	0,70	-	27,20	-
(სესხები-ფული)/EBITDA	0,51	-	27,05	-3,87
EBIT/ფინანსური ხარჯი (ICR)	1,73	9,51	-0,56	-0,61
გაყიდვები/აქტივები	2,35	4,21	1,57	3,53
მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები	0,79	0,56	1,26	0,77
ვალდებულებები/კაპიტალი	4,40	372,43	-2,28	-2,06

1.1.6 საკვები პროდუქტებით საცალო ვაჭრობა

საქართველოში მომხმარებელი განკარგავდი შემოსავლის დაახლოებით მესამედს სურსათსა და არა-ალკოჰოლურ სასმელზე ხარჯავს. ეს მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდება - 2021 წლის 32.16%-დან 2025 წელს 34.47%-მდე გაიზარდა

განვითარებულ ქვეყნებში საკვებ პროდუქციაზე დანახარჯის წილი სამომხმარებლო კალათში შედარებით დაბალია. თუმცა, აბსოლუტურ მნიშვნელობაში დანახარჯები იზრდება ერთ მოსახლეზე მშპ-ს ზრდასთან ერთად.

ძირითადი მოთამაშეები სურსათის საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით

თიბისი კაპიტალის FMCG სექტორის კვლევის თანახმად, 2025 წელს სს ნიკორა ტრეიდი გაყიდვების მოცულობით ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია.

FMCG ბაზარი რამდენიმე მსხვილი მოთამაშით არის წარმოდგენილი და გარემო საკმაოდ მაღალი კონკურენციით ხასიათდება. ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები შემდეგი კომპანიებია:

კარფური - წარმოდგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა საქართველოში და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 97 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო ლეიბლებს.


ორი ნაბიჯი - 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი. ქსელი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 529 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. ორი ნაბიჯი უბნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან.

დეილი ჯგუფი - კონკურენციის სააგენტოს მიერ 2024 წელს გაცემული ნებართვების შედეგად, "დეილის" ჯგუფი აერთიანებს "სპარის", "იოლის", "დეილის", "კალათას", "გვირილასა" და "მაგნიტის" ქსელებს. თიბისი კაპიტალის თანახმად 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით ქსელი ფლობს ორგანიზებული ბაზრის 33%-იან წილს

გუდვილი - არის პირველი ქართული ჰიპერმარკეტების ქსელი და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე წარმოდგენილია 9 მაღაზიით. ამასთან 7 ლოკაცია აქვს თბილისში, 2 კი - ბათუმში.

ვეროპროდუქტი - ადგილობრივი ბრენდია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და საქმიანობა იმპორტიორად დაიწყო. ამჟამად კომპანია ბაზარზე 41 მაღაზიითაა წარმოდგენილი. კომპანია გეგმავს ქვეყნის მასშტაბით გაფართოვებას.

ორგანიზებული ბაზრის განაწილება 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით



წყარო: თიბისი კაპიტალი

ბიზნესი და ოპერაციები

ბოლო ათი წლის განმავლობაში ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა მოხმარების დონის ზრდას ქვეყანაში. მომხმარებლები საცალო ვაჭრობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვდნენ და შედეგად გაჩნდა ინდუსტრიის კონსოლიდაციის საჭიროება. აქციონერთა მხარდაჭერით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა. მაღაზიების ქსელი აგრესიულად გაიზარდა როგორც ორგანული ზრდის, ასევე შესყიდვების მეშვეობით.

2010 წელს სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფმა“ გაამაგრა თავისი პოზიციები სუპერმარკეტების ქსელი „მასივის“ შექმნით და დაიწყო მაღაზიათა გადაიარაღება. სუპერმარკეტების ქსელი „მასივი“ ეკუთვნოდა შპს „მასივს“, რომელიც დღეს, სახელწოდების და სამართლებრივი ფორმის ცვლილების შემდეგ არის სს „ნიკორა ტრეიდი“.

სს „ნიკორა ტრეიდი“ (ყოფილი შპს „მასივი“), ფიზიკური პირების მიერ დაფუძნდა 2006 წელს, შპს „მასივის“ სახელწოდებით და ოპერირებდა საცალო ვაჭრობის სფეროში. 2010 წელს სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფმა“ შეიძინა შპს „მასივის“ 100%-იანი წილი, რის შემდეგაც კომპანიის სახელწოდება შეიცვალა და გახდა შპს „ნიკორა ტრეიდი“.

2010 წლიდან სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული სუპერმარკეტები გადავიდა სს „ნიკორა ტრეიდის“ მფლობელობაში, მოხდა სავაჭრო ქსელის გაერთიანება და მას შემდეგ კომპანია ერთიანი ქსელის სახით განაგრძობს ოპერირებას.

2011 წლისთვის სს ნიკორა ტრეიდი ფლობდა 70 თანამედროვე მაღაზიას, რომლებიც მომხმარებელს მაღალი ხარისხის სავაჭრო მომსახურებას სთავაზობდნენ. ამ დროისთვის „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ თავს იმკვიდრებდა როგორც ინდუსტრიის ლიდერი.


2014 წელს ნიკორა ტრეიდიმა სუპერმარკეტების ქსელები სანდვი და კი ბატონო შეიძინა.

2015 წლის აგვისტოში სს ნიკორა ტრეიდიმა „ნუგეშის“ ქსელი შეიძინა. ლიბრეს შექმნით „კომპანია“ ჰიპერმარკეტების ბაზარზე შევიდა. ქსელების ინტეგრაციასთან ერთად, ნიკორა ტრეიდი ლიდერი გახდა 8 წამყვან საცალო ქსელს შორის.

2021-2024 წლებში სავაჭრო ქსელს 307 ახალი მაღაზია დაემატა და 2025 წლის დეკემბრის ბოლოს ნიკორა ტრეიდი სხვადასხვა ფორმატის 674 მაღაზიას მოიცავდა, რომელთა ზომა 30კვ.მ დან 1000 კვ.მ-მდე მერყეობს და ქვეყნის მთელ ტერიტორიას ფარავს. კომპანიას 2025 წლის ბოლოს 8,800-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა.

ნიკორა ტრეიდის ქსელის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლების მიმოხილვა


ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტების რაოდენობა¹



წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები


¹ არ მოიცავს კაფეებს

სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ფართების მიხედვით, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით²



წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები

საშუალო გაყიდვების მოცულობა ერთ კვადრატულ მეტრზე, დღ-ს გარეშე



წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები

² არ მოიცავს კაფეებს

სავაჭრო ფართი 2022-2025 წლებში (კვადრატულ მეტრებში):

სავაჭრო ფართი წლის ბოლოს მდგომარეობით, კვადრატულ მეტრებში	2023	2024	2025
	101 176	109 610	118 327

წყარო: კომპანიის შიდა მონაცემები

ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის ნაწილი ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

კომპანიას 180-ზე მეტი სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს კომპანია ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. კომპანია შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა „კომპანიამ“ საუკეთესო საბაზრო ფასს მიაღწიოს.

კომპანიის არსებობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევებს.

ფინანსური ინფორმაცია

სს ნიკორა ტრეიდის 2025 წლის ფინანსური ანგარიშგება აუდირებული იყო Baker Tilly საქართველოს მიერ. 2025 წლის, ისევე როგორც წინა წლების, აუდირებული დასკვნა მოდიფიცირებულია. მოდიფიცირების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო გუდვილი საბალანსო ღირებულებით 38,560 ათასი ლარი (2024: 38,560 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილი ერთეულებისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 47,430 ლარს (2024 - 45,590). 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის მომავალი ფულადი ნაკადები და შესაბამისი დაშვებები განსაზღვრა აშშ დოლარში. აქტივთა ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ნიკორა ტრეიდი“ ფლობდა შპს „ნუგეშის“ 100%-იან წილს და შპს „ლაზი ჰოლდინგის“ 67%-იან წილს. „კომპანიის“ ორივე შვილობილი კომპანია უმოქმედოა და უმეტესწილად არ გააჩნია მატერიალური აქტივები.

მომდევნო ტექსტი ეფუძნება აუდიტორულად შემოწმებულ რიცხვებს, თუ სხვა რამ არ არის ნახსენები. კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს ნიკორა ტრეიდის შვილობილი კომპანიების, შპს ლაზი ჰოლდინგისა (წილობრივი მონაწილეობა – 67%) და შპს ნუგეშის (წილობრივი მონაწილეობა – 100%) მონაცემებსაც.

დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ კომპანიის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

1.1.7 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	აუდირებული 2025 წლის 31 დეკემბერი	აუდირებული 2024 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
გუდვილი	38,560	38,560
ძირითადი საშუალებები	143,175	135,907
აქტივების გამოყენების უფლება	192,740	163,250
არამატერიალური აქტივები	11,867	9,457
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	1,579	3,177
სულ გრძელვადიანი აქტივები	387,921	350,351
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>		
მარაგები	198,584	177,953
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,489	8,276
გაცემული სესხები	-	114
სადეპოზიტო სერტიფიკატები	5,208	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	80,324	17,424
სულ მოკლევადიანი აქტივები	291,605	203,767
სულ აქტივები	679,526	554,118
კაპიტალი და ვალდებულებები		
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>		
სააქციო კაპიტალი	21,800	21,800
საემისიო კაპიტალი	18,910	18,910
გადაფასების რეზერვი	8,023	8,738
აკუმულირებული მოგება/(დაგროვილი ზარალი)	44,678	53,092
სულ კაპიტალი და რეზერვები	93,411	102,540
არამაკონტროლებელი წილი	-	-
სულ კაპიტალი	93,411	102,540
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
ობლიგაციები და სესხები	147,221	60,000
საიჯარო ვალდებულებები	155,082	132,066
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	302,303	192,066
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	239,799	219,706
ობლიგაციები და სესხები	8,647	4,864
საიჯარო ვალდებულებები	35,366	34,942
გადასახდელი დივიდენდები დამფუძნებლებისათვის	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	283,812	259,512
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	679,526	554,118

1.1.8 კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	აუდირებული 2025	აუდირებული 2024
ამონაგები	1,433,874	1,304,266
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,098,178)	(973,635)
საერთო მოგება	335,696	330,631
სხვა შემოსავალი	1,741	1,330
მიწოდების ხარჯები	(297,324)	(275,181)
ადმინისტრაციული ხარჯები	(27,472)	(23,380)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	1,011	789
ფინანსური შემოსავალი	904	2,531
ფინანსური ხარჯები	(21,470)	(19,323)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო	6,744	(6,004)
მოგება დაბეგვრამდე	(170)	11,393
მოგების გადასახადის ხარჯი	(33)	(53)
წლის მოგება	(203)	11,340
მოგება ძირითადი საშუალების გადაფასებიდან	(715)	2,447
წლის სრული შემოსავალი	(918)	13,387
სულ გაერთიანებული შემოსავალი	(918)	13,787

1.1.9 კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს მიკუთვნებული
31 დეკემბერი 2023	21,800	18,910	6,291	50,699	97,700
წლის მოგება	-	-	-	11,340	11,340
სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,447	-	2,447
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებზე	-	-	-	(8,947)	(8,947)
31 დეკემბერი 2024	21,800	18,910	8,738	53,092	102,540
წლის მოგება	-	-	-	(203)	(203)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(715)	-	(715)
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებზე	-	-	-	(8,211)	(8,211)
31 დეკემბერი 2025	21,800	18,910	8,023	44,678	93,411

1.1.10 ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	IFRS 16-ით აუდირებული 2025	IFRS 16-ით აუდირებული 2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(170)	11,393
<i>კორექტირებები:</i>	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	66,294	59,924
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	193	(137)
მარაგების დანაკარგები	42,926	25,835
საპროცენტო ხარჯი	21,470	19,323
ფინანსური შემოსავალი	(904)	(2,531)
(მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(6,744)	6,004
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	123,065	119,811
მარაგების (ზრდა)	(63,557)	(71,886)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	2,143	(2,466)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	20,093	23,759
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	81,744	69,218
გადახდილი პროცენტები	(25,496)	(18,478)
გადახდილი მოგების გადასახადი	(33)	(53)
მიღებული პროცენტი	1,982	2,533
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	58,197	53220
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37,989)	(57,298)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(2,178)	(3,031)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები	592	422
სესხის გაცემა/(დაფარვა)	6	23,000
სადეპოზიტო სერტიფიკატზე გადატანილი თანხა	(5,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44,569)	(36,907)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(8,118)	(8,930)
სესხებიდან მიღებული თანხები	94,008	-
ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	-	59,755
სესხების დაფარვა	59,910	-
ობლიგაციების დაფარვა	(64,010)	(35,000)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-	(32,351)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	49,271	(16,526)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	62,899	(213)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17,424	17,633
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	1	4
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	80,324	17,424

1.1.11 არააუდირებული ფინანსური უწყისები IFRS 16 გავლენის გარეშე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, IFRS 16 გავლენის გარეშე

ათასი ლარი	2025 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
გუდვილი	38,560	38,560
ძირითადი საშუალებები	143,175	135,907
აქტივების გამოყენების უფლება	-	-
არამატერიალური აქტივები	11,867	9,457
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,579	3,177
სულ გრძელვადიანი აქტივები	195,181	187,101
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>		
მარაგები	198,584	177,953
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,489	8,276
გაცემული სესხები	-	114
სადეპოზიტო სერტიფიკატები	5,208	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	80,324	17,424
სულ მოკლევადიანი აქტივები	291,605	203,767
სულ აქტივები	486,786	390,868
კაპიტალი და ვალდებულებები		
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>		
სააქციო კაპიტალი	21,800	21,800
საემისიო კაპიტალი	18,910	18,910
გადაფასების რეზერვი	8,023	8,738
აკუმულირებული მოგება/(დაგროვილი ზარალი)	38,705	53,723
სულ კაპიტალი და რეზერვები	87,438	103,171
არამაკონტროლებელი წილი	-	-
სულ კაპიტალი	87,438	103,171
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
ობლიგაციები და სესხები	147,221	60,000
საიჯარო ვალდებულებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	147,221	60,000
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	243,480	222,833
ობლიგაციები და სესხები	8,647	4,864
საიჯარო ვალდებულებები	-	-
გადასახდელი დივიდენდები დამფუძნებლებისათვის	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	252,127	227,697
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	486,786	390,868

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, IFRS 16 გავლენის გარეშე

ათასი ლარი	2025	2024
ამონაგები	1,433,874	1,304,266
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,098,178)	(973,635)
საერთო მოგება	335,696	330,631
სხვა შემოსავალი	1,741	1,330
მიწოდების ხარჯები	(312,876)	(289,808)
ადმინისტრაციული ხარჯები	(27,472)	(23,380)
სხვა მოგება ნეტო	771	108
ფინანსური შემოსავალი	904	2,531
ფინანსური ხარჯები	(5,537)	(5,813)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო	(2)	(36)
მოგება დაბეგრამდე	(6,774)	15,564
მოგების გადასახადის ხარჯი	(33)	(53)
წლის მოგება/(ზარალი)	(6,807)	15,511
მოგება ძირითადი საშუალების გადაფასებიდან	(715)	2,447
წლის სრული შემოსავლი/(ზარალი)	(7,522)	17,958
სულ გაერთიანებული შემოსავალი(ზარალი)	(7,522)	17,958

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, IFRS 16 გავლენის გარეშე


ათასი ლარი	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(6,774)	15,564
<i>კორექტირებები:</i>	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	32,347	28,963
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გავლიდან	193	(137)
მარაგების დანაკარგები	42,926	25,835
საპროცენტო ხარჯი	5,537	5,813
ფინანსური შემოსავალი	(904)	(2,531)
(მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2	36
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე</i>	<i>73,326</i>	<i>73,542</i>
მარაგების (ზრდა)	(63,557)	(71,886)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	2,143	(2,466)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	21,380	24,166
<i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>33,292</i>	<i>23,356</i>
გადახდილი პროცენტები	(9,563)	(4,968)
გადახდილი მოგების გადასახადი	(33)	(53)
მიღებული პროცენტი	1,982	2,533
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	25,678	20,869
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37,989)	(57,298)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(2,178)	(3,031)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები	592	422
სესხის გაცემა/(დაფარვა)	6	23,000
სადეპოზიტო სერტიფიკატზე გადატანილი თანხა	(5,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44,569)	(36,907)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(8,118)	(8,930)
სესხებიდან მიღებული თანხები	94,008	-
ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	59,910	59,755
სესხების დაფარვა	(64,010)	-
ობლიგაციების დაფარვა	-	(35,000)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	81,790	15,825
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	62,899	(213)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17,424	17,633
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა	1	4
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	80,324	17,424

1.1.12 საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის აქტივები


კომპანიის საბალანსო უწყისის ზომა ისტორიულად მნიშვნელოვნად იზრდებოდა.

კომპანიის აქტივები (მილიონი ლარი)



წყარო: მენეჯერული ანგარიშგებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხით (თუკი გაუფასურებას ჰქონდა ადგილი).

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით (თუკი გაუფასურებას ჰქონდა ადგილი). თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასის, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჯამით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები წარმოადგენს საცალო ქსელის აქტივების ძირითად ნაწილს. კომპანიის ძირითადი საშუალებები სტაბილურად იზრდებოდა ბოლო წლების განმავლობაში. 2025 წელს წინა წელთან შედარებით საბალანსო ღირებულება 5.3%-ით გაიზარდა და 143.2 მლნ ლარს გაუტოლდა (2024: 135.9 მლნ ლარი).

„ნიკორა ტრეიდის“ ერთი სასაწყობე უძრავი ქონება დაგირავებულია სს თიბისის ბანკის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

გუდვილი

აქტივებს შორის ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტი 38.6 მილიონი ლარის ღირებულების მქონე გუდვილია, რომელიც „ნუგემის“ ქსელის შესყიდვის შემდეგ გაჩნდა.

ყოველ წელს ხდება გუდვილის ტესტირება გაუფასურებაზე. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია აუდიტის დასკვნაში.

სავაჭრო მოთხოვნები და სასაქონლო მარაგები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2025 წლის 31 დეკემბერს გაუტოლდა 7.5 მილიონ ლარს, რაც მთლიანი აქტივების 1.1% იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს კომპანიის მიერ მისი მომწოდებლებისგან მიღებულ რეტრო ბონუსებს, რეტრო ბონუსები არის ფასდათმობის სახეობა, რომელიც მყიდველს (ამ შემთხვევაში სს ნიკორა ტრეიდს) მიეცემა მომწოდებლისგან მის მიერ შემენილი პროდუქციის ღირებულების ნაწილის უკან დაბრუნების გზით, გაყიდვის წახალისების მიზნობრივობით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მომწოდებლების მიმართ დავალიანება მუდმივად აღემატება მათ მიმართ არსებულ მოთხოვნებს (რეტრო ბონუსებს).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2025	2024
ღირებულება (ათასი ლარი)	7,489	8,276
წილი მიმდინარე აქტივებში	2.57%	4.06%
წილი მთლიან აქტივებში	1.10%	1.49%

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები მთლიანი აქტივების 29.2%, იგივე 198.6 მილიონი შეადგინა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად მაღაზიებსა და საწყობებში არსებულ გასაყიდ პროდუქციას მოიცავს.

სასაქონლო მარაგები	2025	2024
ღირებულება (ათასი ლარი)	198,584	177,953
წილი მიმდინარე აქტივებში	68.10%	87.33%
წილი მთლიან აქტივებში	29.22%	32.11%

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, საბრუნავი კაპიტალი საკმარისია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად შემდეგი ერთი წლის მანძილზე. კომპანია საბრუნავ კაპიტალს აფინანსებს კრედიტორული ვალდებულებების და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ხარჯზე. დაფინანსების მსგავსი მოდელი მიღებული პრაქტიკაა საცალო ვაჭრობის სფეროში.

კომპანიის მიმდინარე და სამომავლო სასაქონლო მარაგები დაგირავებულია სს თიბისი ბანკის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და განსაზღვრულია მაქსიმალური მოთხოვნის მოცულობის ლიმიტი 40 მლნ ლარი.

ფული და ფულის ექვივალენტები

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული ნაღდი ფულის მოცულობა იყო 80.3 მილიონი.

(ათასი ლარი)	2025	2024
ფული სალაროში	1,687	1,686
შეზღუდული ფული	-	-
საბანკო ანგარიშები	78,637	15,738
სულ	80,324	17,424

აღნიშნული წლების განმავლობაში კომპანიას არ უსარგებლია საბანკო ოვერდრაფტით.

კომპანიის ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

საცალო ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომპანიები ხშირად იყენებენ სავაჭრო ვალდებულებებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. შედეგად, სავაჭრო ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სს ნიკორა ტრეიდის საბალანსო სტრუქტურა იმეორებს აღნიშნულ მოდელს.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის გაფართოებასთან ერთად მისი სავაჭრო ვალდებულებები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2025 წლის ბოლოს სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებამ 239.8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ვალდებულებების 40.9%-ის ტოლია.

(ათასი ლარი)	2025	2024
ღირებულება	239,799	219,706
წილი მიმდინარე ვალდებულებებში	84.49%	84.66%
წილი მთლიან ვალდებულებებში	40.91%	48.65%

სესხები და ობლიგაციები

კომპანიის ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი ვალდებულებების 26.6%) წარმოადგენს სესხებს და ობლიგაციებს. კომპანიას სესხები აქვს აღებული დაკავშირებული მხარისგან (მფლობელი კომპანიისგან - სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფისგან). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხებმა და ობლიგაციებმა 155,8 მილიონი ლარი შეადგინა.

(ათასი ლარი)	2025	2024
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	30,016	-
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	3,685	3,688
ობლიგაციები	122,168	61,176
სულ სესხები და ობლიგაციები	155,869	64,864
წილი მთლიან ვალდებულებებში	26.59%	14.36%

სესხები

სესხების ჩაშლა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

პროდუქტი	კრედიტორი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	ნაშთი ³	ნაშთი ⁴	გადახდის ტიპი
ვადიანი სესხი	სს ნიკორა	GEL	20-დეკ-29	3 600	3 600	ბულეტი
ბიზნეს სესხი	სს თიბისი ბანკი	GEL	23-დეკ-29	30 000	30 000	ანუიტეტი
საკრედიტო ხაზი	სს თიბისი ბანკი	GEL	20-აპრ-26	4 000	4 000	ბულეტი
სულ					45 600	

2024 და 2025 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას.

³ პერიოდის ბოლოს, ნომინალური ვალუტა (ათასებში)

⁴ პერიოდის ბოლოს, ლარი (ათასებში)

ობლიგაციები

სს ნიკორა ტრეიდმა თიბისი კაპიტალის დახმარებით კაპიტალის ბაზარზე ბოლო 12 თვის მანძილზე 120 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები განათავსა. ფასიანი ქაღალდები გამოიცა ორ ტრანშად.

- პირველი ტრანშის სახით 2024 წლის 17 ოქტომბერს ბაზარზე 60 მილიონი ლარი განთავსდა. ფასიანი ქაღალდებს ერიცხება წლიური 3 თვიანი თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 325 საბაზისო პუნქტი (3.25%) და მისი გადახდა წარმოებს კვარტლურად. კომპანია ობლიგაციებს სრულად 2029 წლის 17 ოქტომბერს დაფარავს
- მეორე ტრანშის სახით 2025 წლის 30 ივლისს კაპიტალის ბაზარზე 60 მილიონი ლარი განთავსდა. ფასიანი ქაღალდებს ერიცხება წლიური 3 თვიანი თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 350 საბაზისო პუნქტი (3.50%) და მისი გადახდა წარმოებს კვარტლურად. კომპანია ობლიგაციებს სრულად 2030 წლის 30 ივლისს დაფარავს

კომპანიის ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ ფინანსურ შემზღვეველ პირობებს. სს ნიკორა ტრეიდს ეზღუდება დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღება თუ წმინდა ფინანსური ვალდებულებები (ახალი ვალდებულების გათვალისწინებით) EBITDA-ს აღემატება 2024-2027 წლებში მაქსიმუმ 4-ჯერ, 2027 წლის შემდეგ კი მაქსიმუმ 3.5-ჯერ. ობლიგაციების კონტრაქტი გულისხმობს შეზღუდვებს დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებითაც.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არასუბორდინირებულ და პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

1.1.13 კაპიტალი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სამართლებრივი ფორმა იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო მისი 100%-იანი წილის მფლობელი სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი.

2017 წლის 31 ივლისში კომპანიამ შეიცვალა იურიდიული ფორმა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. ავტორიზებულმა სააქციო კაპიტალმა შეადგინა 10,000,000 ჩვეულებრივი აქცია და თითო აქციის ღირებულებად განისაზღვრა 2.18 ლარი.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სააქციო კაპიტალი იყო 21,800 ათასი ლარი. დამატებით, აღნიშნული პერიოდისთვის, კომპანია ფლობდა 18,910 ათასი ლარის ღირებულების საემისიო კაპიტალს.

გამომშვებული აქციები	ჩვეულებრივი	ჩვეულებრივი
	აქციები	აქციები
	2025	2024
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა წლის დასაწყისში (2.18 ლარი თითოეული)	10,000	10,000
სააქციო კაპიტალი წლის დასაწყისში (ათასი ლარი)	21,800	21,800
წლის განმავლობაში გამომშვებული და სრულად გადახდილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	-	-
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა წლის ბოლოს (2.18 ლარი თითოეული)	10,000	10,000
სააქციო კაპიტალი წლის ბოლოს (ათასი ლარი)	21,800	21,800
საემისიო კაპიტალი (ათასი ლარი)	18,910	18,910

1.1.14 მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

შემოსავლები

შემოსავლების ძირითადი ნაწილი (2025 წლის მონაცემებით 90%-მდე) მოიცავს ნიკორა ტრეიდის მაღაზიების რეალიზაციებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს სხვა შემოსავლებს.

2025 წელს კომპანიის ჯამური შემოსავლები 9.94%-ით გაიზარდა და 1.4 მლრდ ლარი შეადგინა.

ათასი ლარი	2025	2024
შემოსავალი	1,433,874	1,304,266
რეალიზაციის თვითღირებულება	(1,098,178)	(973,635)
საერთო მოგება	335,696	330,631
საერთო მოგების მარჟა	23.41%	25.35%

შემოსავლებისა და რეალიზაციის თვითღირებულების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ათასი ლარი	2025	2024
შემოსავალი		
საკვები	830,274	743,431
არა-საკვები	603,600	560,835
თვითღირებულება		
პროდუქციის თვითღირებულება	(1,055,252)	(947,800)
მარაგების გაუფასურება და დანაკლისი	(42,926)	(25,835)

რეალიზაციის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილი არის გასაყიდი საქონლის ღირებულება, რომელსაც აკლდება ქეშბეკები. რეალიზაციის თვითღირებულება 2025 წელს 1.1 მილიარდ ლარს გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით 12.8%-ით გაიზარდა. ზრდა კომპანიის გაფართოების შედეგია.


რეალიზაციის წილები რეგიონების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

რეგიონი	2025	2024
თბილისი	66.4%	66.8%
აჭარა	7.1%	7.0%
სამეგრელო	3.8%	3.6%
კახეთი	3.9%	4.1%
იმერეთი	2.6%	3.8%
სამცხე-ჯავახეთი	3.6%	3.0%
ქვემო ქართლი	4.1%	3.9%
შიდა ქართლი	2.9%	2.5%
მცხეთა-მთიანეთი	3.0%	2.9%
გურია	1.5%	1.5%
რაჭალეჩხუმი-ქვემო სვანეთი	0.9%	0.9%
ზემო სვანეთი	0.2%	0.2%
სულ	100.0%	100%

კომპანია პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. იმის ზუსტად დადგენა, თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შეისყიდეს იმპორტის მეშვეობით და შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსებს, მენეჯმენტის განცხადებით შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო გაყიდვები (საბალანსო უწყისზე აღრიცხული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ძირითადი ნაწილი არის მომწოდებლების რეტრო ბონუსები, რომელიც გაშიფრულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაწილში).

2024 წელს საერთო მოგება 330.6 მილიონ ლარს გაუტოლდა, ხოლო 2025 წელს 335.7 მილიონი ლარი შეადგინა და 2024 წელთან შედარებით 1.5%-ით გაიზარდა. საერთო მოგების მარჯამ 2025 წელს 23.41% შეადგინა.



საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

ათასი ლარი	2025	2024
შემოსავალი	1,433,874	1,304,266
საერთო მოგება	335,696	330,631
სხვა შემოსავალი	1,741	1,330
მიწოდების ხარჯი	(297,324)	(275,181)
ადმინისტრაციული ხარჯები	(27,472)	(23,380)
სულ საოპერაციო ხარჯები	(323,055)	(297,231)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	12,641	33,400
საოპერაციო მოგებია მარჟა	0.88%	2.56%

სხვა შემოსავლების კუნქტი მოიცავს საიჯარო შემოსავლებს.

მაღაზიათა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია იზრდება მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯებიც. 2025 წელს მიწოდების ხარჯმა შეადგინა 297.3 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 8.1%-ით ზრდას ნიშნავს.

მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯების დეტალური ჩაშლა მოცემულია ქვედა ცხრილში:

ათასი ლარი	2025	2024
თანამშრომელთა ხელფასი	145,717	138,904
ცვეთა და ამორტიზაცია	61,758	55,715
კომუნალური ხარჯი	31,150	30,304
საბანკო ხარჯი	15,705	10,861
დისტრიბუციის ხარჯი	12,654	10,390
მარკეტინგის ხარჯი	11,216	3,688
საიჯარო ხარჯი	3,783	12,465
რემონტის ხარჯი	2,619	2,606
სხვა	12,722	10,248
სულ მიწოდების ხარჯები	297,324	275,181
წილი შემოსავლებთან	20.7%	21.1%

ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2025 წელს 27.5 მილიონი ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ხარჯი 17.5%-ით გაიზარდა.

ადმინისტრაციული ხარჯების დეტალური ჩაშლა მოცემულია ქვედა ცხრილში:

ათასი ლარი	2025	2024
თანამშრომელთა ხელფასი	11,536	10,624
საგადასახადო ხარჯი	8,129	4,733
ცვეთა და ამორტიზაცია	4,536	4,209
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	490	453
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	472	29
საოფისე ხარჯი	170	312
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	176	1,136
სხვა	1,963	1,884
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	27,472	23,380
წილი შემოსავლებიდან	1.9%	1.8%

2025 წელს საოპერაციო მოგება 12.6 მილიონი ლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ მაღაზიების საიჯარო ხარჯების დაახლოებით 70%-მდე დენომინირებულია აშშ დოლარში. მომავალში კომპანია გეგმავს იჯარის ხარჯები ლარში გადაიყვანოს და კონკრეტული მაღაზიის გაყიდვების მოცულობებს დაუკავშიროს.

არასაოპერაციო ხარჯები და წმინდა მოგება

კომპანიის მომგებიანობაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არასაოპერაციო ხარჯებმა. არასაოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საპროცენტო ხარჯებს და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ მოგება/ზარალს.

ათასი ლარი	2025	2024
ფინანსური შემოსავალი	904	2,531
ფინანსური ხარჯი	(21,470)	(19,323)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	6,744	(6,004)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	1,011	789
მოგება დაბეგრამდე	(170)	11,393
წმინდა მოგების მარჟა	-0.01%	0.87%
მოგების გადასახადის ხარჯი	(33)	(53)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(203)	11,340

არასაოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილების დინამიკა:

- ზედა ცხრილში მოცემული ფინანსური ხარჯი წარმოადგენს საპროცენტო ხარჯებს. 2024 წელს ამ მაჩვენებელმა 19.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2025 წელს 21.5 მილიონი ლარი. საპროცენტო ხარჯის ნაწილი მოიცავს IFRS 16-ის მიღების ეფექტს, რომელმაც შეცვალა იჯარების აღრიცხვის წესი და გაზარდა საპროცენტო ხარჯები
- კომპანიას 2024 წელს 6.0 მილიონი ლარის ზარალი ჰქონდა საკურსო სხვაობიდან. 2025 წელს კი 6.7 მილიონი ლარის მოგება. ამასთან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დოლარის კურსი გაუტოლდა 2.8068-ს, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბერს 2.6951-ს

2024 წელს კომპანია 11.3 მილიონი ლარის წმინდა მოგებაზე გავიდა და მისი წმინდა მოგების მარჟა 0.87%-ს გაუტოლდა. 2025 წელს კომპანია 203 ათასი ლარის ზარალზე გავიდა.

კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუნარიობის, ოპერაციების შეჩერების ან გაკოტრების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

1.1.15 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

საოპერაციო ფულადი ნაკადები

ათას ლარში	2025	2024
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	123,065	119,811
მარაგების (ზრდა)	(63,557)	(71,886)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	2,143	(2,466)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	20,093	23,759
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	81,744	69,218
გადახდილი პროცენტები	(25,496)	(18,478)
მოგების გადასახადის ხარჯი	(33)	(53)
მიღებული პროცენტები	1,982	2,533
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	58,197	53,220

2025 წელს საოპერაციო შედეგებმა საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე 123 მილიონი ლარი შეადგინა.

საბრუნავ კაპიტალში 2025 წელს დაფიქსირდა ცვლილებები. ამ პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი 63.6 მილიონი ლარით გაიზარდა. ამასთან 20.1 მილიონი ლარით გაიზარდა კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და 2.1 მილიონი ლარით შემცირდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, 2025 წელს ფული საოპერაციო საქმიანობიდან 81.7 მილიონ ლარს გაუტოლდა.

2025 წელს წმინდა საოპერაციო ფულმა პროცენტის ხარჯის და მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ 58.2 მილიონი ლარი შეადგინა.

საინვესტიციო ფულადი ნაკადები

ათას ლარში	2025	2024
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37,989)	(57,298)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(2,178)	(3,031)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები	592	422
სადეპოზიტო სერტიფიკატზე გადატანილი თანხა	(5,000)	-
სესხის გაცემა/(დაფარვა)	6	23,000
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44,569)	(36,907)

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა უმეტესწილად ძირითადი საშუალებების შეძენას უკავშირდება. ძირითადი საშუალებების შეძენა კომპანიის განვითარებასთან არის დაკავშირებული და აუცილებელია გაყიდვების შემდგომი ზრდისთვის.

2025 წელს წინა წელთან შედარებით 33.7%-ით შემცირდა ძირითადი საშუალებების შესყიდვები, ხოლო ჯამში საინვესტიციო საქმიანობაზე დახარჯული ფული 20.8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ამასთან 2025 წელს გაიხსნა 57 მალაზია.

საფინანსო ფულადი ნაკადები

ათას ლარში	2025	2024
აქციების გამოშვებით მიღებული ფულადი სახსრები	-	-
სესხებიდან მიღებული თანხები	94,008	-
ობლიგაციის გამოშვებით მიღებული თანხები	59,910	59,755
სესხების დაფარვა	(64,010)	-
ობლიგაციის დაფარვა	-	(35,000)
დივიდენდი	(8,118)	(8,930)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(32,519)	(32,351)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	49,271	(16,526)

2025 წელს კომპანიას ახალი აქციები არ გამოუშვია.

კომპანიამ 2024 წელს გამოუშვა 60 მლნ ლარის ობლიგაციები, 2025 წლის 30 ივლისს კი კაპიტალის ბაზარზე დამატებით 60 მილიონი ლარის ობლიგაციები განათავსა.

2025 წელს წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან დადებითი 49.3 მილიონი ლარი იყო. 2024 წელს მაჩვენებელმა უარყოფითი 16.5 მილიონი ლარი შეადგინა.

1.1.16 ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები

	2025	2024
IFRS 16-მდე		
სესხები / კაპიტალი	1.78	0.63
Net Debt / EBITDA	2.19	0.96
IFRS 16-ის შემდეგ		
Net Debt / EBITDA	3.17	2.24

- სესხები / კაპიტალი - მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები და ობლიგაციები გაყოფილი აქციონერთა კაპიტალზე.
- Net Debt / EBITDA - მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხების და ობლიგაციების ჯამს გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები და გაყოფილი EBITDA-ზე.

კოეფიციენტები დათვლილია ისტორიული მონაცემების მიხედვით. საბალანსო მუხლები აღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით, ხოლო მოგება-ზარალის მუხლები წარმოადგენს სრული წლის მონაცემებს.

მომგებიანობის კოეფიციენტები

	2025	2024
IFRS 16-ის შემდეგ		
უკუგება საშუალო აქტივებზე	-0.06%	4.40%
უკუგება საშუალო კაპიტალზე	-0.35%	22.76%
საოპერაციო მოგების მარჟა	0.88%	2.56%
წმინდა მოგების მარჟა	-0.01%	0.87%
მოგება აქციაზე	(0.02)	1.14

- უკუგება საშუალო აქტივებზე - წმინდა მოგება გაყოფილი წლის საშუალო აქტივებზე
- უკუგება საშუალო კაპიტალზე - წმინდა მოგება გაყოფილი წლის საშუალო კაპიტალზე
- საოპერაციო მოგების მარჟა - საოპერაციო მოგება გაყოფილი შემოსავლებზე
- წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება გაყოფილი შემოსავლებზე
- მოგება აქციაზე - წმინდა მოგება გაყოფილი აქციათა სრულ რაოდენობაზე

კოეფიციენტების დათვლისას მოგება ზარალის ანგარიშგების მონაცემები აღებულია საანგარიშგებო თარიღის წინა 12 თვის მაჩვენებლების საფუძველზე.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

	2025	2024
ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	0.33	0.10
მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები	1.03	0.79
საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟა	4.06%	4.08%

- ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები - მიმდინარე აქტივები მარაგების გამოკლებით გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე
- მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები - მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე
- საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟა - წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან გაყოფილი გაყიდვებზე

საოპერაციო კოეფიციენტები

	2025	2024
მარაგების ბრუნვის დღეები	53.4	49.7
დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები	1.7	1.9
კრედიტორული დავალიანების ამოღების დღეები	65,2	66,4
ფულის ამოღების ციკლი	(10,1)	(14,8)

- მარაგების ბრუნვის დღეები - საშუალო წლიური მარაგები გაყოფილი თვითღირებულებაზე, გამრავლებული 365-ზე
- სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები - საშუალო წლიური სავაჭრო მოთხოვნები გაყოფილი გაყიდვებზე, გამრავლებული 365-ზე
- სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები - საშუალო წლიური სავაჭრო ვალდებულებები გაყოფილი გაყიდული საქონლის თვითღირებულებაზე, გამრავლებული 365-ზე
- ფულის ამოღების ციკლი - მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები

1.1.17 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას 2025 წლის და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2025			
	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	რუსული რუბლი
ფული და ფულის ეკვივალენტები	40	2	1	-
სულ ფინანსური აქტივები	40	2	1	-
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,434	1,078	12	18
საიჯარო ვალდებულებები	176,082	1,720	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	178,516	2,798	12	18
წმინდა სავალუტო პოზიცია	(178,476)	(2,796)	(11)	(18)

	31.12.2024	
	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	43	1
სულ ფინანსური აქტივები	43	1
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	329	758
საიჯარო ვალდებულებები	148,634	1,838
სულ ფინანსური ვალდებულებები	148,963	2,596
წმინდა სავალუტო პოზიცია	(148,920)	(2,595)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძობელობას.

	მოგება/(ზარალი) 2025	მოგება/(ზარალი) 2024
აშშ დოლარი/ ლარი + 20%	(35,695)	(29,784)
აშშ დოლარი/ ლარი - 20%	35,695	29,784
ევრო/ლარი + 20%	(559)	(519)
ევრო/ლარი - 20%	559	519
ჩინური იუანი	(2)	-
ჩინური იუანი	2	-
რუსული რუბლი	(4)	-
რუსული რუბლი	4	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვლადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმადლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2025		2024	
მოგება/(ზარალი)	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით	ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	შემცირება 100 საბაზისო პუნქტით
	(1,522)	1,522	(612)	612

მგრძობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2025	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	1,250	526
მომწოდებლებზე რიცხული მოთხოვნები (რომლებზედაც კომპანიას ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს)	4,883	7,750
სადეპოზიტო სერთიფიკატები	5,208	-
საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტები	1,356	-
გაცემული სესხები	-	114
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	78,637	15,738
სულ	91,334	24,128

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზი 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	232,424	-	-	-	232,424
საიჯარო ვალდებულებები	27,745	22,498	45,573	66,797	162,613
სესხები და ობლიგაციები	11,964	11,957	200,294	-	224,215
სულ 31.12.2025	272,133	34,455	245,867	66,797	619,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	211,058	-	-	-	211,058
საიჯარო ვალდებულებები	26,411	25,092	134,858	33,947	220,308
სესხები და ობლიგაციები	3,746	7,219	87,908	-	98,873
სულ 31.12.2024	241,215	32,311	222,766	33,947	530,239

1.1.18 კომპანიის ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

„კომპანია“ მგრძობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელი 2024 წელს მშპ 9.4%-ით გაიზარდა. 2025 წლის წინასწარი მონაცემებით მაჩვენებელი 7.5%-ს უტოლდება. ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

სამომხმარებლო ფასის ინდექსით განსაზღვრული ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე „კომპანიის“ ბიზნესისთვის. სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ისეთი სწრაფად ბრუნვადი პროდუქტებისგან, რომელთაგანაც „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა დაკავშირებული. ქვეყანაში ფასების ზრდის სამიზნეზე მაღალ მაჩვენებელზე ხანგრძლივად შენარჩუნებამ და/ან მისმა არასტაბილურმა დინამიკამ შესაძლოა გაზრდილი ხარჯებისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შემცირების გამო გაზარდოს წნეხი მარჟაზე, რამაც, თავისმხრივ, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო წლების მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების

მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ქვეყანაში ტურისტების რაოდენობას გარკვეული გავლენა აქვს საცალო გაყიდვების მოცულობაზე, რადგან ზოგიერთი ტურისტი საქართველოში ყოფნის დროს ადგილობრივ მაღაზიებში ყიდულობს პროდუქციას. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2024 წელს 285 ათასით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 6.46 მილიონი შეადგინა. 2025 წელს ამ მაჩვენებელმა 401 ათასიანი ზრდის შედეგად 6.86 მილიონი შეადგინა.

კომპანიას აქვს რისკები ახალი ან არსებული საცალო მაღაზიების გაფართოებასთან და განვითარებასთან დაკავშირებით

კომპანია სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, რომელიც მოიცავდა 72 მაღაზიას 2010 წელს, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა 674 მაღაზიას.

ზრდის ამგვარი ტემპის გამო შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპერაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების მართვაში კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მოხდა ნუგეშის ქსელის შესყიდვა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მაღაზიების გახსნა. ყოველივე ამის შედეგად 2015 წელს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა 93-ით გაიზარდა, რაც 85%-იან ზრდას ნიშნავს. ახლადშემქნილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წელს წარმატებით დასრულდა.

კომპანიის სწრაფმა ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წნეხი შეუქმნას ხელმძღვანელობას და მათი ყურადღება შეასუსტოს ყოველდღიურ საოპერაციო საკითხებთან დაკავშირებით.

კომპანიას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

აღნიშნულმა შესაძლოა კომპანიას სირთულეები შეუქმნას რამდენიმე მიმართულებით. მაგ.: წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რომელიმე მომწოდებლის ბაზრიდან გასვლა. კომპანია აღნიშნულ რისკებს მართავს მომწოდებლების მაქსიმალური დივერსიფიკაციის გზით. უმსხვილესი მომწოდებლის წილი („ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფში“ შემავალი კომპანიების გარდა) ნაკლებია 8%-ზე. გარდა ამისა პროდუქტების თითოეულ კატეგორიაში რამდენიმე მომწოდებელია, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი. ასევე შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო

ამჟამად, მარაგების ბალანსის მონიტორინგი ხორციელდება გაყიდვების განყოფილების მიერ, პროდუქტის ვიზუალური მდგომარეობის, ვადის გასვლის, თაროების მოწესრიგების და სხვა პირობების რეგულარული შემოწმების გზით. ასევე მაღაზიებში პროდუქციის განლაგების და რეალიზაციისას „FIFO“ მეთოდის დაცვით, რაც გულისხმობს რიგითობის დაცვას და პირველ რიგში უფრო ადრე შეძენილი პროდუქტის განლაგებას და გაყიდვას. დაზიანებული და/ან ვადაგასული პროდუქტები უზრუნდება მომწოდებელს ან იგზავნება საწყობში გასანადგურებლად.

კომპანიას არ აქვს დაზღვევა და შესაბამისად, რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევის ერთდროულად დადგომამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე

კომპანიის მაღაზიები ძირითადად განთავსებულია იჯარით აღებულ ფართებში. შესაბამისად, არც თვითონ უძრავი ქონება და არც მასში განთავსებული მარაგები თუ მანქანა-დანადგარები არ არის დაზღვეული. კომპანიას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი მეტწილად დივერსიფიცირებულია, ვინაიდან მაღაზიები საკმაოდ მცირე მოცულობისაა და ერთი კონკრეტული ლოკაციის დაზიანებამ (თუნდაც სრულმა) არ შეიძლება მოიტანოს იმხელა ზიანი, რაც ფინანსურად მომგებიანს გახდიდა შესაბამისი ობიექტების დაზღვევას. აღსანიშნავია, რომ კომპანიას დაზღვეული აქვს სარეალიზაციო პროდუქციის სასაწყობე ფართები და მასში არსებული მარაგები.

შემთხვევაში, თუ ერთდროულად დადგება სადაზღვევო რისკი ობიექტების მნიშვნელოვან რაოდენობაში ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ზოგადად, მის საქმიანობაზე.

„კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე

„კომპანიას“ აქვს ინტეგრირებული პროდუქციის მიწოდების არხები საკუთარ სტრუქტურაში, რაც მოიცავს ჯგუფში შემავალ სადისტრიბუციო განყოფილებას, რომელიც ამარაგებს „კომპანიას“. დისტრიბუციის არხებში შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება, მომხმარებლის დაკარგვა და სხვა უარყოფითი გავლენები „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

საცალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“

ამჟამად საცალო ვაჭრობის სექტორი საქართველოში დაყოფილია ორგანიზებულ და არაორგანიზებულ სეგმენტებად. საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ორგანიზებულ სეგმენტში „კომპანიას“ ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს გაყიდვების მოცულობის მიხედვით. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და ბაზარზე შედეგად გამოჩნდეს დამატებით ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება. 2024 წლის ივლისში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის

დაცვის სააგენტომ თანხმობა განაცხადა შპს „დეილის“ (ს/ნ: 406088638) მიერ შპს „ფუდმარტის“ (ს/ნ: 404460187) 100%-იანი წილის შესყიდვაზე რომლის შედეგადაც გაერთიანდა სპარის (მათ შორის იოლი), დეილის და გვირილას ქსელები. არაორგანიზებული სეგმენტი დანაწევრებულია ინდივიდუალურ მოთამაშეებად და მათ კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოხდეს არაორგანიზებული სეგმენტის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება ორგანიზებული ბაზრის წილობრივი ზრდით, ხოლო არაორგანიზებული ბაზრის წილის შემცირებით. თიბისი კაპიტალის კვლევების თანახმად, 2019 წელს სურსათის თანამედროვე FMCG ბაზრის წილი მთლიან ინდუსტრიაში 29%-ს, ხოლო 2024 წელს 37%-ს წარმოადგენდა. 2025 წლის წინასწარი მონაცემებით ეს მაჩვენებელი 38%-ს გაუტოლდება.

უკანასკნელ წლებში, მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი გახდა პროდუქციის ონლაინ მიწოდების სერვისი. ნიკორას სუპერმარკეტები კონკურენტების მსგავსად თანამშრომლობს Glovo-ს მიტანის სერვისთან. არსებობს რისკი, რომ Glovo-ს მიტანის სერვისის მაღალი საფასურის შემთხვევაში მომხმარებელმა არჩიოს პროდუქციის გამოძახება ისეთი ქსელებიდან, რომლებიც თავად უზრუნველყოფენ პროდუქციის მიტანას და არ ითხოვენ დამატებით საფასურს აღნიშნულ მომსახურებაში.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“

„კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როდესაც მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან განხორციელებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული და კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“. გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკურსო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდი ფასებში ასახვა მალევე შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებელმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია.

„კომპანიის“ საიჯარო ხელშეკრულებების 70%-მდე აშშ დოლარშია დენომინირებული. უცხოური ვალუტის იჯარები ფიქსირებული განაკვეთისაა, ხოლო ლარის იჯარები უმეტესად კონკრეტული მაღაზიის ბრუნვაზეა მიბმული. საიჯარო ხელშეკრულებების საშუალო ხანგრძლივობა 2-15 წელს შეადგენს. „კომპანიას“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება. ამან თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად

უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

„კომპანიას“ შეიძლება შეექმნას ლიკვიდურობის პრობლემა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ გადახდისუნარიანობაზე

აღნიშნული რისკი ძირითადად განპირობებულია ჯგუფის მნიშვნელოვანი დამოკიდებულებით მოკლევადიან ვალებზე. კომპანიას აქვს უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი, ვინაიდან მომხმარებლებისგან მომენტალურად იღებს შემოსავლებს, ხოლო მომწოდებლებთან კი აქვს მოქნილობა თანხა გადაიხადოს კონსიგნაციით. უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი საცალო ვაჭრობის სფეროს კომპანიებისთვის დამახასიათებელია, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლებთან კონსიგნაციის დღეები შემცირდება, „კომპანია“ დადგება ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

მითითებულმა ლიკვიდურობის რისკმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანია“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურირება და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის

უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე.

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორცაცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები მრავალი წლის განმავლობაში მუშაობენ საცალო ვაჭრობის და საკვების წარმოების სფეროებში. „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში.

2014-2025 წლების აუდიტის დასკვნა მოდიფიცირებულია, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები, რომელზეც აუდიტორმა პირობითი მოსაზრება გამოხატა, შესაძლოა ზუსტად არ ასახავდნენ ეკონომიკურ რეალობას. ასევე, ახალი ან არსებული ანგარიშგების სტანდარტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა არასწორად ასახოს კომპანიის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი შედეგები და კომპანიის ფინანსების ეკონომიკური რეალობა.

აუდიტის პირობითი მოსაზრების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. „კომპანიის“ და მისი შვილობილების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო 2015 წელს შპს „ნუგეშის“ 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულება. შპს „ნუგეშის“ შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

აუდიტორის მოდიფიცირებული დასკვნის შინაარსიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება ზუსტად არ ასახავდეს მის ეკონომიკურ რეალობას და რომ ანგარიშგებაში ნაჩვენები რიცხვები რომლებზეც აუდიტორმა მოდიფიცირებული დასკვნა გამოხატა მატერიალურად განსხვავდებოდნენ რეალური მონაცემებისგან.

„კომპანიის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ დროულად მოახდენს ჯგუფის საანგარიშგებო პოლიტიკაში შესაბამისი ახალი თუ უკვე არსებული სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ასახვას.

კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე. რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე

ადგილობრივ ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით. კომპანიას დანერგილი აქვს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომ უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და ჯანმრთელობისთვის უვნებლობა, მათი პერიოდული შემოწმებით და ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგითა და გაუმჯობესებით.

კომპანიას დანერგილი აქვს სურსათის უვნებლობის, ხარისხის და გარემოდსაცვითი მენეჯმენტის სისტემები და მიღებული აქვს შესაბამისი ISO სერთიფიკატი: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე; ISO 14001:2015 ვადიანობით 2026 წლის 14 ნოემბრამდე.

არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეეღებოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ეკონომიკისთვის

„კომპანიის“ ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავლის დიდი ნაწილი მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ბაზრებზე არსებობს უფრო მაღალი რისკები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი ცვალებადობით. ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ იმგვარი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც აქვს საქართველოს, ხშირად იცვლება და წინამდებარე მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შედარებით სწრაფად გახდეს მოძველებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია, საქართველოს მსგავს განვითარებად ბაზრებში მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენლების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების არამართლო მიიღობის გამოყენებას.

კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რღვევამ და დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან ხელმისაწვდომობის შემცირებამ, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები ამ კომპანიებისთვის. „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ გავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვალებადობის გაგრძელებამ ან განახლებამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, თავის მხრივ, „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, კომპანიებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტორის ნდობის ხარისხზე მთლიანად განვითარებადი ბაზრების მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაქციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს ჯაჭვური ეფექტი და ამ შემთხვევაში მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. ამგვარი

მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას ან სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის ჩარევას ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს დაკავშირებულია თუ არა კონკრეტულ ქვეყანასთან ან რეგიონთან. თუ ადგილი ექნება ამგვარ „გადამდებ“ ეფექტს, შესაძლებელია საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა სხვა ქვეყნების განვითარებად ბაზრებზე. წარსულში „გადამდებმა“ ეფექტებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს და 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ასევე რეგიონში განგრძობადმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ბაზრის ცვალებადობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მასზე მსგავსი მოვლენები მომავალშიც არ იქონიებს გავლენას.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს იმ ქვეყნის ეკონომიკური გარემო, რომელშიც ის ბიზნეს საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, კომპანიის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპსა და საბაზრო პირობებს.

კომპანიის საქმიანობაზე, მოქმედებს არამხოლოდ შინაგანი ფაქტორები, არამედ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა მართვაც კომპანიას არ ექვემდებარება. მსგავსი მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებასა თუ საპროცენტო განაკვეთების დონეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მოულოდნელმა ან ხშირმა ცვლილებებმა სახელმწიფოს მაკროეკონომიკასა თუ პოლიტიკაში შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია მოახერხებს აღნიშნული რისკების რეალიზების შემთხვევაში მათ წარმატებით მიტიგაციას. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ამ რისკების რეალიზება უარყოფით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე.

საქართველო გარდამავალი დონის, განვითარებადი ეკონომიკების კატეგორიას მიეკუთვნება და საერთაშორისო სტანდარტებით, მისი სუვერენული რეიტინგი არ არის საინვესტიციო კატეგორიის. ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Moody's – Ba2 (Negative Outlook) - განახლების თარიღი: 2026 წლის 2 აპრილი
- S&P Global Ratings – BB/b (Stable Outlook) - განახლების თარიღი: 2026 წლის 6 თებერვალი
- Fitch Ratings – BB (Stable Outlook) - განახლების თარიღი: 2025 წლის 21 ნოემბერი

საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.

საქართველო ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს და შესაძლებელია მასზე უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა არეულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დამაბულობა აქვს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) რეგიონებთან და ასევე რუსეთთან. აღნიშნული დამაბულობა ურთიერთობა დროთა განმავლობაში გამოიხატა სამშვიდობო შეთანხმებების პერიოდულ დარღვევებში და პერიოდულ დამაბულობაში. 2008 წლის აგვისტოში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია სამხრეთ ოსეთის რეგიონში, სადაც ქართული სამხედრო ძალები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს და რუსეთის სამხედრო ძალებს, რომლებმაც გადმოკვეთეს საერთაშორისო საზღვარი. შედეგად, საქართველოში გამოცხადდა საბრძოლო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც რუსეთს საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან იმავე თვის ბოლოს, რუსეთმა სცნო გამოყოფილი რეგიონების დამოუკიდებლობა და მას შემდეგ დამაბულობა მუდმივად გრძელდება, რამდენადაც რუსეთის სამხედრო ძალები აგრძელებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციას. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულიდან დაწყებული, რუსეთის სასაზღვრო პოლიციამ რამდენჯერმე აღმართა მავთულხლართები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული დემარკაციული ხაზების გასწვრივ. მსგავსმა ქმედებებმა მომავალში შესაძლებელია კიდევ უფრო გაზარდოს დამაბულობის დონე. ასევე რუსეთი აღმოსავლეთ ევროპაში „NATO“-ს გაფართოების წინააღმდეგია, რამაც პოტენციურად შეიძლება მოიცვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის, საქართველო. საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნულს შედეგი არ მოჰყოლია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფორმალური თუ სამართლებრივი ცვლილების კუთხით. ურთიერთობები ასევე არის დამაბულობა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის და პერიოდულად ადგილი აქვს ძალადობის შემთხვევებს.

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნებისმიერმა შემდგომმა გაუარესებამ, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტაბილურობაზე საქართველოში. 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, პანდემიამდეც რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. სებ-ის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ შესაბამის პერიოდში ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით.

ბოლო პერიოდში რეგიონში განვითარებული მოვლენებიდან ცალკეულად აღსანიშნავია რუსეთისა და უკრაინის ომი. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლები საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა მაინც მოწყვლადია სამეზობლოში გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებებთან მიმართებაში. მაგალითად,

რუსეთისა და უკრაინის ომს და დამატებით რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესებას შესამჩნევი უარყოფითი ზეგავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე.

2025 წლის მონაცემებით მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი 10.3% შეადგინა, უკრაინის წილი კი - 1.5% (2024 წელს რუსეთის წილი 10.4% იყო, უკრაინის წილი - 1.6%).

ასევე, აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, და 2021 წლის რეგიონის ეკონომიკის აღდგენის მოლოდინებზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა, რომელმაც ჩააცხრო რეგიონში პოლიტიკური დამაბულობა და შესაბამისად მეტ-ნაკლებად გაანეიტრალა უარყოფითი მოლოდინები. თუმცა, 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. კონფლიქტი 2020 წლის ნოემბერში დასრულდა, როდესაც 16 ნოემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თანამდებობა დატოვა, ხოლო, 17 ნოემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტი კონფლიქტის რეგიონს ეწვია.

საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას; საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა ხასიათდება დაბალი ტარიფებით და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით. შედეგად საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური პარამეტრების (ინფლაცია, მშპ-ს რეალური ზრდა, გაცვლითი კურსები და ა.შ.) გადაცემა საქართველოს ეკონომიკაზე ხდება ისეთი გზებით როგორებიცაა იმპორტი, ექსპორტი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი ინვესტიციები და ა.შ.

2024 წელს ექსპორტმა 6.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მთავარი პარტნიორები გახდნენ ყირგიზეთი (1.3 მილიარდი), ყაზახეთი (860 მილიონი) და აზერბაიჯანი (725 მილიონი). ხოლო 2025 წლის წინასწარი შეფასებით 7.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა და მთავარი პარტნიორები გახდნენ ყირგიზეთი (1.5 მილიარდი), ყაზახეთი (910 მილიონი) და რუსეთი (749 მილიონი). სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ეს გაუფასურება ქართულ ექსპორტებს გააძვირებს სავაჭრო პარტნიორის ვალუტაში და შეამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას.

2024 წელს იმპორტმა 16.9 მლრდ დოლარი შეადგინა. მთავარი პარტნიორები იყვნენ თურქეთი (2.77 მლრდ), აშშ (2.05 მლრდ) და რუსეთი (1.85 მლრდ). 2025 წლის წინასწარი შეფასებით მაჩვენებელია 18.6 მლრდ დოლარი შეადგინა. მთავარი პარტნიორები იყვნენ თურქეთი (2.78 მლრდ), აშშ (2.75 მლრდ). სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ეს გაუფასურება იმპორტირებულ საქონელს ლარში აიაფებს და შედეგად ზრდის იმპორტირებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

რეგიონსა ან საქართველოში მდგომარეობის შემდგომმა გაურესებამ შეიძლება მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედოს მეზობელი ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკაზე. გაურკვეველობის პირობებში რთულია დაზუსტებით ითქვას რა ეფექტი ექნება რეგიონში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანის“ ბიზნესზე

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია და ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენელი რესპუბლიკიდან გარდაიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. პოლიტიკური გარემო საქართველოში მკვეთრად ცვალბადი იყო 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში.

2003 წელს საქართველოში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუციის შემდგომ, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით, 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი. 2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც მეთაურობდა ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი, მოიპოვა ხმების უმრავლესობა (54.97%). პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ დამარცხება აღიარა, რასაც შედეგად მოჰყვა ძალაუფლების გადაცემა. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვას შეეცადა ევროკავშირი თავისი სპეციალური წარმომადგენლის, შარლ მიშელის მეშვეობით გამართული მედიაციის პროცესით. შედეგად, 2021 წლის 19 აპრილს ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის შედგა შეთანხმება რამდენიმე არსებით პუნქტზე, მათ შორის, სასამართლოს არსებით რეფორმაზე. ამასთან, შეთანხმდა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნებოდა 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებდა ნამდვილი პროპორციული ხმების 43% -ზე ნაკლებს. მოგვიანებით ქართული ოცნება ამ შეთანხმებიდან გავიდა. ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარ მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა.

პოლიტიკური კრიზისის და ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმების“ ფონზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა 2021 წლის 2 ოქტომბერს დანიშნულმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური მონაცემებით, არჩევნების პირველ ტურში ქართულმა ოცნებამ ხმათა 46% აიღო. რამდენიმე თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდი) დაინიშნა არჩევნების მეორე ტური მერის ასარჩევად. ამასთან, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დააპატიმრეს ქვეყანაში დაბრუნებული მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, რამაც მისი მომხრეების პროტესტი და გარკვეული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია მოახდინა. არჩევნების მეორე ტური ჩატარდა 2021 წლის 30 ოქტომბერს სადაც ხმათა უმრავლესობით პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ხოლო დაპატიმრებულმა მიხეილ სააკაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა.

ქვეყნის ისტორიაში პირველად პრეზიდენტად მიხეილ ყაველაშვილი ამერიკული მოდელით - არაპირდაპირი გზით აირჩიეს. ის საარჩევნო კოლეგიამ 224 ხმით აირჩია. 225 ბიულეტენიდან ერთი ბიულეტენი გაბათილდა. საარჩევნო კოლეგიის წევრები იყვნენ პარლამენტის 150 დეპუტატი, აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის 20, აჭარის მთავრობის 21 წევრი, კოლეგიაშია თვითმმართველობების 109 წარმომადგენელი. არჩევნების პროცედურულ ნაწილზე პასუხისმგებელი ცესკო იყო. ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია 2024 წლის 29 დეკემბერს გაიმართა. 2024 წლის ოქტომბერში გაიმართა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების შედეგებით, მმართველმა პარტიამ მოახერხა პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება.

ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე

აღრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალუტის მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონალური კრიზისის ფონზე, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ გამოავლინა მდგრადობა და შეინარჩუნა დადებითი ზრდის ტემპი. პანდემიის დაწყებამდე, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2017-2019 წლებში შეადგენდა 4.9%-ს (2017 წელი, 4.8%, 2018 წელი, 4.8%, 2019 წელი, 5.0%).

კოვიდ-19 პანდემიამ საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზიანდა ტურიზმი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2022 წელს ეკონომიკა მნიშვნელოვნად აღდგა. კერძოდ, 2021 წელთან შედარებით, რეალური მშპ გაიზარდა 10.1%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 13.4%-ით. 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 9.7%-ით გაიზარდა. წინასწარი მონაცემებით 2025 წელს რეალური მშპ-ს ზრდამ 7.5% შეადგინა.

მთავრობის საგარეო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირების ტენდენციას განაგრძობს. 2024 და 2025 წლებში აღნიშნულმა შეფარდებამ 24.9% და 23.2% შეადგინა, შესაბამისად (2025 წლის მონაცემი დაფუძნებულია წინასწარ შეფასებებზე).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. 2025 წლის წინასწარი მონაცემებით, მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 7.6%-ით გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი წყარო გაერთიანებული სამეფოა. 2025 წელს ამ ქვეყნიდან შემოსულმა თანხამ ჯამურის 19.8% შეადგინა. პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყარო თურქეთიცაა - 2025 წელს მისმა წილმა 10.7%. ამ მონაცემების შესაბამისად და იმის გათვალისწინებითაც, რომ თურქეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, აღნიშნულ ქვეყანაში ეკონომიკის შემცირებამ, ვალუტის გაუფასურებამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და/ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და დიდი ზეგავლენა

აქვს მთლიანი ეკონომიკის ზრდაზე. 2022 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 173%-ით გაიზარდა და 4.7 მილიონი შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ამ პერიოდში 2.82-ჯერ გაიზარდა. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2023 წელს კი წინა წელთან შედარებით 1.47 მილიონით გაიზარდა და 6.17 მილიონი შეადგინა. 2024 წელს 6.46 მილიონი, ხოლო 2025 წელს 6.86 მილიონი გახდა

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

საქსტატისა და სეზ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2022 წელს 1,104 მლნ აშშ დოლარს და მთლიანი შიდა პროდუქტის 4.4% შეადგენდა. 2023 წელს ეს მაჩვენებელი 1,708 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა და მშპ-ს 5.6% შეადგინა. პირველადი მონაცემებით, 2024 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 4.4% შეადგინა. მიმდინარე ანგარიშების უარყოფითი სალდო მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ არ აღდგება და შემდგომ შენარჩუნდება წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა შესაძლებელია გამოიწვიოს მთავრობის მიერ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლად აღებული სესხების ოდენობების კიდევ უფრო გაზრდა, ლარის კურსის გაუარესება ან იმპორტის შემცირება, რამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებისათვის წინა წელთან შედარებით 1.0%-ით გაიზარდა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 52.8%-ს შეადგინა (2023: 51.8%). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად იღებს ზომებს საქართველოს სავალუტო ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს სეზ-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, თუმცა, საქართველოს ფარგლებს გარეთ მისი კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისმა ოფიციალურმა რეზერვებმა 5.01 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზერვების მოცულობა 4.45 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურია

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა, როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და აღიდგინა ყველა ის დანაკარგი, რომელიც თებერვალსა და მარტში მიიღო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი, რაც გამოიხატა მარტში გამართულ სავალუტო აუქციონზე 39.6 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.6894 ლარს შეადგენდა, 2024 წელს 2.8068 და 2025 წელს 2.6951

მნიშვნელოვანია ყურადღება დავუთმოთ ინფლაციის ისტორიულ და მიმდინარე მაჩვენებლებს. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი. 2021 წელს, წინა პერიოდში არსებული გაუფასურებისა და მსოფლიო ბაზაზე ნედლეულზე და ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი მატების გამო, წლიური ინფლაცია გაუტოლდა 9.6%-ს. 2022 წლის დასაწყისიდან, საკვებისა და ენერჯის რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. ამის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა. 2022 წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელმა 11.9% შეადგინა. 2023 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 2.5%-ს გაუტოლდა, 2024 წელს ფასების დონის ზრდამ 1.1%- შეადგინა, ხოლო 2025 წელს მაჩვენებელი 3.9% გახდა

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობამ, ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა

„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის

მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა,

„ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

ახალი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან

კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა

„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის

ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა,

„ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში განვითარების პროცესშია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუუნარობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურიზაციის ახალი შესაძლებლობები.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში -გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება -გაზრდაზე და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად „ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხრივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

გადახდისუუნარობის ახალი სისტემა სიახლეა, ამ ეტაპზე არ არსებობს კანონის პრაქტიკაში გამოყენების პრეცედენტები და უცნობია როგორ იმუშავებს.საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ

შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2017 წლის 23 დეკემბერს ცვლილებები შევიდა საგადასახადო კანონში, ხოლო, 2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე

სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელის მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ

„კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიგვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.**ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე**

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

„კომპანია“ ოპერირებს ისეთ სფეროში, რომლის მარეგულირებელი კანონმდებლობა დინამიურია და მუდმივად იცვლება.

საკვებისა და სურსათის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ

რეგულირდება. სააგენტო არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა 2011 წლის 3 იანვრიდან. იგი შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული

სამსახურის ბაზაზე. რამდენადაც „კომპანია“ ძირითადად ოპერირებს საკვების საცალო ვაჭრობის სექტორში, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ყოველთვის იყო საზოგადოებრივად სენსიტიური საკითხი. 2004 წლის შემდეგ, „მთავრობის“ მიერ ბაზრის ფართო ლიბერალიზაციას მოჰყვა საკვები პროდუქტების ხარისხისა და მათი წარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების ტენდენცია.

მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაძლებელია შეიცვალოს, რამდენადაც საქართველო, ევროკავშირის ბაზარზე სრული ინტეგრაციის მიზნით, ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) საფუძველზე. „კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, საქართველომ, მსგავსი ჰარმონიზაციის ფარგლებში, მომავალში შესაძლოა მიიღოს ევროკავშირის საკვების უსაფრთხოების რეგულაციების ეკვივალენტური რეგულაციები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის დანახარჯების ზრდა.**საშემფასებლო საქმიანობა არ არის რეგულირებადი საქართველოში**

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის სს

„სავის“ მიერ მომზადებული უძრავი ქონების შეფასების ანგარიში. უძრავი ქონების საშემფასებლო საქმიანობა არ არის რეგულირებადი საქართველოში, არ მოითხოვს სახელმწიფო ლიცენზირებას და არ ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას.

უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს. შეფასების პროცესში უზუსტობის არსებობის შემთხვევაში უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებისგან.

ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ზოგადი რისკები

„ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქალაქებს.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქალაქები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქალაქების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ

შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

„ობლიგაციების“ საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.

„ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და ცვლადია. როგორც ობლიგაციების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებული იქნება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს იმის რისკს, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ ღირებულებასა და გადაყიდვის ფასზე.

გარდა ზემოთხსენებულისა, „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შემცირდეს სარეიტინგო სააგენტოს მიერ „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირების გამო (კუპონის რეიტინგის მიხედვით ცვლილების ცხრილი მოცემულია ობლიგაციების დათქმების 2.6.1 (კ) პუნქტში). საკრედიტო რეიტინგის შემცირების მიზეზი შესაძლოა გახდეს „კომპანიის“ გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე პოზიციის დაკარგვა, „კომპანიის“ დედა კომპანიის საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ან სხვა ფაქტორები რამაც შესაძლოა სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით „კომპანიის“ რისკიანობის დონე გაზარდოს.

„ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის

მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). საქართველოში ლარში დენომინირებული ობლიგაციების ინვესტორები ობლიგაციებს უმეტესად მათი მთლიანი ვადის განმავლობაში ფლობენ და შედეგად ლარის ობლიგაციებით ვაჭრობის მოცულობა დაბალია. საფონდო ბირჟის საიტზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში ლარის ობლიგაციისთვის სავაჭრო სესიის დროს გარიგება არ განხორციელებულა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება

„ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს

„ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულება არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს

„კომპანიამ“ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ სს

„თიბისი ბანკი“ ან სხვა კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების

„პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები (იხ. ობლიგაციების პროსპექტის პუნქტი: 2.6.1

„ვალდებულებები“) შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

„ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში („ინვესტორის ვალუტა“). აღნიშნული რისკები მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს (ლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ დევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ „ინვესტორის ვალუტაზე“ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები. „ინვესტორის ვალუტის“ ლართან მიმართებით ღირებულების ზრდა შეამცირებს: (i) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ სარგებელს „ობლიგაციებზე“; (ii)

„ობლიგაციებზე“ გადასახდელ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ ძირ თანხას; და (iii) „ობლიგაციების“

„ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ საბაზრო ღირებულებას. მთავრობებმა და სავალუტო ორგანოებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში) შეიძლება დააწესონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოსაყენებელ გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

არსებობს კომპანიასა და განთავსების აგენტს, ასევე განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს

„თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდგომი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) სრულიად დაყოფილია და არანაირი კავშირი არ არსებობს „თიბისი კაპიტალსა“ და მასთან დაკავშირებული ბანკის მენეჯმენტს შორის. ბანკს არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები. შესაბამისად, განთავსების აგენტი მას მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და

„ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(გ) „ემიტენტს“ და „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული ხელშეკრულება ითვალისწინებს გადახდისა და კალკულაციის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას. აღნიშნული ხელშეკრულების პირობებსა და წინამდებარე

ემისიის „პროსპექტს“ შორის ურთიერთსაწინააღმდეგო/ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე ემისიის „პროსპექტს“.

არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს

„ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „რეგისტრატორის“, „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

„ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების

განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებული იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ობლიგაციების“ გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (ობლიგაციების პირობების 59 2.6.3 პუნქტი - „გამოსყიდვა და ყიდვა“), რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ ინვესტირებულ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრულის ხანდაზმის შემთხვევაში.

1.1.19 მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

ზოგადი მიმოხილვა

სს “ნიკორა ტრეიდი” ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, რამდენადაც ის ჩართული არი საკვების საცალო გაყიდვაში. შესაბამისად, იგი ვალდებულია დაიცვას გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია პროდუქტების მიმოქცევასთან და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტექნიკური რეგულაციების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც რელევანტურია „კომპანის“ ბიზნეს-საქმიანობისთვის.

მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა საცალო გაყიდვებს (მათ შორის, საკვები პროდუქტების საცალო გაყიდვებს) იყო 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვა. კანონი ეფუძნებოდა პოსტსაბჭოთა სტანდარტებს და აწესებდა პასუხისმგებლობას საცალო გამყიდველებისა და მწარმოებლების მიერ კანონში განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის. შესაბამისი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო გზით. კანონი რამდენჯერმე შეიცვალა სექტორში არსებული გარემოს ცვალებადობის გამო.

კანონთან ერთად, ამ უკანასკნელის შევსების მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ნორმატიული აქტი. აღნიშნული აქტები, მათ შორის, მოიცავდა სპეციალური საკვები და არა-საკვები პროდუქტების გაყიდვის წესებს, ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვის წესებს, ალკოჰოლის გაყიდვის წესებს, და ა.შ. სხვა სფეროების რეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ მრავალ ტექნიკურ რეგულაციასთან ერთად, არსებობდა ცალკე კანონები სტანდარტიზაციის (1999 წლის 25 ივნისი), პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის (1996 წლის 6 სექტემბერი) და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში საკვები პროდუქტის საცალო გაყიდვასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფდა საკვები პროდუქტის უსაფრთხოებას, იყო 1999 წლის 25 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი საკვებისა და თამბაქოს შესახებ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მსგავსად, აღნიშნული კანონიც ეფუძნებოდა საბჭოთა სტანდარტებს და იყო ზოგადი ხასიათის. კანონი შეიცავდა შეზღუდვებს საკვების წარმოებაში პოტენციურად საშიში ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით და არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პასუხისმგებლობის ზომას აღნიშნული შეზღუდვების დარღვევისთვის, რაც რეგულირდებოდა

ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსებით. ბუნებრივად, მზარდმა ბაზარმა და საკვების ადგილობრივი მწარმოებლების განვითარებამ წარმოშვა უფრო ახალი მარეგულირებელი სტანდარტების დადგენის საჭიროება, რამაც შედეგად გამოიწვია პროდუქტის უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ კანონის (2005 წლის 27 დეკემბერი) და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიღება.

თუმცა, აღნიშნული რეგულაცია პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მოძველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიციხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ახალი კოდექსი. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა კანონებსა და ტექნიკურ რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას. რაც შეეხება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსს, იგი იყო „DCFTA“-ის მოლაპარაკებებისთვის საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით ევროკავშირის კომისიის რეკომენდაციების პირდაპირი შედეგი.

2022 წელს 29 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა და 2022 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდან მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. კანონი არეგულირებს ურთიერთობებს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის. მომხმარებელად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც არაკომერციული მიზნით ყიდულობს საქონელს ან მომსახურებას.

კანონით გათვალისწინებულია დებულებები მოვაჭრის და მომხმარებლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებების, დისტანციური ხელშეკრულების და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების, სამომხმარებლო ხელშეკრულების, ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობების, უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ, ასევე, კანონით დადგენილია მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები.

ახალი კანონით განისაზღვრა მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები, კერძოდ კანონის აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოდ 2022 წლის 1 ნოემბრიდან განისაზღვრა კონკურენციის ეროვნული სააგენტო. კანონი ითვალისწინებს სააგენტოსთვის მიმართვის, საქმის შესწავლის წესებს და პირობებს ასევე კონკურენციის სააგენტოს მინიჭებული აქვს სანქციის გამოყენების უფლებამოსილება დარღვევების გამოვლენისას. სააგენტო გასცემს მითითებებს დამრღვევის მიმართ, რომელთა შესრულება სავალდებულოა. სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება, კანონით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში.

საკვების წარმოებისა და გაყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითად მახასიათებლები

როგორც უკვე აღინიშნა, საკვების წარმოება (მათ შორის, მეცხოველეობა საკვების წარმოების მიზნებისათვის) და საკვების საცალო გაყიდვა რეგულირდება ორი ძირითადი საკანონმდებლო აქტით: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით.

I. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ძირითადად კონცენტრირებულია მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე უხარისხო პროდუქტისათვის და აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს პროდუქტის შესახებ მომხმარებლისთვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, და, შესაბამისად, უზრუნველყოფს უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ კოდექსი განვითარებული ქვეყნების უცხოურ სტანდარტებს აღიარებს საკმარის მტკიცებულებად, რათა იქ წარმოებული პროდუქცია დაუშვას ქართულ ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გარეშე.

კოდექსი ადგენს მწარმოებლის პასუხისმგებლობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს საქართველოში უცხოური პროდუქტის იმპორტიორის პასუხისმგებლობას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მწარმოებელს აქვს წარმომადგენლობა საქართველოში) ნებისმიერი იმ ზიანისთვის და/ან დანაკარგისთვის, რომელიც გამოწვეულია უხარისხო პროდუქტით. შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის პერიოდი შეადგენს 3 წელს, რომლის ათვლაც იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა გაიგო (ან უნდა გაეგო) თავისი უფლებების დარღვევის შესახებ, იმ პირობით, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის გამომწვევი პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტიდან 10 წლის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებით და მისი გამორიცხვა დასაშვებია მხოლოდ კოდექსით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგ. პროდუქტი არ იყო უხარისხო იმ მომენტში, როცა განთავსდა ბაზარზე და სხვ.).

მწარმოებელი ვალდებულია მომხმარებლებს მიაწოდოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებით, მათ შორის, გამოყენების ინსტრუქცია და შესაძლო გვერდითი მოვლენები. თუ დადასტურდება, რომ პროდუქტმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნას მომხმარებლებს, მწარმოებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ორგანოს და გამოიყენოს ყველა გონივრული ზომა შესაძლო შედეგის შესამცირებლად (მაგ. ამოიღოს პროდუქტი). კოდექსი ასევე შეიცავს იმ ინფორმაციის დაწვრილებით სიას, რომელიც მითითებულ უნდა იქნას პროდუქტის აღწერაში.

კოდექსის დიდი ნაწილი ეხება მშენებლობისა და სხვა მაღალი რისკის მატარებელი სექტორების (მაგ.: მადარობები, ნავთობსადენები, და სხვ.) ტექნიკური კონტროლის საკითხებს. ვინაიდან კანონის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ საქმიანობისთვის, შესაბამისად, იგი არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

კოდექსი ასევე შეიცავს ცალკე თავებს ტექნიკური რეგულაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მათი

მიღების პროცედურების, ასევე სტანდარტიზაციის, გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის და შესაბამისობის შემოწმების (პროდუქტის და/ან მასალის შესაბამისობის შემოწმება დადგენილ სტანდარტებთან და ტექნიკურ რეგულაციებთან) შესახებ.

II. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი აერთიანებს რეგულაციის სამ სფეროს, რომელიც ადრე რეგულირდებოდა სამი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით. კოდექსი ადგენს მარეგულირებლის კომპეტენციასა და ფუნქციებს თითოეული სექტორისათვის და განსაზღვრავს იმ კონტროლის მეთოდებს, რომლითაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ იმპლემენტაციას პრაქტიკაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო არის მთავარი მოთამაშე საკვების წარმოების სექტორში და ყველა ბიზნესოპერატორი, რომელიც საქმიანობს ამ სფეროში, ექვემდებარება სააგენტოს რეგულაციას. აღნიშნული მიზნებისათვის, თითოეული საწარმო, რომელიც მოღვაწეობს შესაბამის რეგულირებად სფეროში, ვალდებულია ამგვარ ბიზნეს ოპერატორად დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში. ამასთან, თითოეული საკვების მწარმოებელი ვალდებულია დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილება

№581-ით (სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე). საკვების მწარმოებელმა კოდექსით დადგენილი სტანდარტები უნდა დაიცვას წარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, თავად წარმოებისას, გადამუშავებისას და დისტრიბუციისას.

სააგენტო აღჭურვილია ფუნქციათა ფართო სპექტრით, რომელიც საშუალებას აძლევს მას გააკონტროლოს საკვების მწარმოებლების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა. მათ შორის, სააგენტო უფლებამოსილია დაავალდებულოს მწარმოებელი ამოიღოს ყველა პროდუქტი, თუ სააგენტოს აქვს „დასაბუთებული ეჭვი“, რომ ეს პროდუქტი შეიძება იყოს მავნე. ასევე, სააგენტოს უფლება აქვს: (ა) შეამოწმოს მწარმოებლის დაწესებულება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აიღოს ნიმუშები და შეამოწმოს შესაბამისი დოკუმენტაცია; (ბ) მონიტორინგი გაუწიოს მწარმოებელს წინასწარ დაგეგმილი ვიზიტების მეშვეობით, სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, წინა წლების შედეგების საფუძველზე (მაგ.: საკვების მოწამვლის, გარემოს დაბინძურების და სხვ. შემთხვევები); (გ) ზედამხედველობა გაუწიოს მწარმოებლის მიერ ნარჩენი საკვების განადგურებას, ბაზრიდან საკვების ამოღებას და რეგულატორის მითითებების შესრულებას. სააგენტოს კომპეტენცია იმ ბიზნეს ოპერატორებთან მიმართებით, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, არის იგივე.

ზემოთ აღწერილი ძირითადი კოდექსების გარდა, საკვების მწარმოებლები და ის საწარმოები, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის მიერ კონკრეტული სექტორებისთვის მიღებულ მრავალ ტექნიკურ სტანდარტს.

„ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა

„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“-თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. საკვების უსაფრთხოება) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდეგი სამი ძირითადი თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA“-ის მეოთხე თავი (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები) შეიცავს საქართველოს ვალდებულებას ექვსი თვის ვადაში (2015 წლის თებერვალი) ევროკავშირს წარუდგინოს ევროკავშირის იმ კანონმდებლობის სია, რომელთანაც უნდა მოხდეს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება. შემდგომში, აღნიშნული სია შეიცვალა საქართველოში ევროკავშირის ექსპერტების ვიზიტის შედეგად. არსებული რედაქციით კანონმდებლობის სია შეიცავს ევროკავშირის 102 საკანონმდებლო აქტს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და 84 აქტს ვეტერინარიასთან დაკავშირებით.

არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ საკვების წარმოებასთან და მეცხოველეობასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღება გაზრდის შესაბამისი ბიზნეს ოპერატორების საოპერაციო ხარჯებს.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღვეველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ კომპანიები ვალდებული არიან დაიცვან ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2013 წლის ივნისში და 2020 წლის სექტემბერში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, გამონაკლისს წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე მომუშავე

თანამშრომლები, რა შემთხვევაშიც დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.

ასევე კოდექსი არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, დამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსში ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. „კომპანიას“ წარმოეშობა მთელი რიგი ვალდებულებები აღნიშნული საკანონმდებლო აქტიდან გამომდინარე. მათ შორის, (ა) „კომპანიის“ ის შვილობილები, რომლებიც დაკავებულები არიან კვების პროდუქციის წარმოებით, ვალდებულნი იყვნენ დარეგისტრირებულიყვნენ პირებად, რომლებიც ახორციელებენ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს; და (ბ) თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი

დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

საზოგადოების არსებობის შეწყვეტა ახალი კანონმდებლობა

ახალი კანონით „მეწარმეთა შესახებ“ რეგულირდება სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი და გამოიყოფა არსებობის შეწყვეტის სამი სტადია:

- საზოგადოების დაშლა
- საზოგადოების ლიკვიდაცია
- რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების დაშლა

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ნებაყოფლობით დაშლას პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იძულებით დაშლას სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საზოგადოების დაშლა. კანონი შესაძლებლობას აძლევს სხვა პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის შეთავაზებით.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდატორის დანიშვნის და მისი უფლებამოსილების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების, კრედიტორთა დაცვის და ქონების განაწილების საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების „ლიკვიდაციის პროცესში“ დართვის ვალდებულება.

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

კანონის თანახმად, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის ქონების სრულად განაწილება იწვევს ლიკვიდაციის დასრულებას, რაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობაა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ხდება ლიკვიდაციის პროცესის განახლება და სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს ლიკვიდაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

გადახდის უუნარობა

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „კომპანიაზე“, ვრცელდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები

(გამონაკლისია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

კომპანიის გადახდისუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს მისი ვალდებულებების დაფარვა მათი შესრულების ვადის დადგომისას. გადახდისუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუნარო გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუნარო ახლო მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადეკვატური ზომები იქნება მიღებული შესაძლო გადახდისუნარობის თავიდან ასაცილებლად. გადახდისუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს თავად კომპანიამ ან მისმა კრედიტორებმა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი დაწყების კანონით განსაზღვრული წინაპირობები.

გადახდისუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარმართოს გადახდისუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურისაცია); ან გ) გადახდისუნარობის საქმის შეწყვეტა. „გ“ პუნქტში აღნიშნული ოფციის გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს გადახდისუნარობის საფუძვლები ან ასეთი საფუძვლები აღმოჩნდება იქნა გადახდისუნარობის დაწყების შემდეგ ან მოვალეს აქვს შესაძლებლობა მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს სხვა კრედიტორების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები:

- i. პრეფერენციული მოთხოვნები;
- ii. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
- iii. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც არ მოიცავს ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები;
- iv. მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები/საურავები;
- v. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;

vi. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები).

ამონაგები თანხა, რაც არ არის საკმარისი ერთი და იმავე რანგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებს შორის განაწილდება თანაბარი პრიორიტეტით შესაბამისი მოთხოვნის თანხების პროპორციულად. ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც

პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.1.20 და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რეაბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება. ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსაკუთრებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შექმნის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში. ა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემქმნელმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შექმნაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრული პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადეკლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“)⁵.

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2023 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასანაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულია ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

⁵ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N33/04 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 20 თებერვალს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/კ: 211382145; სალიცენზიო ნომერი: №9001, თარიღი: 14.01.2000) ის ნაწილი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ „ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ წესის“ შესაბამისად განსაზღვრულია „A“ და „B“ კატეგორიის სალისტინგო სეგმენტად (კატეგორიად), აღიარებულ იქნა ორგანიზებულ ბაზრად 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, საქართველოს საფონდო ბირჟას განესაზღვრა ვადა ორგანიზებულ ბაზრად აღიარებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საქართველოს საფონდო ბირჟამ დააკმაყოფილა და გაუგრძელდა ორგანიზებულ ბაზრად აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 21 სექტემბრის N 2-19/3269 წერილით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საფონდო ბირჟა ნებისმიერ მომენტში ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, არსებობს იმის რისკი, რომ ბირჟამ დაკარგოს აღნიშნული სტატუსი, რასაც შედეგად მოჰყვება ინვესტორების მიერ შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაკარგვა.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „ადიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ადიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ადიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ადიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ,

გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებული არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახდო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოეშვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახდო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციად, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახდო კოდექსი საგადასახდო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

1.1.21 კომპანიის არსებითი ხელშეკრულებები

საკრედიტო ხელშეკრულებები სს თიბისი ბანკთან

სს ნიკორა ტრეიდსა და სს თიბისი ბანკს შორის მოქმედებს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება #787325 (დადების თარიღი: 20 აპრილი 2017 წ), რომელიც წარმოადგენს სტანდარტულ საბანკო ჩარჩო ხელშეკრულებას.

პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება შპს ნიკორასთან

შპს ნიკორა წარმოადგენს სს ნიკორა ტრეიდის ერთ-ერთ მსხვილ მიმწოდებელს. მათ შორის გაფორმებულია პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს ნიკორა სუპერმარკეტების ქსელს ამარაგებს ხორციით, ხორცპროდუქტებით და ნახევარფაბრიკატებით. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო პროდუქცია. გამყიდველი ასევე პასუხისმგებელია, რომ მიწოდებული პროდუქცია აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ეტიკეტირების და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტებს.

ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს მყიდველის მიერ გამყიდველის პროდუქციის (ან კონკრეტული პროდუქტის ან ასორტიმენტის) დაშვებისათვის საფასურის გადახდას, ისევე როგორც რეტრო ბონუსების გადახდის სისტემას. ასევე მყიდველი და გამყიდველი შესაძლოა შეთანხმდნენ მყიდველის მიერ გარკვეული მარკეტინგული მომსახურების გაწევის პირობებზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებს გამყიდველის სანქცირებას პროდუქციის მიწოდებლობის ან მიწოდების დაყოვნების, ისევე როგორც პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენილ სტანდარტთან შეუსაბამობის გამო. სანქციის სიმძიმე დამოკიდებულია დარღვევის ხარისხზე და პოტენციურ ზიანზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველი უფლებამოსილია საკუთარი სარეალიზაციო პოლიტიკის გათვალისწინებით მოახდინოს გარკვეული პროდუქტების დელისტირება, ხოლო რომელიმე პროდუქტით მომარაგების შეფერხების შემთხვევაში ვალდებულია მყიდველს აცნობოს 7 დღით ადრე მაინც.

ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით. მყიდველი ნებისმიერ დროს არის უფლებამოსილი შეწყვიტოს ხელშეკრულება გამყიდველისთვის 15 დღით ადრე შეტყობინების მიწოდების საფუძველზე.

ხელშეკრულებები სხვა მომწოდებლებთან

კომპანია ყველა მომწოდებელთან დებს სტანდარტულ ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზეც უფლება-მოვალეობების გადანაწილება მეტწილად იდენტურია (იხ. შპს „ნიკორასთან“ არსებული ხელშეკრულების აღწერა). განსხვავდება მხოლოდ კომერციული პირობები (როგორცაა გადახდის პირობები, რეტრო ბონუსების ოდენობა და ა.შ.).

1.1.22 ტრანზაქციები დაკავშირებულ პირებთან კომპანიის დონეზე

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ არის განმარტებული.

	დედა კომპანია	სხვა აქციონერები	დედა კომპანიის შვილობილები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
ოპერაციები 2025:					
ამონაგები	8	-	23,168	-	23,176
სხვა შემოსავალი	-	-	932	84	1,016
მარაგების შესყიდვა	-	-	259,659	-	259,659
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	149	-	149
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-	37	-	37
სერვისების შესყიდვა	1,152	-	4,918	2,558	8,628
საპროცენტო ხარჯი	883	-	242	1,961	3,086
საპროცენტო შემოსავალი	-	-	1,360	-	1,360
დივიდენდი	7,931	280	-	-	8,211
ნაშთები 31.12.2025:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	192	23	215
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123	-	42,224	357	42,704
ობლიგაციები და სესხები	3,685	-	-	-	3,685
საიჯარო ვალდებულებები	1,501	-	4,895	24,490	30,886
ოპერაციები 2024:					
ამონაგები	162	-	-	-	162
სხვა შემოსავალი	-	-	-	71	71
მარაგების შესყიდვა	-	-	217,372	-	217,372
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	13,692	-	-	-	13,692
სერვისების შესყიდვა	327	-	406	1,855	2,588
საპროცენტო ხარჯი	1,229	-	188	638	2,055
საპროცენტო შემოსავალი	53	-	1,214	-	1,267
დივიდენდი	8,643	304	-	-	8,947
ნაშთები 31.12.2024:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	326	8	334
გაცემული სესხები	-	-	114	-	114
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	155	-	36,447	521	37,123
ობლიგაციები და სესხები	3,688	-	-	-	3,688
საიჯარო ვალდებულებები	9,904	-	2,121	10,059	22,084

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა შესაბამისად 1,102 ათას (მათ შორის წინა წლების ბონუსი 294 ათასი ლარი) და 1,461 ათას ლარს შესაბამისად. 2025 წლის ბოლოს კომპანიის მენეჯმენტისთვის საბონუსო ფონდი არ დარიცხულა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას წინა წლების გაუცემელი ბონუსი სახით ერიცხება 170 ათასი ლარის ოდენობით. **კორპორაციული მართვის ანგარიშგება**

2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის პირველი იანვრიდან.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტები ვალდებული იყვნენ კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობა უზრუნველყოთ და შესაბამისი ანგარიში პირველად წარედგინათ 2023 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის (არაუგვიანეს 2024 წლის 15 მაისი). აღნიშნული მომენტისათვის ნიკორა ტრეიდიმა მოახდინა კანონით დადგენილი წესით ზემოაღნიშნული ანგარიშის პირველადი წარდგენა.

საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე კომპანიას შექმნილი აქვს კორპორატიული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში რომელიც მოიცავს კორპორატიული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს; საწარმოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.

კომპანიას გააჩნია წესდება, რომელიც სრულად არის შესაბამისობაში მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრი (რეგ. განცხდება # B23189430)

სს ნიკორა ტრეიდს გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული, კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი, კორპორაციული ეთიკის კოდექსი რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებ. გვერდზე. www.nikorasupermarket.ge. კორპორაციული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია კომპანიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს კომპანიის დასახული მიზნების (რომელიც განხილულია წლიური ანგარიშის მომავალზე ორიენტირებული განცხადებების თავში) მიღწევის პროცესის ეფექტურობას.

საწარმოს წესდება, კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები გათვალისწინებულია წესდებით და სხვა შიდა დოკუმენტაციით, მათ შორის: (ა) კორპორაციული ეთიკის კოდექსით, (ბ) კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულებით, (გ) სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით, (დ) შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით, (ე) აუდიტის კომიტეტის დებულებით. აღნიშნული დოკუმენტაცია პერიოდულად განახლებადია და თავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე. www.nikorasupermarket.ge.

სამეთვალყურეო საბჭოსთან გარდა აუდიტის კომიტეტისა სხვა კომიტეტი არ არის შექმნილი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში. კომპანიის წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულია აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარისა და შემადგენლობის ცვლილების საკითხი რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება. კომიტეტებში წახალისებულია ობიექტურობა და არსებობს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო. წევრები ინიშნება საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისი მოთხოვნები გათვალისწინებულია კორპორაციული მართვის პრინციპების დებულებით. საზოგადოების ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა განსაზღვრულია

საზოგადოების წესდებით და შიდა ნორმატიული დოკუმენტაციით. კორპორაციული მართვის სისტემის მდგრადობა განპირობებულია იმითაც, რომ ყველა მონაწილის ჩართულობა უზრუნველყოფილია, კერძოდ ყველა თანამშრომელი/მონაწილე უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს (კორპორაციული ეთიკის კოდექსის 7.2 პუნქტი).

კორპორაციული ეთიკის კოდექსი აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს. კომპანიის თანამშრომელი ვალდებულია კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად მოქმედებას საქმიანობის განხიციელების ნებისმიერ ეტაპზე. (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.7.10 პუნქტი). პრინციპების უზრუნველსაყოფად კომპანია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისაგან დამატებით მოითხოვს:

- საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებას (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.1 პუნქტი);
- არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებასა და მისი გამოვლენას (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.2 პუნქტი);
- კორუფციის აღკვეთას, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.3 პუნქტი);
- სწრაფი და ადეკვატური რეაგირება თანამშრომლების მიერ გამოვლენილ უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.4 პუნქტი);
- საწარმოს ინფორმაციისა და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური აქტივების დაცვა და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.5 პუნქტი);

• საწარმოს საქმიანობის პროცესების შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობასთან (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 4.8.6 პუნქტი);

• ნებისმიერი მონაწილე უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს. კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ანონიმურად, ნებისმიერი ფორმით (კორპორაციული ეთიკის კოდექსი 7.2 და 7.3 პუნქტი).

კორპორაციული ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო: კორპორაციული ეთიკის კოდექსის 8.3 პუნქტის თანახმად დებულება შემუშავებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხოლო 8.4 პუნქტის თანახმად დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთანავე სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 4.6 პუნქტის თანახმად მის კომპეტენციაში შედის ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი.

კორპორაციული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება საწარმოს მმართველი ორგანოების და მომუშავე პირებზე, განსაზღვრავს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს კოდექსით დარეგულირებულ/განსაზღვრული საკითხებთან მიმართებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალური და ერთობლივი პასუხისმგებლობა მთელ რიგ საკითხებზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.6 პუნქტი):

ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ა" ქვეპუნქტი);

ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ბ" ქვეპუნქტი);

გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოს როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "გ" ქვეპუნქტი);

დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "დ" ქვეპუნქტი);

ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ე" ქვეპუნქტი);

ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ვ" ქვეპუნქტი);

ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "ზ" ქვეპუნქტი);

თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემის დანერგვა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10. 6 "თ" ქვეპუნქტი).

კომპანიის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად "სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც". აღნიშნულ დათქმას აკონკრეტებს სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 7.1 პუნქტი, რომელის თანახმად "საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ ან საბჭოს გადაწყვეტილებით უფრო ხშირად". საწარმოს წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს გათვალისწინებას საქმიანობის პროცესში. ამავე აქტებით გათვალისწინებულია აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომუნიკაციის საკითხი დეტალურად და მათთან თანამშრომლობის ვალდებულებები. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულება პუნქტი 2.1)

სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7(შვიდი) წევრისაგან (წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.1 პუნქტი). სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და წევრები იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამავე კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/საზოგადოების დირექტორი. (წესდების მე-13 მუხლის მე-12 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.2 პუნქტი). სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის

კრიტერიუმები/მოთხოვნები და პოლიტიკა გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.3 პუნქტი) ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო (წესდების მე-13 მუხლის მე-13 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 6.2 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

- თავმჯდომარე/წევრი: ვასილ სუხიაშვილი (პ/ნ 01024003505);
- თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ტარას ნიჟარაძე (პ/ნ 01017003022);
- წევრი: ირაკლი ბოქოლიშვილი (პ/ნ 01024032145);
- წევრი: გია პეტრიაშვილი (პ/ნ 01026002268);
- წევრი: ირაკლი ნიკოლაიშვილი (პ/ნ 01015002814)
- წევრი: ვასილ ტარადინი 75 2877247
- წევრი: ოლეგ გუბანოვი, 71 7143091

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად არ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოებასთან მათ შორის არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს და არ იღებს აღნიშნული საზოგადოებიდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, წარმოადგენს გია პეტრიაშვილი პ/ნ 01026002268. რაც შეეხება მეორე დამოუკიდებელ წევს, გამომდინარე იქედან, რომ საკითხი მეტად სენსიტიურია,

დაწყებული პროცესი დროში დაგეგმილზე მეტად გახანგრძლივდა: მინდინარეობს მოლაპარაკება სავარაუდო კანდიდატებთან, რომელთაგანაც შერჩეული იქნება ის პირი, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც საკანონმდებლო კრიტერიუმებს, ასევე სრულად მისაღები იქნება კომპანიის ღირებულებებისათვის.

სს ნიკორა ტრეიდის ძირითადი აქციონერია სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი, რომელიც ამჟამად ფლობს კომპანიის აქციების 97%-ს, სწორედ მისი დამფუძნებელი (ამჟამად ფლობს ამავე კომპანიის აქციების 23%-ს) ვასილ სუხიაშვილია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. როგორც ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის ასევე ნიკორა ტრეიდის არსებობის პირველი დღიდან იგი აქტიურად ჩართულია მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მას აძლევს წლების გამოცდილებას, კომპეტენციას და ნდობის მაღალ ხარისხს კომპანიის პარტნიორების მხრიდან, მათ შორის ინვესტორებისთვის.

ამასთანავე ნიკორა ტრეიდი არის სრულად გამჭვირვალე - ყველანაირი ცვლილება, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებულია კომპანიის საიტზე, მიგვაჩნია რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და

არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იცავს ემიტენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულ საწარმოში დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ყოლის საკანონმდებლო დანაწესი.

სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 7.7 პუნქტის თანახმად თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 8.6 პუნქტის თანახმად, საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს თითოეული კომიტეტის ბიუჯეტს და შიდა დებულებას.

2023 წლის 18 აგვისტოს რედაქციის დებულებით სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში შედის შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაცია.

სამეთვალყურეო საბჭოს წლიური ანგარიშის შედგენა ხორციელდება მოქმედი/მარეგულირებელი კანონმდებლობით მოთხოვნათა სრული დაცვით: აღწერს მისი საქმიანობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს კორპორაციული მართვის კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უზრუნველყოფს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვასა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას.

აუდიტის კომიტეტი

კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მისი საქმიანობა რეგულირდება მოქმედი საკანონმდებლო აქტებითა და სს ნიკორა ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამოწმებული დებულებით.

სამეთვალყურეო საბჭოსთან, გარდა აუდიტის კომიტეტისა და შიდა აუდიტის კომიტეტისა, სხვა კომიტეტი არ არის შექმნილი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან:

ა) თავმჯდომარე/წევრი: გია პეტრიაშვილი (პ/ნ 01026002268), 18.05.1961 (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)

ბ) წევრი: ირაკლი ნიკოლაიშვილი (პ/ნ 01015002814), 05.09.1971

გ) წევრი: ირაკლი ბოქოლიშვილი (პ/ნ 01024032145), 01.10.1963

როგორც აუდიტის კომიტეტის წევრების ბიოგრაფიიდან ჩანს, ისინი არ არიან/ ბოლო 12 თვის განმავლობაში არ ყოფილან საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის პარტნიორი ან დირექტორი და არ აქვთ რაიმე სახის ფინანსური ინტერესი.

გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, აუდიტის კომიტეტის საქმიანობა დამატებით რეგულირდება აუდიტის კომიტეტის დებულებით (დამტკიცებული 2023 წლის 18 აგვისტო), რომელიც აწესებს დამატებით კრიტერიუმებს კომიტეტის საქმიანობისათვის. აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტის თანახმად აუდიტის კომიტეტის სხდომა უნდა გაიმართოს წელიწადში ოთხჯერ, წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციებში შედის:

ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "a" და "b" ქვეპუნქტი);

ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს; აუდიტის კომიტეტის ფუნქციებში შედის ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენას (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "i". ქვეპუნქტი);

გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "h", "j" და "m". ქვეპუნქტი);

დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "g" და "h" ქვეპუნქტები);

ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "j" ქვეპუნქტი);

ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "j" ქვეპუნქტი);

ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ზომების გატარებას; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "k" ქვეპუნქტი);

თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "l" ქვეპუნქტი);

ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორთა საბჭოს მხრიდან სათანადო

ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "მ" ქვეპუნქტი);

კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "ნ" ქვეპუნქტი);

ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "ო" ქვეპუნქტი).

აუდიტის კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული უფლებების შეფასების მის წევრებს მუდმივად აქვთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. იგი ყოველწლიურად უნდა განიხილავს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.5.1. ქვეპუნქტი);

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტებს ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას. (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.5.2 ქვეპუნქტი);

საწარმოში არ არის შექმნილი რისკების კომიტეტი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის

კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, მათ შორის:

ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.1 ქვეპუნქტი);

ბ) ამზადებს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.2 ქვეპუნქტი);

გ) მონიტორინგს უწევს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.3 ქვეპუნქტი);

დ) რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე რეკომენდაციების გაცემა (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.4 ქვეპუნქტი).

რისკების მართვის კომიტეტის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭო იღებს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.5 ქვეპუნქტი)

რისკების მართვის კომიტეტის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ყველა სახის რისკის, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკების გათვალისწინებას და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.6 ქვეპუნქტი)

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს როლი წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.8 ქვეპუნქტი)

საწარმოში არ არის შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში.

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების შეთავსების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებს. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8 პუნქტი).

ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციები შეთავსებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს მათ შორის:

ა) რეგულარულად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით;

ბ) ყოველწლიურად მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას.

ანაზღაურების პოლიტიკის ფარგლებში კომპანიაში მუშაობს, რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე. თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლის დაქირავება. ასევე რამდენიმე შეფასების კრიტერიუმზე დაფუძნებულია საბონუსე სისტემა, რის შედეგადაც პერიოდულობით ხდება იერარქიის გათვალისწინებით დამატებითი ფულადი თანხის გაცემა. კომპანიაში არსებობს თანამშრომელთა შეფასების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების ხარისხის დაცვას და ტექნოლოგიური ჯაჭვის უწყვეტობას. შეფასების შედეგების მიხედვით გარკვეული პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა წახალისება. სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული წახალისების მექანიზმების გარდა, არსებობს გამუმუშავებაზე, მეტ შესრულებაზე, დამყარებული ანაზღაურების სისტემები. კომპანიაში არსებობს არაფულადი ბენეფიტების სისტემა როგორცაა: თანამშრომელთა კვება, ტრანსპორტისა და ტრენინგის დაფინანსება და ა.შ

საწარმოში არ არის შექმნილი კორპორაციული მართვის კომიტეტი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში. კორპორაციული მართვის კომიტეტის ფუნქციების შეთავსების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო:

ა) უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და საწარმოს შიდა წესებთან/დოკუმენტებთან; (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.9 პუნქტი);

ბ) უზრუნველყოფს საწარმოს შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას საწარმოს რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან;(სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.10 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭოში წევრთა უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრის მოთხოვნა უზრუნველყოფილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (პუნქტი 5.7)

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საკუთრი საქმიანობის თვითშეფასებას და ამისათვის გაჩნია შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულების მე-9 თავში - "საბჭოს თვითშეფასება".

დირექტორთა საბჭო

ნიკორა ტრეიდის საქმიანობის პროცესი არის სრულად გამჭვირვალე - ყველანაირი ცვლილება, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებულია კომპანის საიტზე, მიგვაჩნია რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დირექტორთა საბჭოს ყოლას და არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იცავს ემიტენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულ საწარმოში დირექტორთა საბჭოს ყოლის საკანონმდებლო დანაწესი, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად ნიკორა ტრეიდს საკანონმდებლო სავალდებულო დანაწესის ფარგლებში დაწყებული აქვს დირექტორთა საბჭოს შექმნის პროცესი, მიმდინარეობს სავარაუდო კანდიდატთა მოძებნა და მათთან მოლაპარაკება და ვვარაუდობთ, რომ 2026 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის მომენტისათვის უკვე სრულად დასრულებული იქნება ეს პროცესი.

კორპორაციული მდივანი

კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით კომპანიაში არის კორპორაციული მდივნის პოზიცია, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოსათვის დახმარების გაწევა საქმიანობის განხორციელებაში; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი);

ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსათვის კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევების მიცემა; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი);

გ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან თანამშრომლობა მათი სხდომის დღის წესრიგის

შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი);

დ) საჭირო ტრენინგების და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი);

ე) ყველა კორპორაციული დოკუმენტის, ოქმის თუ სხვა საჭირო საბუთის წარმოება და ინფორმაციის მინიმუმ 6 წლის ვადით შენახვა; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი);

ვ) იყოს დამაკავშირებელი რგოლი აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი);

ზ) უზრუნველყოს საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა; (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი);

თ) კორპორაციული მდივნის ფუნქციას მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი);

ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები. (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ი" ქვეპუნქტი).

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების თანახმად კორპორაციული მდივანი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.1. პუნქტი).

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.2. პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭო დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი. ამავე

დებულების 3.6.2 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში შედის კორპორაციულ მდივანის დანიშვნა და შრომითი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა.

კორპორაციული მდივანი არის მელანო გოგისვანიძე პ/ნ: 60001077177 არ არის საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და არ არსებობს რიამე პირობა, რაც ხელს შეუშლის მას მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.

ნიკორა ტრეიდი არ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, თუმცა ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას აიღებს თავად და განახორციელებს ადეკვატური მონიტორინგს (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 3.9 პუნქტი)

ნიკორა ტრეიდი არ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, თუმცა ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში:

- ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას აიღებს ნიკორა ტრეიდი და განახორციელებს ადეკვატური მონიტორინგს (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 3.9 პუნქტი);

- თითოეული შვილობილი საწარმოს სამეთვალურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელი იქნება რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩუნებაზე (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 3.10 პუნქტი);

- ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობით ორგანოებს დამოუკიდებლად შეაფასონ სასაჭორების შემთხვევაში შეცვალონ პოლიტიკა, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხედველო მოთხოვნებს ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 3.11 პუნქტი);

- ნიკორა ტრეიდის სამეთვალურეო საბჭო უფლებამოსილი იქნება პერიოდულად მოითხოვოს მიმოხილვა შვილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლებისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაცია მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 3.12 პუნქტი).

მინიჭებული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შემთხვევაში სამეთვალურეო საბჭო შეძლებს მუდმივად შეინარჩუნოს მზადყოფნა განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხედველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.

რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალურეო საბჭოს აკისრია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების სრულად შეთავსებული აქვს სამეთვალურეო საბჭოს.

სამეთვალურეო საბჭო სრულად ასრულებს მის ვალდებულბს იცნობდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკებს ჯგუფისა და ბიზნესსაქმიანობის დონეზე (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 11.1 პუნქტი)

სამეთვალურეო საბჭო მინიმუმ ყოველწლიურად გადახედავს რისკის მართვის ჩარჩოს. (სამეთვალურეო საბჭოს დებულების 11.2 პუნქტი).

კომპანიას გააჩნია რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსხვილ

და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან/და რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.3 პუნქტი).

ნიკორა ტრეიდი არ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, თუმცა ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში არსებული შიდაორმატიული ბაზა ქმნის შესაძლებლობას მოხდეს რისკების იდენტიფიცირება შვილობილი საწარმოების დონეზე.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს რათა მოახდინოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საჭიროებების იდენტიფიცირება.

კომპანიას ჰყავს შიდა აუდიტის კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება შიდა აუდიტის კომიტეტის დებულებით. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით მინიჭებული უფლებების ფარგლებში სამსახურს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები/ვალდებულებები/მოთხოვნები:

ა) კომიტეტი უფლებამოსილია ჰქონდეს კომპანიის ყველა სტრუქტურულ დანაყოფთან, კომპანიაში არსებულ ჩანაწერებთან, კომპანიის ქონებასთან და საინფორმაციო სისტემებთან სრული, პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტი);

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას; (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.4 პუნქტი);

გ) შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს, გააჩნდეთ სათანადო ცოდნა, რესურსი, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი);

დ) შიდა აუდიტის კომიტეტის თანამშრომლების შერჩევისას სრულად არის დაცული დებულებით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურად წარმართვას. (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი);

ე) აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლოვანებების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 5.6 პუნქტი);

ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მთლიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას, რომელიც, სულ მცირე, მოიცავს: ა) რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობის შეფასებას; ბ) სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშგების პროცესების ხარისხის შეფასებას; გ) საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასებას. (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5 პუნქტი).

შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ კომპანიის აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.2 პუნქტი), სამსახურის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.6 პუნქტი).

შიდა აუდიტის სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივი ანგარიშგება მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოსთან დირექტორთა საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 2.8 პუნქტი).

შიდა აუდიტის სამსახურის ზომა და სტრუქტურა შეესაბამება შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მიზნების სირთულეს და საწარმოს წინაშე არსებულ რისკებს (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 3.4 და 4.2 პუნქტები).

შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობასა და სტრუქტურას აფასებს და კონტროლს უწევს აუდიტის კომიტეტი (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.3.1 პუნქტის (ი) ქვეპუნქტი).

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკისა და ოდენობის განსაზღვრა. ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკების, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 4.7 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულება 10.5 პუნქტი).

პარტნიორთა საერთო კრება

საზოგადოების წესდების თანახმად საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, სხვა შემთხვევებში მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება წესდებით განსაზღვრული პირობების მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ; ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე; გ) სააქციო საზოგადოების მართვის სისტემის შეცვლის შესახებ;

დ) სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;

ე) სააქციო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდატორის დანიშვნის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;

ვ) სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ; ზ) განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;

თ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;

ი) სააქციო საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;

კ) ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;

ლ) საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენისა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ;

მ) სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;

ნ) სააქციო საზოგადოების მიერ იმ ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას ეხება;

ო) აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების

განსაზღვრის შესახებ;

პ) აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილების ან დამატებითი აქციების განთავსების შესახებ; უფლების განხორციელების წესი

აქციონერთა კრების ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის, განსაზღვრულია აქციების მფლობელების მიერ გადაწყვეტილების მიღების ხმათა სხვადასხვა პროცენტული რაოდენობები

ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს აღმასრულებელი დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქციონერთა უფლებამოსილებები:

საზოგადოების აქციონერს უფლება აქვს:

ა) პირადად ან წარმომადგენლის (საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული მინდობილობის) საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;

ბ) გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

გ) კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე;

დ) მიიღოს დივიდენდი;

ე) თავისუფლად განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული აქციები კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში;

ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;

ზ) მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;

თ) განახორციელოს კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

საზოგადოების წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია შემდეგია:

საზოგადოების აქციონერს უფლება აქვს:

- ა) პირადად ან წარმომადგენლის (საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული მინდობილობის) საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;
- ბ) გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;
- გ) კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე;
- დ) მიიღოს დივიდენდი;
- ე) თავისუფლად განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული აქციები კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში;
- ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;
- ზ) მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;
- თ) განახორციელოს კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება აღმასრულებელ დირექტორს.

კომპანიის წესდების თანახმად აღმასრულებელი დირექტორი:

- ა) წარმოადგენს საზოგადოებას სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხს აგებს საზოგადოების ყოველდღიურ მართვაზე;
- ბ) საზოგადოების სახელით დებს გარიგებებს;
- გ) განკარგავს საზოგადოების სახსრებსა და ქონებას, წარმოადგენს საზოგადოებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გასცემს მინდობილობებს;
- დ) უზრუნველყოფს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ და დროულ აღსრულებას;
- ე) ვალდებულია წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ვ) ადგენს საზოგადოების წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად.
- ზ) აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეები წარმართოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და აქციონერთა გადაწყვეტილებების შესაბამისად. აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განახორციელოს ის ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების თანახმად საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას. თანხმობა მიიღება

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით.

- თ) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;
- ი) საზოგადოების თანამშრომლებს განუსაზღვრავს დისციპლინური სახდელისა და წახალისების ფორმებს; კ) ამტკიცებს საზოგადოებისა და მისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების საშტატო განრიგს;
- ლ) განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს; მ) ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების შინაგანაწესს, შიდა სახელმძღვანელო ინსტრუქციებს;
- ნ) ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ინსტრუქციებს.

საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი თემურ ალექსანდრია

ბატონი თემურ ალექსანდრია გამოცდილი ფინანსისტია. იგი „ნიკორა ტრეიდს“ დირექტორია 2022 წლის აპრილიდან და მანამდე ექვსი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. 2012-2015 წლებში იგი იყო უფროსი ანალიტიკოსი და ბიზნესის განვითარების კოორდინატორი „ვითიბი ბანკში“. მანამდე იგი კორპორატიული ბიზნესის ანალიტიკოსი იყო „პროკრედიტ ბანკში“. ბატონ ალექსანდრიას აქვს ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს – პარტნიორთა კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; ამასთან გასათვალისწინებელია რომ, კანონით დადგენილ ვადებში კომპანიის მიერ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონმდებლობით.


სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა

საზოგადოების აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს არ წარმოადგენს;

1.1.23 კომპანიის სტრუქტურა და მენეჯმენტი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ნიკორა ტრეიდი“ სააქციო კაპიტალის 97%-ს სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ ფლობდა, ხოლო დანარჩენ წილს ფლობდნენ სხვა პირები, რომლებიც შესაბამისად არ ფლობდნენ აქციათა 5%-ზე მეტს.

სს „ნიკორა ტრეიდი“-ს შიდა სტრუქტურა



აქციონერთა/პარტნიორთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები

კომპანიის წესდებითა და შემუშავებული შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფილია გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის:

1. ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი მოპყრობა. აღნიშნული გათვალისწინებულია კომპანიის წესდებით (კომპანიის წესდების მუხლი 2 პუნქტი 6) და იმ შიდასამართლებრივი აქტებით, რომლებიც განთავსებულია კომპანიის ვებ-გვერდზე.
2. კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით - იხ. კომპანიის ვებ-გვერდი
3. კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით. იხ. კომპანიის ვებ-გვერდი სადაც განთავსებულია ყველა სახის ინფორმაცია რომელიც საჯაროობას საჭიროებს.
4. სამეთვალყურეო საბჭო ნებისმიერ დროს გამოთქვამს, მზადყოფნას გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით (საწარმოს წესდების მუხლი 2, ქვეპუნქტი 14- 17)
5. აქციონერებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად ისარგებლონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და აღნიშნული უზრუნველყოფილია საწარმოს წესდების დონეზე.
6. კომიუნიკაციისა და ინფორმაციის საჯაროობის უფლება გათვალისწინებულია კომპანიის წესდებით და ყველა სახის ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კომპანიის ვებ-გვერდის მეშვეობით.
7. სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა კრების მეშვეობით, უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას აქციონერებთან და აქციონერების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.
8. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (წესდების მე-19 პუნქტი). საერთო კრებების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და თავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე.
9. საწარმო ასაჯაროებს კორპორაციული მართის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას. საერთო კრებების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. (იხ. კომპანიის ვებ-გვერდი)

კომპანია ინფორმაციის გასაჯაროებას ახდეს ქვეყანაში მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ინფორმაციას ამჟღავნებს კომპანიის ვებ-გვერდზე, რომელიც მუდმივად განახლებადია.

მასზე ასევე განთავსებულია კონტაქტის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს მასთან კომუნიკაციის თავისუფლებას ყველა პირისათვის.

ძირითადი თანამშრომლები

„კომპანია“ მართავს დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერთა გუნდი, რომლის წევრებსაც ბევრი წელი აქვთ ნამუშევარი ჯგუფის შიგნით და გააჩნიათ ხანგრძლივი სამუშაო სტაჟი. სს „ნიკორა ტრეიდის“ ძირითადი თანამშრომლების მოკლე მიმოხილვა:

სამეთვალყურეო საბჭო

ვასილ სუხიაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონი სუხიაშვილი სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანი სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილის მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

ტარას ნიჟარაძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/თავმჯდომარის მოადგილე

1986 წელს, ტარას ნიჟარაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. 1987 წელს, ტარას ნიჟარაძემ სამეცნიერო კარიერა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში - მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე. 1990 წლიდან, იგი აქტიურად მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში - გახლავთ საბანკო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯეტიკის სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიების დამფუძნებელი და მენეჯერი.

ირაკლი ბოქოლიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი ბოქოლიშვილი „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როცა იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. იგი გახლდათ „ბაზისბანკის“ ერთერთი დამფუძნებელი სადაც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის. მანამდე იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. ბატონ ბოქოლიშვილს დაცული აქვს დისერტაცია სსრკ-ს გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო აკადემიაში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკასა და მათემატიკურ მოდელირებაში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. მას აგრეთვე გააჩნია სამეცნიერო ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

გია პეტრიაშვილი, სს ნიკორას ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გია პეტრიაშვილი ფლობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხს თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯეტიკის ფიზიკის ინსტიტუტში, მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე დაიწყო. საბანკო სფეროში მრავალწლიანი საქმიანობის შემდეგ - გია პეტრიაშვილმა, პარტნიორებთან ერთად, დააფუძნა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" ("ემბისი") და დაარსების დღიდან, იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას, ხოლო 2017 წლიდან არის ამავე ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ტომ მენეჯმენტი

თემურ ალექსანდრია, აღმასრულებელი დირექტორი

ბატონი თემურ ალექსანდრია გამოცდილი ფინანსისტი. იგი „ნიკორა ტრეიდის“ დირექტორია 2022 წლის აპრილიდან და მანამდე ექვსი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. 2012-2015 წლებში იგი იყო უფროსი ანალიტიკოსი და ბიზნესის განვითარების კოორდინატორი „ვითიზი ბანკში“. მანამდე იგი კორპორატიული ბიზნესის ანალიტიკოსი იყო „პროკრედიტ ბანკში“. ბატონ ალექსანდრიას აქვს ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან

გიორგი ვერძაძე, ფინანსური დირექტორი

ბატონი გიორგი ვერძაძე „ნიკორა ტრეიდის“ ფინანსური დირექტორია 2022 წლის აპრილიდან. „ნიკორაში“ მოსვლამდე იგი მუშაობდა „თიზის ბანკში“ 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა პოზიციაზე და ბოლო სამი წელი იყო უფროსი კორპორატიული ბანკირი. ბატონი ვერძაძე არის ფინანსური ანალიტიკოსის წოდების მფლობელი (CFA® Charterholder) ასევე ფლობს მაგისტრის ხარისხს ფინანსებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან და ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში კავკასიის უნივერსიტეტისგან (კავკასიის ბიზნესის სკოლა).

ლია სუხიაშვილი, ბიზნესის განვითარების სტრატეგიული დირექტორი

ქალბატონი ლია სუხიაშვილი „ნიკორა ტრეიდის“ ბიზნეს განვითარების სტრატეგიული დირექტორია 2023 წლიდან და მანამდე 17 წლის განმავლობაში ეკავა კომერციული დირექტორის თანამდებობა. 2006 წლამდე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მშობელი კომპანიის კომერციულ დეპარტამენტში. „ნიკორაში“ მოსვლამდე ქალბატონი სუხიაშვილი თბილისის ენდოკრინოლოგიის საეთაშორისო ცენტრში კარდიოლოგ ქირურგად მუშაობდა. მას აქვს სამედიცინო ხარისხი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისგან.

რუსუდან ჯერენაშვილი, კომერციული დირექტორი

ქალბატონი რუსუდანი 2008 წელს შეუერთდა JCS "Nikora Holding"- ს. მუშაობდა მარკეტინგის სპეციალისტად და ბრენდის მენეჯერად. ნიკორა ტრეიდში ის იკავებდა უფროსი კატეგორიის მენეჯერის თანამდებობას. დაამთავრა კავკასიის ბიზნესის სკოლა.

ირაკლი ლომაია, სუპერმარკეტების ქსელის განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი

ბატონი ირაკლი ლომია „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფს“ შემოუერთდა 2006 წელს, თავდაპირველად როგორც ჯგუფის ფინანსური დირექტორი. ორი წლის შემდეგ იგი დაინიშნა სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის გენერალურ დირექტორად საიდანაც 2010 წელს ბატონი ლომია გადავიდა მულტინაციონალურ საცალო მოხმარების პროდუქტების მწარმოებელ კომპანიაში. თავდაპირველად Wrigley-ს კავკასის გენერალურ დირექტორად ხოლო შემდგომში Mars Inc კორპორაცია კავკასია პლიუს ბელარუსია მოლდავეთი რეგიონალურ დირექტორად. 2017 წელს ბატონი ლომია კვლავ შემოუერთდა „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის რანგში და „ნიკორა ტრეიდიში“ კურიერებს სუპერმარკეტების ქსელის განვითარებას. ბატონი ლომია არის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხის მფლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

1.1.24 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951	3.1737
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- მონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგები მოიცავს საცალო მაღაზიებში მარაგების გაყიდვას. მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ საცალო მაღაზიებში პროდუქციის გაყიდვიდან და შესაბამისად ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში. ჯგუფი თავის შეთანხმებებში არის მარწმუნებელი. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს არ აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად ხელმძღვანელობა არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ე.წ “ბონუს ბარათებს”, რომელზეც თანხის დარიცხვა ხდება მომხმარებლის მიერ პროდუქციის შესყიდვის პროპორციულად. ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები ჯგუფისთვის წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ტრანზაქციის ფასს წარმოადგენს მომხმარებლისგან მიღებული ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელიც ნაწილდება შესყიდვის მომენტში შესასრულებელ და ბონუს ქულების საფუძველზე შესასრულებელ ვალდებულებებს შორის.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფი გარიგების ფასს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე ანაწილებს განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე, ჯგუფი ხელშეკრულების დაწყებისას განსაზღვრავს თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურების განცალკევებით გასაყიდი ფასს, რომელიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და შემდეგ გარიგების ფასი ამ განცალკევებით გასაყიდი ფასების პროპორციულად ნაწილდება.

მომხმარებელთა წახალისების პროგრამის ფარგლებში მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულები აღირიცხება იმ ამონაგებისგან განცალკევებით, რომლის ფარგლებშიც გაიცა ბონუს ქულა. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება რეალიზაციის საწყის ეტაპზე ნაწილდება ბონუს ქულებსა და რეალიზაციის სხვა კომპონენტებს შორის. მოხმარებელზე გაცემული ბონუს ქულების სახელშეკრულებო ღირებულება მათ განაღდებად ადარდება, როგორც საკონტრაქტო ვალდებულება ვალდებულებების მუხლში, რომელიც ამონაგებში აღიარდება პროდუქციის მიწოდების პროპორციულად.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც ხელმძღვანელობა ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

	<u>მომსახურების წელი</u>
შენობები	43
მანქანა-დანადგარები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ტრანსპორტი	5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 7 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა

ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;

ე) იჯარის ვადაზე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალდობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალდობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალდებ პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების

შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 2-10 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით;
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღრიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე;
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო

კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება (გარდა გუდვილისა)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების

წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან

დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის

რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სააქციო და საემისიო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის მფლობელების მიერ. აქციების გაყიდვით მიღებული ანაზღაურება ფასდება რეალური ღირებულებით. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2 არაფინანსური ანგარიშგება

სს ნიკორა ტრედი წარმოადგენს სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის შვილობილ კომპანიას. სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის როგორც ჯგუფის არაფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებულია მის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასთან ერთად. არაფინანსური ანგარიშგების ცალკეული დეტალები მოცემულია ქვემოთ ტექსტში ხოლო სხვა დეტალები მოცემულია სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამოქვეყნებულ არაფინანსურ ანგარიშგებაში.

2.1.1 ადამიანური რესურსების მართვა

სს „ნიკორა ტრედი“ წარმოადგენს საქართველოს შრომის ბაზარზე ერთ-ერთ უმსხვილეს დამსაქმებელს, რომელსაც დასაქმების ეროვნული ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „საუკეთესო დამსაქმებლის“ სტატუსი და შესაბამისი აღიარება. კომპანია ფუნქციონირებს როგორც დივერსიფიცირებული ოპერაციული ეკოსისტემა, რომელიც აერთიანებს საცალო სავაჭრო ობიექტების ფართო ქსელს, დისტრიბუციის ინფრასტრუქტურას, ცენტრალიზებულ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას / საწყობებს, მზაკერებისა და საკონდიტრო ნაწარმის წარმოებას, აგრეთვე ცენტრალიზებულ ადმინისტრაციულ და მხარდაჭერ (back-office) ფუნქციურ ერთეულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნეს ოპერაციების ეფექტიან მართვას, კოორდინაციასა და უწყვეტ მხარდაჭერას.

ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ადამიანური რესურსის ეფექტიან დაგეგმვასა და მართვას, კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრაში.

დეპარტამენტის ძირითადი პასუხისმგებლობის სფერო მოიცავს ორგანიზაციის თანამშრომლებით დაკომპლექტებას (Talent Acquisition), თანამშრომელთა ადმინისტრირებას (HR Administration) და ადამიანური კაპიტალის მართვას საქართველოს მასშტაბით, ერთიანი სტანდარტებისა და პოლიტიკის ფარგლებში.

დეპარტამენტი 2017 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს სს „ნიკორა ტრედის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში და წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც ჰოლდინგის ცენტრალიზებული HR ფუნქციისაგან განცალკევებით ახორციელებს კომპანიის HR სტრატეგიის ფორმირებასა და იმპლემენტაციას, ორგანიზაციის ოპერაციული და სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით.

დეპარტამენტის მანდატი ასევე მოიცავს:

- ადამიანური კაპიტალის მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავებასა და დანერგვას;
- HR სისტემებისა და პროცესების განვითარებას და ოპტიმიზაციას;
- ადამიანური კაპიტალის პროგრამებისა და პროექტების მართვას;
- მონაცემებზე დაფუძნებული HR გადაწყვეტილებების მიღებას (HR Analytics).

ყველა ზემოაღნიშნული მიმართულება ხორციელდება კომპანიის ტოპ-მენეჯმენტთან მჭიდრო კოორდინაციით, რაც უზრუნველყოფს HR ფუნქციის სტრატეგიულ ინტეგრაციას ბიზნესთან და

ორგანიზაციის მდგრად განვითარებასთან.


სს „ნიკორა ტრეიდი“ ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციის მდგრადი და გრძელვადიანი განვითარება ადამიანური რესურსის ეფექტიანი მართვის, მათი კარიერული განვითარებისა და შენარჩუნების გზით. ამ მიზნის მისაღწევად, ადამიანური კაპიტალის მართვა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს:

- ორგანიზაციაში თანამედროვე HR პრაქტიკების სისტემური დანერგვა და განვითარება;
- ძლიერი კომპეტენციებზე დაფუძნებული ადამიანური კაპიტალის ფორმირება;
- მაღალი პოტენციალის მქონე ტალანტების მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება;
- თანამშრომელთა გადინების (Turnover) მაჩვენებლის მართვა და შემცირება შესაბამისი პრევენციული მექანიზმების გამოყენებით;
- სამართლებრივი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ადამიანური კაპიტალის მართვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე კომპანიის შიდა ნორმატიული აქტებისა და კორპორატიული მართვის ჩარჩოს ფარგლებში.

კომპანია, მისი ზრდისა და განვითარების მაღალი დინამიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების სისტემურ შექმნას და შრომის ბაზარზე აქტიურ მონაწილეობას. სს „ნიკორა ტრეიდი“ ხელს უწყობს ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმებას, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას, რაც ორგანიზაციას ანიჭებს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას.


დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით




სს „ნიკორა ტრეიდი“ აღიარებს თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშვნელობას და უზრუნველყოფს სამართლიანი და არადისკრიმინაციული სამუშაო გარემოს ფორმირებასა და შენარჩუნებას. ორგანიზაცია უზრუნველყოფს, ყველა თანამშრომელი სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით, შესაძლებლობებითა და რესურსებზე წვდომით, მათ შორის - დასაქმების, ანაზღაურების, კარიერული განვითარების, შეფასებისა და პროფესიული წინსვლის პროცესებში. კომპანიაში უზრუნველყოფილია გენდერული ბალანსის პრინციპის დაცვა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყველა თანამშრომელი, სქესის მიუხედავად, მოქმედებს თანაბარ პირობებში, ატარებს თანაბარ პასუხისმგებლობებს და სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობებით.

დასაქმების პროცესები ხორციელდება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით. კანდიდატების შეფასება ეფუძნება მხოლოდ პოზიციასთან შესაბამისობას, პროფესიულ კომპეტენციებს, უნარებსა და კვალიფიკაციას. შერჩევის პროცესში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

თანამშრომელთა გადანაწილება სქესის მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



თანამშრომელთა ასაკობრივი განაწილება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტი

სს „ნიკორა ტრეიდი“ ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტი წარმოადგენს სტრატეგიულ ფუნქციურ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდას, კულტურის განვითარებასა და თანამშრომელთა გამოცდილების სისტემურ გაუმჯობესებას (EX).

დეპარტამენტის ძირითადი მიმართულება მოიცავს ორგანიზაციული სისტემების, პროცესებისა და ქცევითი ჩარჩოების განვითარებას, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. აღნიშნული ფუნქცია ხორციელდება მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომებით, თანამშრომელთა გამოცდილების კვლევების, შეფასების სისტემებისა და განვითარების პროგრამების გამოყენებით.

ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც ტოპ-მენეჯმენტთან, ასევე სხვა ფუნქციურ ერთეულებთან, რაც უზრუნველყოფს ცვლილებების ეფექტიან მართვას და ორგანიზაციული ინიციატივების ბიზნესთან ინტეგრაციას.

2025 წლის განმავლობაში განხორციელებული ძირითადი პროექტები

2025 წლის განმავლობაში ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რიგი სტრატეგიული და ოპერაციული ინიციატივები:

- ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბება

ორგანიზაციის მენეჯმენტის აქტიური ჩართულობით განისაზღვრა კომპანიის ღირებულებების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის საფუძველს. აღნიშნული ღირებულებები არის როგორც ორგანიზაციისთვის ორგანული, ასევე განვითარებაზე ორიენტირებული და გამოყენებადია ყოველდღიურ სამუშაო პროცესში.

- შეფასების სისტემების განვითარება (Performance Management Systems)

შემუშავდა მაღაზიის მენეჯერის, ადმინისტრატორებისა და მიმღების შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება გაზომვად ინდიკატორებს, მათ შორის:

- რეალიზაციის მაჩვენებლები
- ხარჯების ოპტიმიზაცია
- ოპერაციული ეფექტიანობა

დამატებით, 2025 წელს პირველად ინტეგრირდა თანამშრომელთა შენარჩუნების მაჩვენებელი (Retention Indicator), რომელიც გამოიყენება როგორც წახალისების კომპონენტი. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ადამიანური კაპიტალის მართვის და საოპერაციო მიმართულებების თანამშრომლობით. ამჟამად პროექტის აღსრულება სრულად გადასულია ადამიანური კაპიტალის მართვისა და საოპერაციო მიმართულებასთან.

- ღია საკომუნიკაციო არხების შექმნა

დაინერგა თანამშრომლებთან კომუნიკაციის ღია არხები, რაც საშუალებას იძლევა ორგანიზაციაში რეგულარულად განხორციელდეს შიდა კვლევები და შეგროვდეს უკუკავშირი. მიღებული მონაცემები პერიოდულად ანალიზდება და გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

- თანამშრომლის გამოცდილების კვლევა (Employee Experience – EX)

განხორციელდა თანამშრომელთა გამოცდილების მასშტაბური კვლევა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით დაიწყო შესაბამისი განვითარების ინიციატივების დაგეგმვა. EX განისაზღვრა როგორც ერთ-ერთი კრიტიკული ფაქტორი ორგანიზაციული ეფექტიანობისთვის.

- ლუკმისოდენა სწავლების (Bite Size Learning) ინიციატივა

დაინერგა მცირე ფორმატის სასწავლო მასალების სისტემა, რომელიც ეფუძნება ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს. ახალი მასალა მზადდება და ზიარდება ყოველ ორ კვირაში ერთხელ.

ამჟამად პროგრამა ფოკუსირებულია ზედა და შუა რგოლის მენეჯმენტზე, თუმცა იგეგმება მისი გაფართოება ყველა თანამშრომელზე. 2026 წელს მასალების ხელმისაწვდომი გახდება ყველა თანამშრომლისთვის.

- ადაპტაციის განახლებული მოდელი (Onboarding)

განახლდა თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესი, რომლის მიზანია თანამშრომლების სწრაფი ინტეგრაცია და ეფექტიანობის ზრდა. აღნიშნული ინიციატივა განხორციელდა ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით. 2026 წელს მოხდა პროცედურის წარდგენა ზედა დონის მენეჯმენტთან.

- KPI და ბონუს სისტემების განვითარება

შემუშავდა გაყიდვებზე პასუხისმგებელი დეპარტამენტებისთვის KPI-ებზე დაფუძნებული ბონუს სისტემები, რომლებიც არის:

- გაზომვადი

- მიღწევადი

- მამოტივირებელი

პროექტი განხორციელდა ბიზნეს მიმართულებებთან აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნული პროექტი აღსრულებაში გადაემულა ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტთან.

- შიდა და გარე კომუნიკაციის სტანდარტიზაცია

შემუშავდა პრეზენტაციის ერთიანი შაბლონები ნიკორა ტრეიდის, ლიბრეს და ნიკორას სუპერმარკეტებისთვის, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის სტანდარტიზაციას.

დამატებით განხორციელდა თანამშრომელთა ფოტოსესია Teams პროფილებისთვის (მარკეტინგის მხარდაჭერით).

- ქოუჩინგის სესიების დანერგვა

დეპარტამენტის ხელმძღვანელებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ქოუჩინგის სესიები, რაც ხელს უწყობს ლიდერშიფის განვითარებას და ინდივიდუალურ ეფექტიანობას.

2026 წლისთვის დაგეგმილი ინიციატივები

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით 2026 წელს დაგეგმილია შემდეგი ძირითადი პროექტები:

1. შეფასების სისტემების გაფართოება

გაყიდვებზე ორიენტირებული დეპარტამენტებისთვის შეფასების სისტემების შემუშავება და სრულმასშტაბიანი დანერგვა გულისხმობს:

- ფუნქციების სპეციფიკაზე მორგებული KPI-ების განსაზღვრას (რეალიზაცია, მარჟა, პროდუქტიულობა, დანაკარგები)
- ინდივიდუალური და გუნდური შედეგების დაკავშირებას ბიზნეს მიზნებთან

2. EX პოლიტიკის ფორმალიზაცია

თანამშრომლის გამოცდილების (Employee Experience) მართვის მიზნით შემუშავდება ერთიანი ჩარჩო, რომელიც მოიცავს:

- თანამშრომლის სრული ციკლის (onboarding–დან offboarding-მდე) სტანდარტიზაციას
- კვლევების (pulse, EX survey) ჩატარების და ანალიზის მეთოდოლოგიას
- უკუკავშირის მექანიზმების განსაზღვრას
- პასუხისმგებლობების გადანაწილებას მენეჯერულ დონეზე

3. ლიდერშიფის განვითარების პროგრამა

ლიდერული კომპეტენციების გასაძლიერებლად დაინერგება სტრუქტურირებული განვითარების ციკლი, რომელიც მოიცავს:

- ლიდერული კომპეტენციების მოდელის განსაზღვრას
- ტრენინგების, ვორქშოპების და პრაქტიკული ქეისების გამოყენებას

4. 360 გრადუსიანი შეფასების სისტემის დანერგვა

ზედა დონის მენეჯმენტისთვის დაინერგება მრავალწყაროიანი შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს:

- თვითშეფასებას, მენეჯერის, კოლეგებისა და გუნდის უკუკავშირს
- ინდივიდუალური ანგარიშების (report) გენერირებას
- განვითარების გეგმების (IDP) ფორმირებას

5. განვითარებაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები

შეფასების სისტემებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე დაიგეგმება მიზნობრივი სწავლება, რაც მოიცავს:

- განვითარების გეგმებზე (IDP) დაფუძნებული ტრენინგები
- სემინტირებულ სასწავლო პროგრამებს (როლი/დონე)
- პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლების ფორმატებს

6. რანგირების და ანაზღაურების სისტემის განვითარება

თანაბარი და სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად შემუშავდება რანგირების სისტემა, რომელიც მოიცავს:

- პოზიციების შეფასებას (job evaluation)
- როლების დაჯგუფებას (grading structure)
- ანაზღაურების დიაპაზონების განსაზღვრას
- შიდა სამართლიანობისა და გარე კონკურენტუნარიანობის ანალიზს

7. თანამშრომელთა ჩართულობის ინიციატივები

ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებზე მიბმული ინიციატივები მოიცავს:

- თემატურ კონკურსებს (ხარჯების ოპტიმიზაცია)
- აღიარების მექანიზმებს (recognition programs)
- გუნდურ აქტივობებს და კამპანიებს

8. ორგანიზაციული კულტურის განვითარების პროექტები

კულტურის გაძლიერების მიზნით განხორციელდება:

- ღირებულებებზე დაფუძნებული ქცევების კომუნიკაცია და ინტეგრაცია
- ლიდერების როლის გაძლიერება კულტურის მატარებლად
- შიდა კამპანიები და კულტურული ინიციატივები

9. CBT-ზე დაფუძნებული სესიები

ეფექტიანობისა და სინერჯის გაზრდის მიზნით დაინერგება CBT (Cognitive Behavioral) მიდგომაზე დაფუძნებული სესიები, რომელიც მოიცავს:

- აზროვნების და ქცევის ნიმუშების გაანალიზებას
- კომუნიკაციის და თანამშრომლობის გაუმჯობესებას
- სამუშაო გარემოში რეალური ქეისების განხილვას

10. Bite Size Learning-ის გაფართოება

სასწავლო მასალების სისტემის გაფართოება გულისხმობს:

- მოკლე, პრაქტიკულ და სწრაფად გამოყენებად კონტენტს
- სხვადასხვა ფორმატის გამოყენებას (ვიდეო, ტექსტი, ქეისი)
- ხელმისაწვდომობას ყველა თანამშრომლისთვის

2025 წელს, ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, სატესტო რეჟიმში განხორციელდა სამი სტრატეგიული პროექტი:

- LMS სისტემის დანერგვა
- მენტორობის პროგრამის ამოქმედება
- მაღაზიის დონეზე თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესის დანერგვა

სამივე მათგანის სატესტო ფაზა წარმატებით დასრულდა, რის საფუძველზეც 2026 წელს დაიგეგმა აღნიშნული პროექტების სრულმასშტაბიანი დანერგვა და განვითარება. გარდა ამისა, 2026 წლის HR მიმართულების სტრატეგიული ინიციატივებია:

1. შიდა ნორმატიული დოკუმენტების/პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება & განვითარება

ორგანიზაციაში ერთიანი, სტრუქტურირებული და თანამედროვე HR მართვის სტანდარტების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია:

- შიდა ნორმატიული დოკუმენტების აუდიტი და რევიზია;
- ახალი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება ბიზნესის მიმდინარე და სამომავლო საჭიროებების შესაბამისად;
- პოლიტიკების ჰარმონიზაცია შრომის კანონმდებლობასთან და საუკეთესო პრაქტიკებთან;
- დოკუმენტაციის ცენტრალიზაცია და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

2. HR რეპორტირების სტანდარტიზაცია და ავტომატიზაცია

მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერის მიზნით:

- სტანდარტული რეპორტების ფორმატების ჩამოყალიბება (headcount, turnover, absenteeism, recruitment funnel და სხვა);
- გარკვეული რეპორტირების პროცესების ავტომატიზაცია;

3. HR პროცესების დიჯიტალიზაცია

ოპერაციული ეფექტიანობისა და თანამშრომელთა გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით:

- ძირითადი HR პროცესების ეტაპობრივი დიჯიტალიზაცია;
- HRIS სისტემების გაუმჯობესება;
- ქალაქულ დაფუძნებული პროცესების მინიმიზაცია;
- თვითმომსახურების (self-service) პლატფორმების განვითარების დაწყება;

4. მარკეტინგის გუნდთან ერთად, კარიერის გვერდების განვითარება და დამსაქმებლის ბრენდინგი

ტალანტების მოზიდვის ეფექტიანობის გასაზრდელად:

- კარიერის გვერდების კონტენტის და UX/UI გაუმჯობესება
- ვაკანსიების ვიზუალური და შინაარსობრივი სტანდარტიზაცია
- ინტეგრაცია რეკრუტინგ პლატფორმებთან და სოციალური მედიის არხებთან

5. ონბორდინგის პროცესის გამართვა

ახალი თანამშრომლების სწრაფი და ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ონბორდინგ პროცესის ოპერაციული დანერგვა და აღსრულება;

6. ადმინისტრატორების სკოლის პროგრამის ჩაშვება

ფუნქციური როლის გაძლიერებისა და სტანდარტიზაციის მიზნით:

- ადმინისტრატორების განვითარების სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის შექმნა;
- სასწავლო მოდულების განსაზღვრა;
- კანდიდატთა მოზიდვა და გადამზადება;
- ტალანტების შიდა ზრდისა და დაწინაურების ხელშეწყობა

8. სარეზერვო ჯგუფებისა და გამოიმუშავეს პროგრამის მასშტაბის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.

სს ნიკორა ტრეიდიში, თანამშრომელთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, რეგულარულად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ინიციატივები, მათ შორის:

- კორპორატიული ღონისძიებები;
- სადღესასწაულო დღეების აღნიშვნა და მილოცვები;
- სპორტული აქტივობები;
- გუნდური გასვლები და ა.შ.;

კომპანიაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სავაჭრო მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების სწავლება/განვითარება, რაც მოიცავს, როგორც ახალი თანამშრომლების სისტემურ ონბორდინგსა და მომზადებას, ასევე, არსებული თანამშრომლების გადამზადებას სხვადასხვა სასწავლო მოდულის ფარგლებში.

კომპანიისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მიმართულებას თანამშრომელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება წარმოადგენს. ნიკორა ტრეიდის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევით. დამატებით, სათაო ოფისში ფუნქციონირებს ოჯახის ექიმის კაბინეტი, რომელიც თანამშრომლებს უწყევს კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახდენს მათ შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართებას.

ამასთან, ოფისში ხელმისაწვდომია მაღალი დონის კონტრაქტორი ლაბორატორიის მომსახურება, რაც უზრუნველყოფს ლაბორატორიული კვლევების ადგილზე ჩატარებას ოჯახის ექიმის დანიშნულების საფუძველზე.

კომპანიაში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის საქმიანობის ფარგლებში სისტემურად ხორციელდება შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი დონისძიებები. აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი სტანდარტებისა და სისტემების დანერგვა, მათი ეფექტიანობის უწყვეტი მონიტორინგი და გაუმჯობესება.

2.1.2 სს “ნიკორა ტრეიდი“-ს შიდა სტრუქტურა შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

წინამდებარე ანგარიში ასახავს სს „ნიკორა ტრეიდი“ გარემოსდაცვით საქმიანობასა და ნარჩენების მართვის პრაქტიკებს საწარმოო პროცესებში. ძირითადი აქცენტი კეთდება გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე, რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და რეგულაციებთან შესაბამისობაზე.

2. გასული წლის მიმოხილვა

2025 წელს ორგანიზაციამ გააძლიერა გარემოსდაცვითი კონტროლი და ნარჩენების მართვის პროცესები, რაც მიმართული იყო ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმიზაციისკენ.

ძირითადი მიღწევები:

- ნარჩენების სეგრეგაციის სისტემის გაუმჯობესება საწარმოო უბნებზე
- საშიში და არასაშიში ნარჩენების განცალკევებული მართვის დანერგვა
- ნარჩენების შემცირების ინიციატივების განხორციელება (Reduce, Reuse, Recycle)
- წყლისა და ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაცია
- გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფა

მაჩვენებლები და შედეგები:

- წარმოქმნილი ნარჩენების საერთო მოცულობა: [3000 ტონა]
- გადამუშავებული (რეციკლირებული) ნარჩენების პროცენტი: [40%]

განხორციელებული ღონისძიებები:

- ნარჩენების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება
- კონტრაქტორებთან თანამშრომლობა ნარჩენების გატანისა და გადამუშავების მიზნით
- პერსონალის ტრენინგები გარემოს დაცვის საკითხებზე
- რეგულარული გარემოსდაცვითი მონიტორინგი და აუდიტები

3. ძირითადი გამოწვევები

- ნარჩენების სეგრეგაციის სრული დაცვა ყველა საწარმოო უბანზე
- საშიში ნარჩენების მართვის გაუმჯობესება
- რესურსების (წყალი, ენერჯია) ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდა

• თანამშრომელთა ჩართულობის ზრდა გარემოსდაცვით ინიციატივებში

4. მიმდინარე წლის მიზნები და გეგმები (2026)


2026 წელს ორგანიზაცია გეგმავს გარემოზე ზემოქმედების კიდევ უფრო შემცირებას და მდგრადი პრაქტიკების განვითარებას.

სტრატეგიული მიზნები:

- ნარჩენების შემცირება
- რეციკლირების მაჩვენებლის ზრდა
- გარემოსდაცვითი რისკების მინიმიზაცია
- რესურსების ეფექტური გამოყენება

2026 წლის KPI-ები:

- ნარჩენების საერთო შემცირება (20%)
- რეციკლირების მაჩვენებელი (80%)
- საშიში ნარჩენების შემცირება (10%)
- ენერჯის მოხმარების შემცირება (5%)
- წყლის მოხმარების შემცირება (5%)



5. დასკვნა

ორგანიზაცია აგრძელებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განვითარებას და მდგრადი პრაქტიკების დანერგვას საწარმოო პროცესებში. 2026 წელს პრიორიტეტი იქნება ნარჩენების შემცირება, რესურსების ეფექტური გამოყენება

და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად პასუხისმგებელ ოპერირებას. კომპანიას საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ნიკორა ჰოლდინგის ზედამხედველობით შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული. განყოფილების ძირითადი ფუნქციაა კომპანიისა და შვილობილი კომპანიების მიერ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სისტემების დანერგვა და განვითარება, შესაბამისად სს „ნიკორა ტრეიდი“-სთვის გამოიყო სტრუქტურულად დამოუკიდებელი კადრი რომელიც ზედამხედველობას უწევს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებას და დანერგვას. კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას.

კომპანია უზრუნველყოფს ტრავმებისა და პროფესიული დაავადებებისაგან თავისუფალ და დაცულ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვითა და პროფესიული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

კომპანიამ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის მიმართულებით ატარებს ტრენინგების და ინსტრუქტაჟებს, ასევე ხდება კომპანიაში შეფასდა რისკები და ამის საფუძველზე გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, როგორც საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტები.

2.1.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა

სს „ნიკორა ტრეიდი“ 2025 წელს აგრძელებდა ოპერირებას საცალო-სასურსათო ვაჭრობის ბაზარზე, როგორც ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოში. საანგარიშო პერიოდში კომპანია ინარჩუნებდა სტაბილურ ზრდას და მარკეტინგული აქტივობების საშუალებით აქტიურად მუშაობდა მომხმარებელთა ბაზის გაფართოებაზე, ლოიალობის გაძლიერებასა და კომერციული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მარკეტინგული სტრატეგია ეფუძნებოდა მომხმარებლისთვის ღირებულების გაზრდას, კონკურენტული ფასების შეთავაზებას და კომუნიკაციის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებას.

2025 წელს მარკეტინგული მიდგომა განვითარდა ტრადიციული ფასობრივი კომუნიკაციიდან მომხმარებლის გამოცდილებაზე ორიენტირებულ მოდელამდე. აქტიურად გამოიყენებოდა როგორც მოკლევადიანი ფასდაკლებები (სამდღიანი შოკ-აქციები, ორკვირიანი კამპანიები, სეზონური და სადღესასწაულო შეთავაზებები), ასევე მასშტაბური მრავალპროდუქტიანი შეთავაზებები, რომლებიც მომხმარებელში ქმნიდა „სრულ კალათაზე“ ხელსაყრელი ფასის აღქმას. აღნიშნულმა აქტივობებმა უზრუნველყო მომხმარებელთა ნაკადის ზრდა, აქციებზე რეაგირების გაუმჯობესება და საშუალო ჩეკის ზრდა.

მნიშვნელოვანი განვითარება დაფიქსირდა ლოიალობის პროგრამისა და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის მიმართულებით. მომხმარებელთა ბაზა კვლავაც მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, ხოლო 2025 წელს გაიზარდა მყისიერი სარგებლის (cashback) ტიპის შეთავაზებების წილი, რაც მომხმარებლის სწრაფი რეაგირების და შეძენის გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს. აღნიშნული ცვლილება მიუთითებს მარკეტინგის ტრანსფორმაციაზე დაგროვებითი სარგებლის მოდელიდან მყისიერი სარგებლის მოდელზე, რაც ზრდის ტრანზაქციულ აქტივობას და მომხმარებლის ჩართულობას.

საანგარიშო პერიოდში გაძლიერდა ციფრული კომუნიკაციის როლი, განსაკუთრებით სოციალურ მედიაში. კომუნიკაცია გადავიდა პროდუქტის პირდაპირი შეთავაზებიდან მომხმარებლის ცხოვრებისეულ სცენარებზე, სადაც პროდუქტი წარმოდგენილია ყოველდღიური და სადღესასწაულო გამოცდილების ნაწილად. პარალელურად გაიზარდა ვიდეო კონტენტის გამოყენება და მომხმარებელთან ორმხრივი კომუნიკაციის ელემენტები, რაც ხელს უწყობს ბრენდის ემოციური კავშირის გაძლიერებას და მომხმარებლის ჩართულობის ზრდას.

2025 წელს მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გამოცდილებაზე დაფუძნებულმა მარკეტინგულმა აქტივობებმა. განხორციელდა კამპანიები, რომლებიც აერთიანებდა გასართობ ელემენტებსა და სავაჭრო გამოცდილებას (მაგალითად, QR კოდზე დაფუძნებული გათამაშებები და აქტივობები), რაც მომხმარებლისთვის ქმნის დამატებით ღირებულებას და ზრდის ბრენდთან ინტერაქციის ხარისხს. ასევე განვითარდა გეიმიფიკაციის ელემენტები კამპანიებში, რაც ზრდის მომხმარებლის აქტიურობას და განმეორებით ჩართულობას.

პროდუქტების ასორტიმენტის მიმართულებით გაგრძელდა ექსკლუზიური და იმპორტირებული პროდუქციის ზრდა. ქსელში სისტემურად ემატებოდა ახალი საერთაშორისო ბრენდები, ხოლო მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე გაიზარდა ინტერესი ფუნქციურ და შედარებით ჯანსაღ პროდუქტებზე, მათ შორის GMO Free

კატეგორიაში. აღნიშნული მიმართულება ხელს უწყობს კონკურენტულ დიფერენცირებას და ახალი მომხმარებლის სეგმენტების მოზიდვას.

ინ-სთორ აქტივობების ფარგლებში რეგულარულად ტარდებოდა პროდუქტის დეგუსტაციები, რაც მომხმარებლებს აძლევდა შესაძლებლობას გაეცნოთ ახალი პროდუქტები და შეეძინათ ისინი სპეციალური პირობებით. აღნიშნულმა აქტივობებმა დადებითად იმოქმედა ახალი პროდუქტების ათვისების სიჩქარეზე და იმპულსური შესყიდვების ზრდაზე.


სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით კომპანია აგრძელებდა აქტიურ ჩართულობას. „ლიბერთი ბანკთან“ პარტნიორობის ფარგლებში სოციალური ფასების პროგრამა კვლავ მაღალი ინტერესით სარგებლობდა. კომპანია ასევე განაგრძობდა „ბერი ანდრიას ფონდის“ მხარდაჭერას რაც აძლიერებს ბრენდის სანდოობას და ემოციურ კავშირს მომხმარებელთან. პარალელურად, კომუნიკაციაში გაიზარდა ადგილობრივი წარმოებისა და ფერმერებთან თანამშრომლობის ხაზგასმა.

2025 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბიზნესის სტრუქტურული განვითარების მიმართულებითაც, მათ შორის ახალი საწარმოს ამოქმედებით, რაც დამატებით აძლიერებს ბრენდის სანდოობას, ხარისხის კონტროლს და გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.

მარკეტინგული აქტივობების შედეგად საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესება, მათ შორის გაიზარდა მომხმარებელთა ლოიალობა. ბრენდი პოზიციონირდებოდა როგორც ხელმისაწვდომი, სანდო და ყოველდღიური არჩევანი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ოპტიმალურ ბალანსს ფასსა და ხარისხს შორის.

საბოლოოდ, 2025 წელი სს „ნიკორა ტრეიდისთვის“ იყო მარკეტინგული ტრანსფორმაციის ეტაპი, სადაც ფასზე ორიენტირებული კომუნიკაცია თანდათან გადაიზარდა მომხმარებლის გამოცდილებაზე, ჩართულობასა და მყისიერ სარგებელზე დაფუძნებულ მოდელში, რაც ქმნის საფუძველს კომპანიის გრძელვადიანი ზრდისა და კონკურენტუნარიანობისთვის.


დანართი 1. განაცხადი კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 <p>საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia</p> <p>განაცხადი კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ</p> <p>Application on submitting Corporate Governance Compliance Report</p>	
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)	1 4 / 0 5 / 2 0 2 6


1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER	
ემიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	ნიკორა ტრეიდი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	ც. დავიანის 7 სართ 4 კ/401, თბილისი, საქართველო
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	ც. დავიანის 7 სართ 4 კ/401, თბილისი, საქართველო
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა/E-mail	info@nikoratrade.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://nikorasupermarket.ge

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES
<p>განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) / Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):</p>


3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	ვასილი სუხიაშვილი
დაკავებული პოზიცია/Position Held	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა/E-mail	info@nikoratrade.ge

ხელმოწერა /Signature		თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)	1 4 / 0 5 / 2 0 2 6
----------------------	---	--------------------------	---------------------

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	თემურ ალექსანდრია
დაკავებული პოზიცია/Position Held	აღმასრულებელი დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა/E-mail	info@nikoratrade.ge

ხელმოწერა /Signature		თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)	1 4 / 0 5 / 2 0 2 6
----------------------	---	--------------------------	---------------------

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 <p>საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia</p> <p>განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ</p> <p>Application on submitting Corporate Governance Compliance Report</p>	<p>თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)</p> <p>1 4 / 0 5 / 2 0 2 6</p>
--	---

1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

ემიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	ნიკორა ტრეიდი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	გ. დადიანის 7 სართ 4 ც401, თბილისი, საქართველო
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	გ. დადიანის 7 სართ 4 ც401, თბილისი, საქართველო
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა/E-mail	info@nikoratrade.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://nikorasupermarket.ge

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	ვასილი სუხიაშვილი
დაკავებული პოზიცია/Position Held	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა/E-mail	info@nikoratrade.ge

ხელმოწერა /Signature

<input type="text"/>	<p>თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)</p> <p>1 4 / 0 5 / 2 0 2 6</p>
----------------------	--

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	თემურ ალექსანდრია
დაკავებული პოზიცია/Position Held	აღმასრულებელი დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა/E-mail	info@nikoratrade.ge

ხელმოწერა /Signature

<input type="text"/>	<p>თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)</p> <p>1 4 / 0 5 / 2 0 2 6</p>
----------------------	--

დანართი 2. კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მითითების შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გაწვდენებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაციის, რომელზეც დამატებით განმარტებულია კორპორატიული მართვის კოდექსი	შემაჯავნა
1	2	3	4	5	6
კორპორატიული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორატიული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორატიული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	წლიური ანგარიში	საწარმოს კორპორატიული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მოქმედებს წესდებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულების საფუძველზე და ფარგლებში.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'ა' ქვეპუნქტი);	ა) საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	საწარმოს წესდება	კომპანიის გაჩენის წესდება, რომელიც სრულად არის შესაბამისობაში მოცემული მოქმედებების განხორციელებისთანავე და დარეგისტრირებულია საჯარო რეგისტრი (რეგ. განცხადება # B23189430)
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'ბ' ქვეპუნქტი)	ბ) საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	ეთიკის კოდექსი	კომპანიის გაჩენის კორპორატიული ეთიკის კოდექსი, რომელიც დამოწმებულია სს ნიკორა ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით და განიცხადებულია კომპანიის ვებ. გვერდზე. www.nikorasupermarket.ge
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'გ' ქვეპუნქტი)	გ) საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიწვეული იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნები;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	ეთიკის კოდექსი	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული კორპორატიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრულია კომპანიის საწარმოების ძირითადი პრინციპები, რომელიც საბოლოო უბრალოდ უზრუნველყოფს კომპანიის დასახული მიზნების (რომელიც განხილულია წლიური ანგარიშის მოხაზულ ორიენტრებული განცხადებების თავში) მიღწევის პროცესის ეფექტურობას.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'დ' ქვეპუნქტი)	დ) საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კომპანიის არის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მმართველი ორგანო უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემუშავებასა და დაცვას.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'ე' ქვეპუნქტი)	ე) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	შემუშავებული და მოქმედი შიდა აქტები (მათ შორის შრომის მინიშნულებები) აერთიანებს როგორც ქართულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე იცავს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'ვ' ქვეპუნქტი)	ვ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და უგანალო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	შემუშავებული და მოქმედი შიდა აქტები (მათ შორის შრომის მინიშნულებები) უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და უგანალო სამუშაო გარემოს შექმნას. კომპანია არსებობს შრომის უსაფრთხოების განყოფილება, სადა სამსახური ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემო და დანერგულია პრევენციული ნორმები, გაატაროს პრევენციული ქმედებები ამ მიზნით.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'გ' ქვეპუნქტი)	გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კომპანია მოქმედებს დამატებითი ნარჩენების მართვის გეგმისა და გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის პოლიტიკის საფუძველზე და ფარგლებში. სს ნიკორა ტრეიდის ფილიალის გარემოს დაცვითი მენეჯერების სერტიფიკატი ISO 14001:2015
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'დ' ქვეპუნქტი)	დ) საწარმოს უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტი და დებულებები, რომელიც გარეგანი ორგანოების მანდატი, საწარმოების მომართვას და პრივილეგიებს, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგება, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის, კომიტეტის წევრთა როლისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 97	კომიტეტის დებულებები	სამეთვალყურეო საბჭოსთან გარდა აუდიტის კომიტეტის სხვა კომიტეტი არ არის შექმნილი და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემისციისთვის კორპორატიული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავაზებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, 'ე' ქვეპუნქტი)	ე) საწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არაფინანსური უფლებამოსილებების და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის უგანალო ადმინისტრირებისა და სააღრიტხო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პრივილეგიებს.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 97	საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	საზოგადოების ორგანიზაციული მმართველობითი სტრუქტურა განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით და შიდა ნორმატიული დოკუმენტაციით.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ წერილობითი საწარმოს კორპორატიული მართვის სისტემებთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართის სამეთვალყურეო საბჭოს.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 97	ეთიკის კოდექსი	კომპანიის კორპორატიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი ეხება თანამშრომელთა ვალდებულებას კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. 7.2 პუნქტის თანახმად წევრების მიერ მიწოდებული უფლებამოსილება საწარმოს კორპორატიული მართვის სისტემებთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართის სამეთვალყურეო საბჭოს.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტი დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ინფორმაცია პერიოდულად განახლებადია და თავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე www.nikorasupermarket.ge
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორატიული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებული სხვადასხვა პოლიტიკასა და პრივილეგიებს სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	საწარმოს წესდება	კორპორატიული მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები გათვალისწინებულია წესდებით და სხვა შიდა დოკუმენტაციით, მათ შორის: (ა) კორპორატიული ეთიკის კოდექსით, (ბ) კორპორატიული მართვის პრივილეგიების შესახებ დებულებით, (გ) სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით, (დ) შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით, (ე) აუდიტის კომიტეტის დებულებით.
კორპორატიული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრებს ინტერესთა კონფლიქტის, მალაქციების პრიორიტეტის გამოვლენის, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფილის გათვითობის და სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესდების თავიდან აცილების საკითხებს, კრიზისი, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 96	ეთიკის კოდექსი	კომპანიის გაჩენის კორპორატიული ეთიკის კოდექსი, რომელიც დამოწმებულია სს ნიკორა ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით და განიცხადებულია კომპანიის ვებ. გვერდზე.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, 'ფ' ქვეპუნქტი)	დ) დამატკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 98	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალურად და ერთობლივად მასუბისმგებელი არიან დირექტორთა საბჭოს წევრების ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას (პუნქტი 10.6 'დ' ქვეპუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, 'ე' ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დამატკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შექმნაზეც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალურად და ერთობლივად მასუბისმგებელი არიან დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დამატკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შექმნაზეც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10.6 'ე' ქვეპუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, 'ვ' ქვეპუნქტი)	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსთან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალურად და ერთობლივად მასუბისმგებელი არიან მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსთან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს; სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10.6 'ვ' ქვეპუნქტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, 'ზ' ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმომ შიშობის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალურად და ერთობლივად მასუბისმგებელი არიან მონიტორინგი გაუწიონ საწარმოს შიშობის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას (პუნქტი 10.6 'ზ' ქვეპუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, 'თ' ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინდივიდუალურად და ერთობლივად მასუბისმგებელი არიან უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემის დანერგვა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პუნქტი 10.6 'თ' ქვეპუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს.	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	წესდებიან მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც ბოლო სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 7.1 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოცა კვარტალი ერთხელ ან საბჭოს გადაწყვეტილებით ორი სხდოვით;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს აქტივების(მარტივობის) და სხვა დანატრესებელი მხარების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭო უნდა უზრუნველყოს აქტივების(მარტივობის) და დანატრესებელი მხარეების ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	საწარმოს წესდებიან და და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს, აქტივების(მარტივობის) და სხვა დანატრესებელი მხარეების ინტერესებს გათვალისწინებს საწარმოს პირველში ამავე აქტივით გათვალისწინებული აქტივების(მარტივობის) და დანატრესებელი მხარეების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კომუნიკაციის საკითხი დეტალურად და მათთან თანამშრომლობის ვალდებულებები. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულება პუნქტი 2.1)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხედავდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განმხორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმხორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკის და კონტროლების განმარტებულ, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებზე გაუფრთხილებს საკომპიუტერ დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ვარჯიშებს, სამეთვალყურეო საბჭო ერთი კვლად უნდა აესაზღვდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდივანი უნდა თავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციებს, რომლებზეც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებზეც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას.	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 106	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	2023 წლის 18 აგვისტოს რედაქციის დებულებით სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები შედის შიდა კონტროლის განმხორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაცია. კომპანიაში მოქმედი კორპორაციული მართვის პრინციპების დებულების 3.6.6 პუნქტით გაწეულია კორპორაციული მდივანის ფუნქცია მიმდებარეობს მათ შორისაა 'ე' სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინების დაგზავნის საკითხები და 'ქ' კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვის შედეგების ჩანაწერების გაკეთება/შედგენა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიური ანგარიში უნდა ააწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი გამართობის, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებს.	კპ	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 101	სხვა (გაბოვი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს წლიური ანგარიშის შედგენა ხორციელდება მოქმედი(მარტული) დებულებით განმარტებული მოთხოვნათა სრული დაცვით; აღწერს მისი საქმიანობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს კორპორაციული მართვის კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი გამართობის, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებს.

<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 1)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ არსებობს დაცემისთვის ან აღარ შესაბამის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიწოდების შესაბამისი ინფორმაცია.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 101</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უზრუნველყოფს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტის შესაძლებლობას.</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 2)</p>	<p>საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99</p>	<p>საწარმოს წესდება</p>	<p>საზოგადოებრივი შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7 (შვიდი) წევრისგან (წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.1 პუნქტი)</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 3)</p>	<p>საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა ინფორმაციულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 99</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა და წევრები ინფორმაციულად არ შეიძლება იყოს ამვე კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/საზოგადოების დირექტორი. (წესდების მე-13 მუხლის მე-12 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.2 პუნქტი)</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 4)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.</p>	<p>ალტერნატივა</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 100</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად არ არის დაკავშირებული საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს მართვის არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს და არ იღებს აღნიშნული საზოგადოებიდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებლებას, წარმოადგენს გია პეტრიაშვილი ან 01026002268. რაც შეეხება მთავრად წესს, გამოვიყენებთ იმდენად, რომ საბჭოს მეტად წევრის/საბჭოს დირექტორის არსებობა დამოუკიდებელია და განსაზღვრულია: მინდობილია მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს კანდიდატების, რომელთაგანაც მერვედი იქნება ის პირი, რომელიც დაკავშირებულია როგორც საკანონმდებლო კრიტერიუმებს, ასევე სრულად მისაღები იქნება კომპანიის ღირებულებისათვის.</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 5)</p>	<p>საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმდენად დაკომპლექტება, რომ დაეუფლოს მისი საზოგადოების მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული ბალანსისთვის საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომელსაც განიხილავს თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმიანობის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 100</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმები/მოთხოვნები და პოლიტიკა გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.3 პუნქტი)</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 6)</p>	<p>საწარმომ უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებიან შესაბამისობის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 100</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმები/მოთხოვნები და პოლიტიკა გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.3 პუნქტი)</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 1)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავდგომარეობს, რომელიც კანონმდებლობით დაკომპლექტებას, რომელიც უზრუნველყოფს მართვის წესების და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტურ თანამშრომლობას.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 100</p>	<p>საწარმოს წესდება</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობის თვისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო (წესდების მე-13 მუხლის მე-13 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 6.2 პუნქტი)</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 2)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა უნდა იყოს საბჭოს კორპორაციული მართვის კოდექსის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.</p>	<p>ალტერნატივა</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 101</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სს ნიკორა ტრეიდის მორთიანი აქციონერი სს ნიკორა, რომელიც ამჟამად ფლობს კომპანიის აქციების 96.60021%-ს, სწორედ მისი დამფუძნებელი (ამჟამად ფლობს ამვე კომპანიის აქციების 23%-ს) ვასილ სუხიამელია სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა. როგორც ნიკორას ასევე ნიკორა ტრეიდის არსებობის პირველი დღიდან იგი აქტიურად ჩართულია მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მას აძლევს წლებს გამოცდილებას კომპეტენციის და ნიჭის მხედ ხარისხს კომპანიის კორპორირების მხრიდან, მათ შორის რეგულაციებისთვის. ამასთანავე ნიკორა ტრეიდი არის სრულად გაქვეყნებული - ყველა მართვის დეკლარაცია, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის სავალი და განთავსებული კომპანიის საიტზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვებ-საიტის გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა და არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იკავებს ემიტენტის გამჭვირვალობისთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაშაულებებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ეწინააღმდეგება რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშგადადებული საწარმომ დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობის ყოლის საკანონმდებლო დანაშაულებები.</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 3)</p>	<p>თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა დაეფუძნება მისივე პროექტში აღმოჩენას, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოდელი კანონმდებლობით არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვას.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 101</p>	<p>სხვა (გთხოვთ მიუთითოთ მუნიციპალიტეტი)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 7.7 პუნქტის თანახმად თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავდგომარეობა დაეფუძნება მისივე პროექტში აღმოჩენას, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოდელი კანონმდებლობით არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვას.</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 1)</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დატკიცებული კომპეტენციის დებულების შესაბამისად.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 101</p>	<p>კომპეტენციის დებულებები</p>	<p>სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 8.6 პუნქტის თანახმად საბჭო შეიძლება დასაქციდეს თითოეული კომპეტენციის მიუხედავად და მისი დატკიცება.</p>
<p>კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 2); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1))</p>	<p>ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შექმნას აუდიტის კომიტეტი.</p>	<p>კო</p>	<p>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 101</p>	<p>კომიტეტის დებულებები</p>	<p>აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშგადადებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე მისი საქმიანობის რეგულირებას მოქმედი საკანონმდებლო აქტებითა და სს ნიკორა ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამოწმებული დებულებით.</p>

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 5)	პოლიტიკური კომპანიების შემთხვევაში, რისკების იდენტიფიცირება და შეფასების მიდევნება უნდა არსებობდეს მუდმივად. საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო უნდა მოიცავდეს არსებითი რისკის მატარებელი მუდმივად საწარმოსგან მომავალი რისკების შეფასებას და უნდა ითვალისწინებდეს მათი რისკების მართვის პროცესებში, შერჩევისა და მნიშვნელოვანი წილის შეტყობის ტრანზაქციებს და სხვა მსგავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ასობრავდნა მნიშვნელოვან გამოწვევებას.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	სხვა (გთხოვნი მითითებით შემინების სახით)	ნიკორა ტრედი არ წარმოადგენს პოლიტიკურ კომპანიას, თუცა ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში არსებული მიდანიშნული ბაზა ქმნის შესაძლებლობას მოხდეს რისკების იდენტიფიცირება მუდმივად საწარმოს მიმართ.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა განიხილავდეს საწარმოს მართვით დაკავშირებული რისკების მართვის მართვის საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან, შესაბამისობის და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოავლინოს და მათთან ერთად განიხილოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საკითხები.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	სხვა (გთხოვნი მითითებით შემინების სახით)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს საწარმოს მართვით დაკავშირებული რისკების მართვის მართვის საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან ერთად, რისკების მართვის მართვის საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან ერთად, რისკების მართვის მართვის საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან ერთად, რისკების მართვის მართვის საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან ერთად.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 1)	რისკების ეფექტური მართვის უწყვეტი მონიტორინგის, მნიშვნელოვანი საწარმოს განხილვის განხილვის შიდა კონტროლის სისტემები, რაც, მათ შორის, მოიცავს ეფექტურ შიდა აუდიტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო და დირექტორის საბჭოსთვის დამოუკიდებელი რჩებების წარდგენას საწარმოს შიდა კონტროლის, რისკების მართვის, მართვის სისტემების და პროცესების ეფექტურობის თაობაზე.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	საწარმოს წესდება	რისკების ეფექტური მართვის უწყვეტი მონიტორინგის საწარმოს მუშაობის შიდა კონტროლის სტრუქტურა (მათ შორის შიდა აუდიტის კომიტეტი).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორის საბჭომ უნდა უზრუნველყონ შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა და ეფექტურობა, რაც გულისხმობს:	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებები მინიმალური უფლებების ფაქტობრივი შიდა აუდიტის კომიტეტს განაჩნ მუდმივ უფლებამოსილებები.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) შიდა აუდიტის სრულ წევრებს საწარმომ არსებულ ინფორმაციასთან, ჩანაწერებთან, ოქმებთან და სხვა მონაცემებთან;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	კომიტეტი უფლებამოსილია ჰქონდეს კომპანიის ყველა სტრუქტურულ დანაყოფთან, კომპანიის არსებულ ჩანაწერებთან, კომპანიის კონფიდენციალური საინფორმაციო სისტემებთან სრული, პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემების და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტურობის შეფასების;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემების და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტურობის შეფასების; (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.4 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) შიდა აუდიტის მართვის მართვის საბჭოსთან სრული შესაბამისობის მოთხოვნა შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს, განხილვის სათანადო ცოდნა, რესურსი, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია საწარმოს ეფექტურად წარმართვის მიზნით (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შიდა აუდიტის თანამშრომლების საკმარის ცოდნას, უნარებსა და რესურსებს საწარმოს ეფექტურად წარმართვის მიზნით, რაც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობას და რისკებს;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის კომიტეტის თანამშრომლების შერჩევის სრულად არის დაცული დებულებით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ეფექტურად წარმართვას. (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორის საბჭოს ს მხრიდან აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლებობების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრას;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლებობების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრას (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მილიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას, რომელიც ხელს მათი მოიცავს;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის ხდება სამსახურის მიერ მილიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასება (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გა" ქვეპუნქტი)	გა) რისკების მართვისა და შესაბამისობის უწყვეტი მონიტორინგის შეფასებას;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის ხდება სამსახურის მიერ მილიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასება მოიცავს რისკების მართვისა და შესაბამისობის უწყვეტი მონიტორინგის შეფასებას (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5.1 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გბ" ქვეპუნქტი)	გბ) სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორის საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშების პროცესის ხარისხის შეფასებას;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის ხდება სამსახურის მიერ მილიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასება მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორის საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშების პროცესის ხარისხის შეფასებას (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5.2 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გგ" ქვეპუნქტი)	გგ) საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასებას.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 108	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის ხდება სამსახურის მიერ მილიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასება მოიცავს საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასებას. (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5.3 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 3)	შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულა სამეთვალყურეო საბჭოსა და მათთან არსებულ აუდიტის კომიტეტთან. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის დანიშნვისა და გათავისუფლების შეფასებისა და ანაზღაურების თაობაზე, დაუზღუდავად შიდა აუდიტის თანამშრომლების ანაზღაურების დამტკიცებაში საწარმოს დირექტორის საბჭოს მიმართ.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია შიდა აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.2 პუნქტი). სამსახურის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხს წვეცავს სამეთვალყურეო საბჭო (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.6 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულების გარდა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაუზღუდავი ანგარიშგება უნდა ხდებოდეს დირექტორის საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის სამსახური ვალდებულია დაუზღუდავი ანგარიშგება მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 2.8 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 5)	შიდა აუდიტის სამსახურის ზონა და სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მიზნების სიროულს და საწარმოს წინაშე არსებულ რისკებს. საწარმოს აუდიტის კომიტეტს შესაძლებლობა უნდა მიეცეს შიდა აუდიტის სამსახურს, გარე სპეციალისტებისგან მიიღოს საშაროლერო, ტექნიკური და სხვა სახის კონსულტაციები და მომხმარება.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	კომიტეტის დებულებები	შიდა აუდიტის სამსახურის ზონა და სტრუქტურა შეესაბამება შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მიზნების სიროულს და საწარმოს წინაშე არსებულ რისკებს (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 3.4 და 4.2 პუნქტები)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 6)	აუდიტის კომიტეტმა ხელს მათე წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა შეაფასოს საწარმოს შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახსენოს აქტიონარია/პარტნიორთა საერთო კრებას.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	კომიტეტის დებულებები	შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურას აფასებს და კონტროლის უწყვეტი აუდიტის კომიტეტი (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.3.1 პუნქტის (ა) ქვეპუნქტი)

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 1 და პუნქტი 2)	მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი საერთო კრება.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	სხვა (გაბიჯი მითითებით მენიშნის სახით)	საწარმოს განსაზღვრული კვება ანაზღაურების პოლიტიკა ანაზღაურება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სს წიკორს ტრენდის სამედიცინო საბჭოს დებულება ა.10.5
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 3)	ანაზღაურების თაობაზე კორპორაციული მართვის ანგარიშში გამკაცრების მიზნით უნდა მომზადდეს ანგარიში, სადაც გაშვებული უნდა იყოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების პოლიტიკა, ანაზღაურების ოდენობა და წესის მიხედვით სარგებელი. ასევე, წესის მიხედვით ცვლილება, რაც გამოირიცხება ანაზღაურების პოლიტიკაში საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ წაითად უნდა იყოს ასახული ანაზღაურების ანგარიშში.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	საწარმოს განსაზღვრული კვება ანაზღაურების პოლიტიკა ანაზღაურება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 4)	დირექტორთა საბჭოს მიერ ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც თავად ანაზღაურების კომიტეტის (საბჭოს არსებობის შემთხვევაში) მშენებლობით უნდა მეთვალყურეობდეს ანაზღაურების გეგმებს, პრიციპებსა და შედეგებს.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, უზრუნველყოფს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შენარჩუნებას. ყოველწლიურად არაუგვიანეს რეკომენდაციებს მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგენს დასამტკიცებლად საერთო კრებას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების კომიტეტთან ერთად ამტკიცებს, შიდა აუდიტის, კორპორაციული მდინარისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკის, ოდენობისა და ამასთან, მონიტორინგს უწყებს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	სხვა (გაბიჯი მითითებით მენიშნის სახით)	შილოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება გამოირიცხდეს შიდა აუდიტის, კორპორაციული მდინარისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკისა და ოდენობის განსაზღვრა. ამასთან, მონიტორინგს უწყებს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 4.7 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 6)	დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა იყოს საკმარისი, მაგრამ არა გაუმართლებელი დიდი, იმისათვის რომ მოიზიდოს, შეინარჩუნოს და სათანადო მოტივაცია მიიღოს მათ. დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს, როგორც მთლიანად საწარმოს გრძელვადიან შედეგებს, ისე ცალკეული წევრების საქმიანობის შედეგებსაც. თითოეული წევრის ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე საწარმოს ფინანსური, საოპერაციო მანერებლები და კონკურენტების პოზიციები ბაზარზე.	არა	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 105	სხვა (გაბიჯი მითითებით მენიშნის სახით)	წიკორს ტრენდის საქმიანობის პროცესის არის სრულად გამკაცრებული ცვლილებები, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებული კომპანის საიტზე. მიგვაჩნია რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დირექტორთა საბჭოს ყოლისა და არსებული პირობებით (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იცავს ენტიტეტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელიც საბაზისური სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულო საწარმომ დირექტორთა საბჭოს ყოლის საკანონმდებლო დანაწესი, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად წიკორს საკანონმდებლო სავალდებულო დანაწესის ფარგლებში დაწესებული კვება დირექტორთა საბჭოს შემწის პროცესი, მიმდინარეობს საჯარო კანდიდატთა მოძებნა და მათთან მოლაპარაკება და ვეგარდებით, რომ 2026 წლის წლიური ანგარიშის წარდგინის მიზნებისათვის უკვე სრულად დასრულებული იქნება ეს პროცესი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 7)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს. ანაზღაურება რისკის ქვეშ არ უნდა აყენდეს მათ დამოუკიდებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა მოიცავდეს შილოდ ფიქციურ ანაზღაურებას და არ უნდა მოიცავდეს პრემიას ან ცვლილებას კომპონენტს, რომელიც საწარმოს მიერ გარკვეული ფინანსური თუ საოპერაციო მანერებლების მიღწევასთან არის დაკავშირებული.	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 109	სხვა (გაბიჯი მითითებით მენიშნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულება 10.5 პუნქტი)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8)	ანაზღაურების პოლიტიკა სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	იხ. ქვემოთ კომენტარები;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ა" ქვეპუნქტი)	ა) ანაზღაურების ფიქციურული და ცვლილებები კომპონენტების განსაზღვრება;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	კომპანიაში მუშაობის, რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემის, ერთმანეთისგან განსხვავებული სახელფასო სტრუქტურისგან გამომდინარე.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) ანაზღაურების თითოეული კომპონენტისთვის დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	კომპანიაში თითოეული პოზიციისთვის არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლის დაქირავება.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრულ კრიტერიუმებს;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	საწარმომ რამდენიმე შეფასების კრიტერიუმზე დაფუძნებული საბაზისო სისტემის, რის შედეგადაც პერიოდულად ხდება იყარების გათვალისწინებით დამატებითი ფულადი თანხის გაცემა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კვირის ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	კომპანიაში არსებობს თანამშრომელთა შეფასების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების ხარისხის დაცვას და ტექნოლოგიური ვაკუუმს უწყვეტობას. შეფასების შედეგების მიხედვით გარკვეული პერიოდულად ხდება თანამშრომელთა წახალისება.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ე" ქვეპუნქტი)	ე) პრემიების სტრუქტურისა და პარამეტრების;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	საშემოს მუშაკებზე დაფუძნებული წახალისების მენიშნის გარდა, არსებობს გაუმჯობესებაზე, მტრ შესრულებაზე, დამატებული ანაზღაურების სისტემები.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) სხვა არაფულადი ანაზღაურების (საწარმოს აქციები, ოფიციონები საწარმოს მუშაკებზე, დასვენება, საუბრობის სტუმრები და ა.შ.);	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 104	წლიური ანგარიში	კომპანიაში არსებობს არაფულადი მენიშნების სისტემის როგორც: თანამშრომელთა კვება, ტრანსპორტისა და ტრენინგის დაფინანსება და ა.შ.
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი IV - აქტივობა/მარტინობა და დანერგვით მართვა უფლებები					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1); გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	1. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს საწარმოს „გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის:	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	სხვა (გაბიჯი მითითებით მენიშნის სახით)	იხ. ქვემოთ კომენტარები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი); გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	ა) უზრუნველყოს თანამართ მოპოვება ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანამართ პირობებში იმყოფებიან;	კო	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანამართ პირობებში იმყოფებიან, უზრუნველყოფილია თანამართ მოპოვების, აღნიშნული გათვალისწინებული კომპანის წესდებით (კომპანის წესდების მუხლი 2 პუნქტი 6) და იმ მიდამართლებრივი აქტებით, რომლებიც განთავსებულია კომპანის ვებ-გვერდზე.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი); გამწვანების წესის მე-9 მუხლი.	ბ) გაასაჯაროს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებების და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილებების შესახებ (მე-9 მუხლი, პუნქტები 2-3);	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	სხვა (ეთიოპი მითითებით მენიშენის სახით)	კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროებასთან დაკავშირებით - იხ. კომპანიის ვებ-გვერდი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი); გამწვანების წესის მე-9 მუხლი.	გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახიერებლად საჭირო ინფორმაციის და საშუალებების ხელმისაწვდომობა;	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	სხვა (ეთიოპი მითითებით მენიშენის სახით)	კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროებასთან დაკავშირებით. იხ. კომპანიის ვებ-გვერდი სადაც განთავსებულია ცვლადი სახის ინფორმაცია რომელიც საჯაროობას საჭიროებს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 2).	საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერები/პარტნიორები კარგად აცნობიერდნენ კორპორაციული მართვის პრინციპებს და უნდა მისცეს მათ შესაბამისი განმარტებები კოდექსიდან გადახვევის შემთხვევაში, ასევე, მისცეს მათ საშუალება გამოიყენონ თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	საწარმოს წესდება	სამეთვალყურეო საბჭო წესისმიერ დროს გამოიყენებს, უზადფრენს გამართის დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით (საწარმოს წესდების მუხლი 2, ქვეპუნქტი 14-17)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 3);	აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათთვის მიუყენებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	აქციონერებს უფლება აქვთ დაუბრუნებლად ისარგებლონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და აღნიშნული უზრუნველყოფილია საწარმოს წესდების დონეზე.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 4);	საწარმომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და პოტენციურ აქციონერებთან/პარტნიორებთან კომუნიკაციის და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის დანერგვა. აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისგან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე როგორც აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა მოქმედი ანონსიზაციის შესაბამისად.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	კომუნიკაციის და ინფორმაციის საჯაროობის უზღვევა გათვალისწინებულია კომპანიის წესდებით და ცვლადი სახის ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კომპანიის ვებ-გვერდის მეშვეობით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 5);	სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ, აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უნდა უზრუნველყონ ეფექტური და სამართლიანი ურთიერთობა აქციონერებთან/პარტნიორებთან და ხელი შეუწონ აქციონერების/პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა კრების მეშვეობით, უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას აქციონერებთან და აქციონერების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 6)	საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არაფინანსის - მიაფილე, მიაფილის არაფინანსის კი - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არაფინანსის კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ცვლა წევრი, შიდა აუდიტის და სხვა კომიტეტების თავმჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელს უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორებს უნდა უპასუხონ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (წესდების მე-19 პუნქტი). საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯარო და თვალსაშვან კომპანიის ვებ-გვერდზე.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 7);	საწარმომ უნდა გაასაჯაროს კორპორაციული მართვის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და საერთო კრების ოქმი.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	საწარმო ასაჯაროებს კორპორაციული მართვის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას. საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. იხ. კომპანიის ვებ-გვერდი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 1);	საწარმოს უნდა განდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დანიშნულ მართვა ინტერესებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჟღავნების ადეკვატურ დონეს.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	კომპანია ინფორმაციის გასაჯაროებას ახდენს ქვეყანაში მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ინფორმაციის ამჟღავნებს კომპანიის ვებ-გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 2);	საწარმოს ვებ-გვერდი გამართულად უნდა ფუნქციონირებდეს, რათა ინვესტორებსა და დანიშნულ პირებს ჰქონდეთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე. მათ შორის კორპორაციულ მართვაში და გარემოსდაცვით, სოციალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	კომპანიის ვებ-გვერდი მუდმივად განახლებადია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 3);	მმართველობა უნდა უზრუნველყოს, რომ დანიშნულ მართვაში პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი მოსაზრება საწარმომ არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და ეს არ უნდა გახდეს მათი უფლებების შელახვის მიზეზი.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებულია კონტაქტის განმარტებისთვის საჭირო ინფორმაცია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 4);	სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს გაზრებული უნდა ჰქონდეთ დანიშნულ მართვა ინტერესები და უზრუნველყონ მათთან ეფექტური ურთიერთობა.	კი	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვ. 116	წლიური ანგარიში	სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს მასთან კომუნიკაციის თავისუფლებას ცვლადი პირისათვის.

დანართი 3. დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია	საჯაროდ ხელმისაწვდომია კი/არა	შესაბამისი მისამართი/ ჰიპერლანკი	შენიშვნა
1	2	3	4
საწარმოს წესდება	კი	იხილეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე განცხადება B23189430	
ეთიკის კოდექსი	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
სტრატეგიის დოკუმენტი	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
კომიტეტის დებულებები	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
შესაბამისი გადაწყვეტილებები	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
შუქსების ანგარიშები	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
პოლიტიკა/პროცედურები	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
სხდომების ოქმები	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
წლიური ანგარიში	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
სამეთვალყურეო სამუშაოს წევრების რეზიუმე/ბიოგრაფიის ამსახველი ინფორმაცია	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
გადაწყვეტილებები	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	
სხვა (ვთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კი	https://nikorasupermarket.ge/ge	